საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№ 030 (12709) 7 თებერვალი შაბათი 2009 ფასი 50 თეთრი

## დღეს ჩემპიონატი განახლდება

### მოზღვავავებული, ზამთრის ენერგიით...

ტურის წინათქმა >> 2




## კუპერი: ჰკითხეთ ასათიანს, რატომ არ სურს ნაკრებში თამაში?!



## ასათიანი: თუ არ უნდა ჩემი გამოძახება, პირდაპირ თქვას, მე ნუ მაბრალებს!

მალხაზ ასათიანი და საქართველოს ნაკრები - ექტორ კუპერის პრესკონფერენციაზე ეს თემა გუშინ კიდევ ერთხელ წამოტივტივდა. ამ ეტაპზე, როცა ერთ დროს ნაკრების ლიდერი მოსკოვის „ლოკომოტივის" დუბლებში ვარჯიშობს, სათამაშო პრაქტიკა არ აქვს და ახალ გუნდს ეძებს, მისი არგამოძახება მწვრთნელის გადაწყვეტილებაში ეჭვებს არ უნდა აღძრავდეს, თუმცა არგენტინელს ასათიანი გუშინ კიდევ ერთხელ შეახსენეს. კითხვას, რატომ არ არის საირლანდიო სიაში „ლოკომოტივის" მცველი, კუპერმა ასე უპასუხა:

„თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ პირადად, ასათიანთან არანაირი პრობლემა არ მაქვს. თუ რატომ არ არის ის ნაკრებში ან რატომ არ სურს ნაკრებში თამაში, სჯობს, ამ კითხვით თავად ფეხბურთელს მიმართოთ. საჯაროდ და ხაზგასმით ამას პირველად ვამბობ. მე ამაზე პასუხს ვერ ვაგებ, რადგან ნაკრებში თამაშზე თავად ასათიანმა თქვა უარი და ასეთ შემთხვევაში, ვერავის ვერაფერს დავაძალებთ. იტალიასთან მატჩის წინ, მან ისეთი პირობა წამოაყენა, რომელიც ნებისმიერი მწვრთნელისთვის მიუღებელი იქნებოდა. ჩვენ შორის მაშინდელი საუბრიდან გამოიკვეთა, რომ ნაკრებსა და კლუბს შორის, ასათიანი ამ უკანასკნელს ანიჭებდა უპირატესობას. მე კი არანაირი უფლება არ მქონდა, მის ნაბიჯს წინ აღვდგომოდი".

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან >> 4




## ყენია გამოირიცხა, კალაძე ისევ საეჭვოა

დღეს დუბლინისკენ >> 4



## ლიპარტელიანი უდიდესი გამოცდის წინ

პირველი დიდი სლემისთვის >> 11

TOURNOI DE PARIS ILE-DE-FRANCE
GRAND CHELEM
JUDO
7 - 8 FÉVRIER 2009
PALAIS OMNISPORTS DE PARIS-BERCY

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

XVIII ტურის წინათქმა

**7.02.09. ზუგდიდი. ცენტრალური. 14:00**
მგლები – ზესტაფონი
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი.
ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, ბ. ჭიჭინაძე.
მეოთხე მსაჯი: პ. დოგრაშვილი.
დისკვალიფიკაცია: ვლადიმერ ლიპარტია, მწვრთნელი (მგლები)

**7.02.09. გორი. თ. ბურჯანაძე. 14:00**
ვიტ ჯორჯია – მესხეთი
არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი.
ასისტენტები: ზ. ხუციშვილი, ზ. ბერულავა.
მეოთხე მსაჯი: ვ. გუმბერიძე.
დისკვალიფიკაცია: გიგა ბეჟვაია, დავით ლომაია, ვახტანგ კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია)

**7.02.09. თბილისი. ამერი. 14:00**
გაგრა – ლოკომოტივი Live
არბიტრი: ლ. სილაგავა.
ასისტენტები: ზ. ფიფია, ლ. თოდრია.
მეოთხე მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი.
დისკვალიფიკაცია: არავინ

**8.02.09. ბოლნისი. თ. სტეფანია. 14:00**
სიონი – სპარტაკი
არბიტრი: ლ. კვარაცხელია.
ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, ი. უკლება.
მეოთხე მსაჯი: ა. ნონიკაშვილი.
დისკვალიფიკაცია: არავინ

**8.02.09. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 14:00**
ბორჯომი – ოლიმპი
არბიტრი: გ. დოგრაშვილი.
ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, კ. გაბრიაძე.
მეოთხე მსაჯი: ი. ურუშაძე.
დისკვალიფიკაცია: არავინ

# მოზღვავებული, ზამთრის ენერგიით...

...საიუბილეო ჩემპიონატი განსხვავებულ-გამორჩეული უნდა ყოფილიყო და ასეც არის! აღარც ვიცით, საიდან დავიწყოთ: გუნდების რაოდენობით, სამწრიანი ტურნირით, დაძაბულობის მაღალი ხარისხით, ლამის ახალ წლამდე მატჩების ჩატარებით და ასე შემდეგ. ჰო, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ოფიციალური შეხვედრები 28 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. მერე, როგორც იქნა, ნანატრი პაუზაც (ფეხბურთელებისთვის, მწვრთნელებისთვის, მსაჯებისთვის და.. ჟურნალისტებისთვისაც) გამოცხადდა. პაუზაო, ვამბობთ, თორემ გუნდების თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ იანვარში, ყველაზე ბევრი, ერთი კვირა დაისვენა და მეორე ეტაპისთვის მზადებაც დაიწყო. გუშინაც ვწერდით, რომ უმაღლესი ლიგის თერთმეტი გუნდიდან მხოლოდ ორ-სამს ჩაუვარდა მოსამზადებელი პერიოდი. დანარჩენებმა კი ჩვენთან თუ უცხოეთში ორჯერად ვარჯიშებს ერთობ საჭირო და სასარგებლო სპარინგ-მატჩები "მიაყოლეს" და ახლა მოზღვავებული ენერგიით დაიწყებენ ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპს.

საიუბილეო ჩემპიონატის განსხვავებულ-გამორჩეულობაზე კიდევ ბევრი ითქმება; თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ჩემპიონატი 7 თებერვალს უნდა განახლდეს! ასე ადრე კი ჩვენთან სეზონი არ დაწყებულა (ჩემპიონატის შეხვედრებს ვგულისხმობთ), თუმცა, კიდევ კარგი, თებერვალი სუსხიანი არ გამოდგა და ფეხბურთელებსაც ქარბუქსა და ყინვაში არ მოუწევთ მოედანზე გამოსვლა.

მოკლედ, ავად თუ კარგად, ჩემპიონატი სამი მატჩით დღეს განახლდება, ხვალ კი დანარჩენი ორი შეხვედრაა და ჩვენც თანმიმდევრობით მივყვეთ.

სხვების რა მოგახსენოთ, მაგრამ, ჩვენი აზრით, ტურის ცენტრალური მატჩი ზუგდიდში ჩატარდება, სადაც ადგილობრივი „მგლები" „ზესტაფონს" უმასპინძლებს. **ბესიკ შეროზიას** გუნდმა პირველ ეტაპზეც არაერთხელ დაიმსახურა კომპლიმენტები ქართული სპორტული მედიისგან; ეგ კი არა, მართლაც საინტერესო მწვრთნელის მუშაობა ზოგიერთი კოლეგისგანაც დადებითად შეფასდა. ამჟამად „მგლებს" ისეთი შემადგენლობა ჰყავს, მაღალი ადგილებისთვისაც რომ შეეძლება ბრძოლა; მთავარია, გუნდის უამრავმა ახალწვეულმა ერთმანეთთან შეთამაშება მოასწროს. სხვათა შორის, ანალოგიური პრობლემების წინაშეა „ზესტაფონის" თავკაცი **გია გეგუჩაძეც** - პირველ და მეორე ეტაპებს შორის პაუზის დროს იმერულ კლუბშიც ხომ საკმაოდ ბევრი საკადრო ცვლილება მოხდა. ზუგდიდური შეხვედრა გეგუჩაძისთვის მეოთხე იქნება „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის რანგში (ოფიციალურ მატჩებს ვგულისხმობთ). ბევრისთვის მოულოდნელად, ახალი მწვრთნელის ხელში „ზესტაფონმა" ერთი ფრე ითამაშა და ორი წააგო, მაგრამ ამ შედეგებით დასკვნების გაკეთება, რაღა თქმა უნდა, ნაადრევია. თანაც, არავინ იცის, თუ რა გუნდი ეყოლება ამ ახალგაზრდა და ამბიციურ სპეციალისტს მეორე ეტაპზე.



რატი ალექსიძე ეროვნულ ჩემპიონატში ალარ ითამაშებს

მით უმეტეს, რომ ანთალიურ შეკრებაზე ჩატარებულ ექვსივე საკონტროლო მატჩში „ზესტაფონის" შემადგენლობა მუდამ გადახალისებული იყო. საერთოდ, უმაღლეს ლიგაში „მგლებისა" და „ზესტაფონის" ურთიერთდაპირისპირებაში უპირატესობა უკანასკნელთა მხარეს არის: სამ შეხვედრაში ორი გამარჯვება და ერთი ფრე. პირველ წრეში „ზესტაფონმა" იმარჯვა, როცა **ნიკა [illegible]ელ[illegible]შვილის** ერთადერთი გოლით დაამარცხა მეტოქე. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმის მერე ორივე გუნდში უამრავი ცვლილება მოხდა. ყველაზე დიდ ინტერესს კი ორი ფეხბურთელის ასპარეზობა იწვევს, რომლებთაც ყოფილი თანაგუნდელების წინაშე მოუწევთ გამოსვლა: „მგლების" ახალწვეული **რ[illegible]ინ ონიანი** წლების განმავლობაში „ზესტაფონის" ლიდერი და კაპიტანი გახლდათ, „ზესტაფონის" ამჟამინდელმა მეკარემ **ზურაბ მამალაძემ** კი პირველი ეტაპი, პირიქით, ზუგდიდურ კლუბში ჩა[illegible]ტა, რა...

„მგლები"-"ზესტაფონის" შეხვედრაში ფავორიტის დასახელება თუ მართლაც ძნელი საქმეა, სამაგიეროდ, მეორე შეხვედრაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ უფრო ძლიერსა და მაღალი კლასის გუნდს გამარჯვების მოპოვება გაუჭირდეს. რაღა თქმა უნდა, ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერსა და ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტზე - „ვიტ ჯორჯიაზე" ვსაუბრობთ. ძნელი დასაჯერებელია, რომ **რამაზ მუმლაძის** ამბიციურმა გუნდმა დაუგეგმავი ქულები გაფლანგოს; მით უფრო, რომ უახლოესი მდევარი „დინამო" ამ ტურში ისვენებს. „ვეტერანარები" მშვენიერი განწყობით ჩამოვიდნენ ანთალიიდან, სადაც ნაყოფიერი მოსამზადებელი ეტაპი ჰქონდათ. აი, დღევანდელ მეტოქეს კი ნამდვილად არ ულხინდა: „მესხეთმა" ერთი კვირაა, რაც ვარჯიში დაიწყო! ჰოდა, აქედან გამომდინარე, როგორ გინდა „მესხეთს" ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან ტოლი-ტოლზე პაექრობა მოსთხოვო? თანაც, ახალციხელთა მთავარი მწვრთნელი **კობა თედიაშვილი** ლამის... დღევანდლამდე ცდილობდა „მესხეთის" ასე თუ ისე სრულფასოვნად დაკომპლექტებას. შეგახსენებთ, რომ გუნდიდან ძალიან ბევრი წამყვანი ფეხბურთელი წავიდა, თუმცა ბოლო დღეებში მატებაც იყო - „ლოკომოტივის" აწ უკვე ყოფილი სამი წევრი (**ზურაბ ბათიაშვილი, ზვიად ჩხეტიანი, თემურ ფარულავა**) ამიერიდან „მესხეთში" ითამაშებს. რაც შეეხება პირველი წრის შეხვედრას, ის მატჩი „ვიტ ჯორჯიას" მინიმალური გამარჯვებით დასრულდა - ერთადერთი გოლი **გიორგი მელქაძემ** გაიტანა. სხვათა შორის, ამ გოლის მერე მელქაძე მოედნიდან გააძევეს, შემდეგ მისი ბედი მასპინძელთა ფორვარდმა **ბორის გონჩაროვმაც** გაიზიარა.

დიდი ინტერესით ველოდებით დღევანდელ მესამე შეხვედრასაც: უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლმა „გაგრამ" ბოლო დროს აშკარად დასუსტებულ „ლოკომოტივს" უნდა უმასპინძლოს. ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში „ლოკომოტივმა" **ირაკლი სამხარაძის** „დუბლით" რომ იმარჯვა, ეს მოგება, ძირითადად, კლასის და გამოცდილების ხარჯზე გახლდათ. სამხარაძეს პირველ შემთხვევაში ასისტენტობა **რატი ალექსიძემ** გაუწია, მეორედ - **ლევან ცქიტიშვილმა**. სამწუხაროდ, სამხარაძე, ალექსიძე, ცქიტიშვილი და იმდროინდელი"ლოკომოტივის" კიდევ ერთი ლიდერი **ვიტალი დარასელია** ამჟამად გუნდში ალარ არიან. საერთოდაც, **გიორგი კიკნაძესა** და **ზაზა ზამთარაძეს** მეტისმეტად ახალგაზრდული გუნდით მოუწევთ მეორე ეტაპის ჩატარება და, აქედან გამომდინარე, ძალიან ძნელია „ლოკომოტივის" მიზნებზე საუბარი. „გაგრას" კი კონკრეტული მიზანი აქვს და ზემოთაც მოგახსენეთ. თანაც, **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდს მომდევნო სამი შეხვედრაც ურთულესი ელოდება („ოლიმპთან", „ზესტაფონთან" და „მესხეთთან"). აქვე ისიც ვთქვათ, რომ ბევრს გვაინტერესებს „გაგრას" უკრაინელი ახალწვეულის **ვლადიმერ კოზლენკოს** საქმეში ნახვაც.

ახლა კი ხვალინდელ მატჩებზეც გადავიდეთ; ერთი შეხედვით, „სიონი"-"სპარტაკის" წყვილში უპირობო ფავორიტად მასპინძლები უნდა მიგვეჩნია. **ოთარ კორღალიძის** გუნდი მედლების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია და ისედაც სოლიდური შემადგენლობა მეორე ეტაპის დაწყების წინ კიდევ უფრო გააძლიერეს. რაც შეეხება „სპარტაკს", გუნდი სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილზეა და ამჟამად, ალბათ, დიდი მნიშვნელობაც არ ექნება, თუ მეტოქედ ვინ ეყოლება - ქულათა მარაგს ხომ შევსება-მიმატება სჭირდება. სხვათა შორის, „სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **სერგო გაბელაიამაც** აქტიური სატრანსფერო კამპანია აწარმოა და გუნდში არაერთ ახალწვეულს უხმო. განსაკუთრებით დამაინტრიგებელი კი ხვალინდელ შეხვედრაში „სიონის" ოთხი ყოფილი ფეხბურთელის - **გიორგი ჩივაძის, შოთა ჯიქიას, მურმან ქურასბედიანისა** და **გიორგი ოქროპირიძის** მონაწილეობა უნდა იყოს. ახალს არაფერს ვიტყვით - ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მოთამაშეები განსაკუთრებული მოტივაციით ასპარეზობენ. სხვათა შორის, „სიონშიც" თამაშობს „სპარტაკის" ორი ყოფილი ფეხბურთელი - **გიორგი ხიდეშელი** და **კობა შალამბერიძე**. სულ კი „სიონი" და „სპარტაკი" უმაღლეს ლიგაში ერთმანეთს მეექვსედ უნდა შეხვდნენ და უპირატესობა აშკარად ბოლნისელთა მხარეს არის: ოთხი გამარჯვება და ერთი ფრე.

ტურის უკანასკნელ შეხვედრას რაც შეეხება, აქ, თავდაპირველად, თითქოსდა ყველაფერი გარკვეული უნდა ყოფილიყო - ტემპაკრეფილი „ოლიმპი" ძლევამოსილი სვლის გაგრძელებას შეეცდებოდა და ბორჯომიდანაც სამ ქულას წამოიღებდა. შესაძლოა, ყველაფერი ასეც მოხდეს: „ოლიმპში" არც საკადრო რევოლუცია მომხდარა და შეკრებაც გუნდმა ნაყოფიერი გაიარა. მოკლედ, **ვარლამ კილასონიას** გუნდს ჩემპიონატის მეორე ეტაპის ამაღლებულ ხასიათზე დაწყება არ აწყენდა. მით უმეტეს, რომ მეტოქე ფაქტობრივად, სრულიად მოუმზადებელი ხვდება მეორე ეტაპს და მწვრთნელ-ფეხბურთელებიც გუნდში ორი-სამი დღის მისულები არიან!

ერთადერთი სიახლე „ბორჯომში" **ოთარ გაბელიას** გამოჩენაა - წარსულში სახელოვანი ქართველი მეკარე ამიერიდან უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერ გუნდში მწვრთნელ-კონსულტანტად იმუშავებს.

ისე, ალბათ, ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაც უნდა ვახსენოთ, რომელიც, ყველასთვის მოულოდნელად, საყაიმო ანგარიშით (1:1) დამთავრდა. უცნაური მატჩი იყო - სტუმრებმა „ოლიმპის" კარში მხოლოდ ერთხელ დაარტყეს და გოლიც გაიტანეს (**ირაკლი კიკნაძე**); მაშინ, როცა მასპინძლებს, სულ მცირე, შვიდი-რვა ერთმანეთზე უკეთესი მომენტი ჰქონდათ და მხოლოდ **გიორგი გაბიდაურის** ჯარიმიდან გატანილ გოლს გამორჩნენ. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ იმ შეხვედრამდე „ოლიმპი" სამი ქულით სატურნირო ცხრილის... უკანასკნელ საფეხურზე იმყოფებოდა. თუმცა, იმ მატჩის მერე ვარლამ კილასონიას გუნდმა საკუთარ აქტივს 22 ქულა მიუმატა, „ბორჯომმა" კი მხოლოდ - სამი...

**გია ტუხაშვილი**

| | სულ | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ვიტ ჯორჯია | 16 | 11 | 4 | 1 | 29-10 | 37 | 5 | 1 | 1 | 15-5 | 16 | 6 | 3 | 0 | 14-5 | 21 |
| 2. დინამო | 15 | 10 | 1 | 4 | 32-12 | 31 | 6 | 1 | 0 | 22-5 | 19 | 4 | 0 | 4 | 10-7 | 12 |
| 3. ოლიმპი | 15 | 6 | 7 | 2 | 16-9 | 25 | 4 | 4 | 0 | 9-2 | 16 | 2 | 3 | 2 | 7-7 | 9 |
| 4. ზესტაფონი | 14 | 7 | 3 | 4 | 15-9 | 24 | 5 | 0 | 3 | 10-5 | 15 | 2 | 3 | 1 | 5-4 | 9 |
| 5. სიონი | 15 | 6 | 6 | 3 | 17-10 | 24 | 2 | 3 | 2 | [illegible]-8 | 9 | 4 | 3 | 1 | 8-2 | 15 |
| 6. ლოკომოტივი | 15 | 7 | 1 | 7 | 20-15 | 22 | 4 | 0 | 4 | 9-5 | 12 | 3 | 1 | 3 | 11-10 | 10 |
| 7. მგლები | 16 | 5 | 3 | 8 | 16-22 | 18 | [illegible] | 1 | 3 | 10-6 | 13 | 1 | 2 | 5 | 6-16 | 5 |
| 8. მესხეთი | 15 | 4 | 4 | 7 | 12-23 | 16 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 | 2 | 1 | 4 | 4-13 | 7 |
| 9. გაგრა | 16 | 4 | 3 | 9 | 13-26 | 15 | 4 | 2 | 2 | 10-9 | 14 | 0 | 1 | 7 | 3-17 | 1 |
| 10. ბორჯომი | 15 | 2 | 5 | 8 | 14-33 | 11 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 6 | 1 | 2 | 6 | 8-25 | 5 |
| 11. სპარტაკი | 14 | 2 | 1 | 11 | 11-26 | 7 | 1 | 1 | 6 | 8-16 | 4 | 1 | 0 | 5 | 3-10 | 3 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვაწაძე (დინამო) | 8 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 8 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 7 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 7 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 7 |
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გაბედავა (გაგრა) | 6 |
| გ. თოდუა (მგლები) | 6 |
| კოშკაძე (სიონი) | 6 |
| მერებაშვილი (დინამო) | 6 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 6 |
| ცქიტიშვილი (ლოკომოტივი) | 6 |

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოკომოტივი ინტერვიუ გიორგი კიკნაძესთან



გიორგი კიკნაძე

# დრო კიდევ გვაქვს

თბილისის „ლოკომოტივს" შუასასეზონო პერიოდში კარგი ამბავი ვერ შეემთხვა - კლუბის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შემცირდა, რასაც გუნდიდან წამყვანი ფეხბურთელების წასვლა მოჰყვა: ლევან ცქიტიშვილი, რატი ალექსიძე... „ლოკომოტივს" კიდევ არა ერთი საკვანძო ფეხბურთელი გამოეცალა და, ფაქტობრივად, ახალი გუნდით მოუწევს სეზონის გაგრძელება. ცხადია, ასეთი „ლოკომოტივი" ჩემპიონატში მაღალი მიზნებისთვის ვერ იბრძოლებს, მაგრამ ამ სეზონში იმის შანსი კი აქვს, უტიტულოდ რომ არ დარჩეს - თასის ნახევარფინალშია გასული და... თასს კი, მოგეხსენებათ, სხვა სპეციფიკა აქვს, ვინ იცის, რა მოხდება...

ლოკომოტიველთა ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი გიორგი კიკნაძე გუნდში არსებულ ვითარებასა და მომავალზე საუბრობს...

- ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაც „ლოკომოტივში" მოხდა, რას ელით თქვენი გუნდისგან? როგორი იქნება „ლოკომოტივი" მეორე ეტაპზე?

- გუნდში დარჩნენ ფეხბურთელები, შარშან ძირითადში რომ თამაშობდნენ - ნიკა გუშარაშვილი, კახა მახარაძე, ირაკლი ჩირიკაშვილი, გიორგი კახელიშვილი... წულაძე, რომელიც ტრავმის მერე მომჯობინდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოვახერხეთ გიორგი ლომაიას შენარჩუნება. დავიმატეთ გიორგი მოდებაძე - მას მიკროტრავმა აწუხებს და შესაძლოა ამ ტურში „გაგრასთან" ვერ ითამაშოს. ავიყვანეთ საკმაოდ საინტერესო ახალგაზრდებიც. ერთი სიტყვით, ვეცდებით, ნებისმიერ მეტოქეს სერიოზული წინააღმდეგობა გავუწიოთ.

**-საკვანძო ფეხბურთელი ყველა რგოლში გამოგაკლდათ. დაცვიდან დავიწყოთ - წინასწარი მონახაზით ვინ იქნება გუშარაშვილის მეწყვილე დაცვის ცენტრში? თემურ ფარულავა ხომ „მესხეთში" გადავიდა...**

- „ლოკომოტივში" მოვიყვანეთ გიორგი ხუმარაშვილი, რომელიც ბოლოს თელავის „კახეთში" თამაშობდა. გვყავს „ვიტ ჯორჯიადან" იჯარით აყვანილი კაიშაურიც. მან ტრავმა მოირჩინა და ახლა კარგ კონდიციაშია. ჩვენს განკარგულებაშია ლევან ჩაგელიშვილიც. მოკლედ, დაცვაში კარგი კონკურენცია იქნება.

**- „ლოკომოტივის" თამაში ლევან ცქიტიშვილს მიჰყავდა. მის როლს ვინ შეეჭიდება?**

- საქართველოში ცქიტიშვილის შემცვლელ ფეხბურთელს, ალბათ, ვერავინ დამისახელებს. მის პოზიციაზე თამაში, შესაძლოა, წულაძეს, ჩირიკაშვილს ან მახარაძეს დავავალოთ...

**- „ლოკომოტივმა" ირაკლი სამხარაძის შენარჩუნება ვერ მოახერხა?**

- მან „ლოკომოტივი" დატოვა... არც ვიცი, სად გადავიდა.

**- ფარულავა, ჩხეტიანი, დარასელია, სამხარაძე, ცქიტიშვილი, ალექსიძე... ეს ძალიან დიდი დანაკლისია...**

- კლუბი აგრძელებს სპონსორის მოზიდვაზე მუშაობას. შესაძლოა, მაისიდან „ლოკომოტივის" სახელფასო ფონდი გაიზარდოს და თუ ასე მოხდა, სულ სხვა გუნდის შექმნა მოგვიწევს. ახლა კი დარჩენილი და დამატებული ფეხბურთელებით უნდა ვიბრძოლოთ, ფინანსურმა პრობლემებმა სხვა გზა არ დაგვიტოვა.

**- გუნდის ტაქტიკა იმის მიხედვით იქმნება, როგორი ფეხბურთელებიც ჰყავს. თუ ამ პრინციპს გავიზიარებთ, „ლოკომოტივის" სათამაშო კონცეფცია მნიშვნელოვნად შეიცვლება?**

- რა თქმა უნდა, თუმცა წინასწარ ვერ გეტყვით, რომელი იქნება ძირითადი განლაგება. სათამაშო სქემა იმის მიხედვითაც აიგება, თუ რომელ მეტოქესთან მოგვიწევს ბრძოლა.

**- ალბათ, ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ „ლოკომოტივი" ველარ იქნება ისეთი, შარშან რომ იყო. მაინც როგორ გუნდს ვიხილავთ? როგორც უნდა იყოს, აქცენტს, ალბათ, თასზე გადაიტანთ...**

- წამყვანი ფეხბურთელების გაშვებას კი არა, გამოცდილი მოთამაშეებით გაძლიერებას ვაპირებდით. მაგალითად, დიდავასა და ქემოკლიძის აყვანა გვინდოდა, მაგრამ... ფარ-ხმალს არ ვყრით - როგორც ჩემპიონატში, ისე თასზე, სადაც ნახევარფინალში ვართ გასულები. ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება. ვნახოთ... ჩემპიონატში კი რაც შეიძლება მაღალი ადგილისთვის ვიბრძოლებთ.

**- მეორე ეტაპისთვის „ლოკომოტივის" დაკომპლექტება დასრულებულია?**

- სელექციას ვაგრძლებთ და შესაძლოა, კიდევ დავიმატოთ ფეხბურთელები. არის იმის შანსი, რომ სპონსორი თებერვალშივე გამოგვიჩნდეს. მოკლედ, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დრო კიდევ გვაქვს...

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ ირაკლი სამხარაძე

# მესამედ მომიწევს თავიდან დაწყება

**2007 წლის დასასრულს თბილისის „ლოკომოტივმა" ნიკა გუშარაშვილსა და ირაკლი სამხარაძეს ხანგრძლივი კონტრაქტები გაუფორმა. მათ გარშემო კლუბის მომავლის მშენებლობა უნდა დაწყებულიყო. სამწუხაროდ, აგვისტოს ომმა და ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა „ლოკომოტივსაც" დაარტყა - გუნდმა წამყვანი ფეხბურთელები ვერ შეინარჩუნა. ლევან ცქიტიშვილის, ვიტალი დარასელიას და სხვათა კვალდაკვალ, გუნდი ირაკლი სამხარაძემაც დატოვა. თუ სად აპირებს ის კარიერის გაგრძელებას და რატომ წავიდა „ლოკომოტივიდან", ამის თაობაზე თავად ფეხბურთელისგან შევიტყობთ...**

**- ირაკლი, გუნდებმა მოსამზადებელი ეტაპი უკვე დაასრულეს, შენ კი არსად ჩანხარ. მეორე წრეს რომელ გუნდში დაიწყებ?**

- დღემდე ფეხი მტკივა, ვერა და ვერ მოვირჩინე. დეკემბერში „დინამოსთან" თამაში რომ გვქონდა, მოედანზე ცუდ დროს შევედი, წესით, იმ დღეს არც უნდა მეთამაშა. კუნთი მტკიოდა და არ ვვარჯიშობდი. ჰოდა, კუნთის ტკივილს კოჭის ტრავმაც დაერთო თან და დღემდე ძალიან მაწუხებს. გუშინ ვივარჯიშე და ვიფიქრე, მალე ნორმალურ დატვირთვასაც შევძლებ-მეთქი. ყველაფერი კარგად წავიდა, მაგრამ... ისევ ტკივილი. ასე რომ, სეზონს ვერსად დავიწყებ.

**- „ლოკომოტივიდან" წახვედი...**

- კი, ეს რამდენიმე ხნის წინ მოხდა.

**- კი მაგრამ, კლუბთან ხომ 10-წლიანი კონტრაქტი გააფორმე?**

- საქართველო და კონტრაქტი?! „ლოკომოტივში" მართლა სხვანაირად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი გამოვიდა. მეც ძალიან დამწყდა გული. ბოლო კრებაზე, როცა გადაწყდა, რომ გუნდიდან მივდიოდი, ჩვენი პრეზიდენტი ლექსო თოფურია გულახდილად გველაპარაკა პრობლემებზე და გული ჩამწყდა პირდაპირ. ქართული ფეხბურთის დახმარებას გულით ცდილობდა, მაგრამ ყველას პრობლემა შეექმნა და გამონაკლისი არც „ლოკომოტივი" იყო.

**- ბოლოს და ბოლოს, რას აპირებ?**

- ფეხს მოვირჩენ და იქნებ, ზაფხულში უცხოეთში წავიდე. მინდა სადმე, ნორმალურ კლუბში მოვეწყო და ერთხელ მაინც მომეცეს თავის გამოჩენისა და გულით თამაშის საშუალება. მართლა დამწყდა გული, „ლოკომოტივისნაირი" ამბიციური კლუბი ასე რომ დაიშალა. მონატრებული ვარ ნაღდ ფეხბურთს, საფეხბურთო სიტუაციას, სავსე ტრიბუნებს, მაგრამ აქ ხომ ყველაფერი ჩაკვდა.

**- საქართველოს არც ერთი კლუბი არ შეგეხმიანა?**

- არც ერთი. სხვა გუნდებშიც ჩაკვდა ყველაფერი, 2-3 კლუბი თუ სუნთქავს და თან, ეტყობა, არც იციან, „ლოკომოტივიდან" რომ წავედი.

**- „გაგრაში" დაბრუნების სურვილიც არ გქონია?**

- ეტყობა, ასაკის გამო, თავად „გაგრასაც" არ ვუნდივარ, თან აფრიკელები ჩამოიყვანეს... ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა.

**- სხვათა შორის, ბოლო დღეებში გავრცელდა ჭორი, თითქოს თბილისის „დინამოს" შენი და ვიტალი დარასელიას დაბრუნება სურს...**

- ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. ვიტალიზეც მწყდება გული, 30 წლის ასაკში, საქართველოს გარდა, ფეხბურთს სად ანებებენ თავს?! რომ არ შეეძლოს თამაში, კიდევ მესმის, მაგრამ ჯან-ღონით სავსე კაცია და - ვითომც არაფერი. ასე მგონია, ჩვენთან კიდევ 20 წელი ნაღდი ფეხბურთი არ იქნება. იქნებ ეს გაუბედურებული და გაწაწყენებული ხალხი ფეხბურთით მაინც გავახაროთ. არიან ფეხბურთელები, არიან ნიჭიერი ბიჭები და შეიძლება კიდეც ნორმალური ლიგის გაკეთება, მაგრამ ჩვენთან საქმე არ იციან. არადა, ყველას გვინდა, ძლიერი ჩემპიონატი გვქონდეს, სადაც სიამოვნებით ვითამაშებდით.

**- პირადად შენ, საქართველოს ჩემპიონატით ექტორ კუპერის დაინტერესებამაც არ გაგიჩინა სტიმული?**

- რა თქმა უნდა! კაცი დადის ჩემპიონატის თამაშებზე და აქ ეძებს ფეხბურთელებს. გინდა- არ გინდა, ეს დიდი სტიმულია. ფეხბურთელი ვარ და ნაკრებში მოხვედრა მეც მინდა... მაინც, ბედი არ გინდა? - ორჯერ მომიხდა ყველაფრის თავიდან დაწყება, ბოლო დროს ფორმაში შევდიოდი და ვუმატებდი, მაგრამ ზუსტად ამ დროს დავშავდი. ახლა მესამედ მომიწევს ნულიდან დაწყება.

**მერაბ მამულაშვილი**



ირაკლი სამხარაძე (მარჯვნივ)

ჰოისტიკი

# კაცი დაშლილი კომუნალნიკიდან

## ყაზახური ხინკალი, ვალები და სინანული დარასელიას გამო

„გაგრამ" უკრაინიდან 29 წლის ცენტრალური მცველი **ვლადიმირ კოზლენკო** დაიმატა. ეს არის ფეხბურთელი კიევიდან, რომელსაც უკრაინის არც ერთ ასაკობრივ ნაკრებში არ უთამაშია. „გაგრამდე" ის სხვადასხვა უკრაინულ და ყაზახურ კლუბში თამაშობდა. უკრაინის ჩემპიონატი ბორისფენის ცსკა-დან დააჭამნიკა. შემდეგ ყაზახეთში წავიდა და უსტკამენოგორსკის „ვოსტოკში" ჩაირიცხა, სადაც ქართველებს - **ზურაბ არჩვაძესა** და **გიორგი გოგიაშვილს** დაუმეგობრდა. როგორც თავად ამბობს, არჩვაძის ოჯახის ხშირი სტუმარიც იყო და ზურას მეუღლის კერძების, განსაკუთრებით კი ხინკლის გამო, ქართული სამზარეულოს ფანიც გახდა. „ვოსტოკიდან" კოზლენკო სწორედ იმ „კაისარში" გადავიდა, რომელიც „გაგრამ" ანთალიურ შეკრებაზე 3:1 დაამარცხა. როგორც უკრაინელი ამბობს, როცა „გაგრაში" თამაში შესთავაზეს, გადამწყვეტი ფაქტორი სწორედ ქართველებთან მეგობრობა აღმოჩნდა, ამავე დროს, ქართული სამზარეულოს ფაქტორიც არ იყო მეორეხარისხოვანიო, ამასაც დასძენს...

იყო კიდევ ერთი ფაქტორიც - ყაზახეთის შემდეგ კოზლენკო ლუგანსკის „კომუნალნიკში" თამაშობდა მანამ, ვიდრე მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა უკრაინასაც არ შეუტია. „კომუნალნიკი" 2008 წლის ნოემბერში დაიშალა და მას მერე ვალოდია უგუნდო და უვარჯიშებელი იყო.

იანვარში მან უკრაინაში საინტერესო ვერაფერი მოძებნა. თანაც ვალები აწუხებდა. კოზლენკო საქართველოში ვალების გასტუმრების სურვილმაც ჩამოიყვანა. „კომუნალნიკში" თამაშის დროს მან „ფორდის" მარკის ავტომანქანა ბანკის კრედიტით იყიდა და როცა გუნდი დაიშალა, უსახსროდ დარჩა. სწორედ ამ დროს მეგობრებმა „გაგრაში" თამაში შესთავაზეს, რადგან ქართული კლუბის პრეზიდენტი ამ პოზიციაზე მოთამაშეებს ეძებდა. კოზლენკოს არც უფიქრია, ისე წამოვიდა საქართველოში.

კრედიტის გასტუმრების იმედსაც „გაგრას" უკავშირებს. ხელფასის გარდა, კარგი თამაშისა და შედეგის შემთხვევაში, ის პრემიებსაც ელოდება. სხვათა შორის, ანთალიური მატჩისას, „კაისარში" მისი ყოფილი თანაგუნდელები ძალიან გაბრაზდნენ, როცა გაგრელთაგან ორივე გოლი კოზლენკომ გაიტანა. ეს თავად უკრაინელისთვისაც ბევრს ნიშნავდა, რადგან საქართველოში ჩამოსული მოთამაშისთვის პრინციპის საკითხი იყო, დაემტკიცებინა მათთვის, რომ მისი ახალი კლუბი ძველზე უფრო ძლიერია.

კოზლენკოს თაობაზე „გაგრამ" უკრაინის ფეხბურთის ფედერაციაში მოთხოვნა გაგზავნა და ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებამდე, წესით, მისი განაცხადში შეყვანა უნდა მოხერხდეს. ლაპარაკია ერთწლიანი კონტრაქტის ხელმოწერაზე.

ანთალიურ შეკრებაზე კოზლენკომ „გაგრის" სახელით 4 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა. იქვე უცქირა „ზესტაფონის" თამაშსაც და როგორც ამბობს, ამ გუნდის ფეხბურთი ძალიან მოეწონა. კოზლენკო მიიჩნევს, რომ „გაგრას" ძლიერი შეტევის ხაზი ჰყავს. თბილისის „ლოკომოტივთან" მეორე ეტაპის პირველივე მატჩს მოუთმენლად ელის, რადგან აინტერესებს, რა დონისაა საქართველოს პირველობა.

კოზლენკომ იცის, რომ „ლოკომოტივის" კარში **გიორგი ლომაია** დგას და ამიტომაც ჰგონია, რომ მოგება რთული იქნება, თუმცა საქართველოს ნაკრების მეკარისთვის გატანა მისთვის თავისთავად დიდი სტიმულია. სხვათა შორის, კოზლენკო უკრაინაში დაუმეგობრდა **ვიტალი დარასელიასაც**, რომელთან ერთადაც თავის დროზე ბორისფენის ცსკა-ში თამაშობდა. როცა მან ფეხბურთიდან ვიტალის წასვლის ამბავი შეიტყო, გული ძალიან დასწყდა, ამ ასაკში და თან ასეთი ნიჭიერი ფეხბურთელები კარიერას არ უნდა ამთავრებდნენო...

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

## სისე ისე არ ჩამოუყვანიათ...

### გეგუჩაძე: პირველი შთაბეჭდილებები ნორმალურია

„ზესტაფონმა“ შუასასეზონო პერიოდში სატრანსფეროდ საკმაოდ იაქტიურა, ოთხი ახალი ფეხბურთელი დაიმატა, გასინჯა არა ერთი მოთამაშე და ისევ აგრძელებს სელექციას.

ფეროელები თურქული შეკრებიდან 2 თებერვალს დაბრუნდნენ და თან სენეგალის 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი **ინდრესა სეგა სისე** წამოიყვანეს. „ზესტაფონის“ მთავარმა მწვრთნელმა **გიგა გეგუჩაძემ** გვითხრა, რომ სისეზე პირველი შთაბეჭდილებები ნორმალურია. „ზესტაფონში“ სენეგალელის ტრანსფერის საკითხი დაახლოებით ერთ კვირაში გადაწყდება.

**ნიკა გელაშვილი, ერიკ ჩასემი, ზურაბ იონანიძე, ლევან მელქაძე და მიხეილ კაკალაძე** - „ზესტაფონს“ კვალიფიციური ფორვარდები კი ჰყავს, მაგრამ როგორც ჩანს, არც მეექვსე თავდამსხმელზე იტყვის უარს...

**დავით თავართქილაძე**

გაგრა

## პარტნიორი აფრიკიდან, მოთამაშეები ბრაზილიიდან

„გაგრაში“ სელექციაზე დიდ დროსა და ენერგიას ხარჯავენ. კლუბის მესვეურებმა აფრიკასა და უკრაინაში საინტერესო მოთამაშეების ძებნა დაიწყეს, ხოლო საქართველოს ბაზარზე რომ ადრეც აქტიურად მუშაობდნენ, ეს არავისთვისაა სიახლე.

ჩვენთვის ცნობილი გახდა „გაგრას“ პრეზიდენტ **ბესიკ ჩიხრაძის** ძალზე მნიშვნელოვანი და გონივრული გადაწყვეტილება - კლუბს ნიგერიაში ერთ-ერთ საფეხბურთო სკოლასთან სურს ხელშეკრულების გაფორმება. როგორც შევიტყვეთ, მოლაპარაკება მიმდინარეობს და წინასწარი შეთანხმება მიღწეულია. თუმცა აფრიკელებთან კონტრაქტის გაფორმებამდე „გაგრაში“ ამ თემაზე კომენტარს ერიდებიან. ის კი დაგვიდასტურეს, რომ ნიგერიელ თავდამსხმელ **ოვონიკოკოსა** და უკრაინელ მცველ **კოზლენკოს** ხელშეკრულებები გაუფორმდებათ.

„გაგრას“ ზამთრის სატრანსფერო ისტორიები ამით არ ამოიწურება: დღე-დღეზე თბილისში ელიან ბრაზილიელ მოთამაშეებს, რომლებიც სინჯებზე მოდიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

## გრიგალავას დიდი მომავალი აქვსო...

### ...ალექსიძე კი სასტარტოში გამოჩნდა

სანვრთნელ შეკრებაზე მყოფი „დიორ ეტო“ მაკედონიის „რაბოტნიჩკის“ შეხვდა და 3:0 მოუგო. ამ მატჩში უნგრული გუნდის სასტარტო შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა **რატი ალექსიძე**. ქართველმა ფორვარდმა პირველი ტაიმი ითამაშა, მეორე ნახევარში კი **დავით ოდიკაძემ** ითამაშა.

ავსტრიულმა „შტურმმა“ კი უნგრულ „დებრეცენთან“ გამოცადა ძალები. მატჩი უნგრელთა გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. „შტურმის“ ქართული დუეტიდან მოედანზე მხოლოდ **ილია კანდელაკი** ვიხილეთ, **გიორგი შაშიაშვილი** კი არ გამოჩენილა.

თურქულ შეკრებაზე გროზნოს „ტერეკმა“ 1:0 დაამარცხა ბულგარული „ლევსკი“. გუნდის ახალწვეული **ლევან გვაზავა** დაასვენეს. „მოსკვამ“ გერმანულ „მაგდებურგთან“ წააგო - 0:1. **გია გრიგალავამ** ახალ კლუბში პირველად ითამაშა. ის მეორე ტაიმში გამოჩნდა. „მოსკვას“ მთავარმა მწვრთნელმა **მიოდრაგ ბოჟოვიჩმა** ერთობ შეაქო ჩვენებური: „გრიგალავას თამაში მომეწონა, ეტყობა, რომ ძალიან ნიჭიერია. ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. მას დიდი მომავალი აქვს“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

შემთხვევა




ფედერაციისთვის ერთი კარგი საფოსტო მტრედი მშვენიერი ფეშქაში იქნებოდა

ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

## საკომუნიკაციო კრიზისი ფედერაციაში

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში რა არ მომხდარა. ისეც ყოფილა და ასეც, მაგრამ ისეთი, რაც გუშინ მოხდა...**

**გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში საქართველოს ეროვნული ნაკრების არგენტინელმა თავკაცმა ექტორ კუპერმა გამართა პრესკონფერენცია, რომელსაც „ლელო“... არ დასწრებია. პრესკონფერენციის შემდეგ ფედერაციის პრესსამსახურს დავუკავშირდით, სადაც გვითხრეს - წინა დღეს, როცა კუპერის ამ პრესკონფერენციაზე ვსაუბრობდით, თქვენი თანამშრომელიც იქ იყო, ანუ პრესკონფერენცია რომ ტარდებოდა, თქვენს გაზეთს უნდა სცოდნოდაო. ასეთი განმარტება მისაღებია თუ არა, ერთი საკითხია, მეორეა ის, ჩვენი თანამშრომელი ვალდებულია თუ არა ყველაფერს მოჰკრას ყური, რასაც მისი თანდასწრებით ფედერაციაში ლაპარაკობენ.**

**პრესკონფერენცია ოფიციალური ღონისძიებაა და მის შესახებ მედიელებს ოფიციალურად ატყობინებენ. კუპერის გუშინდელი პრესკონფერენციის შესახებ ფედერაციიდან არავინ შეატყობინა ჩვენს მთავარ რედაქტორს, მის მოადგილეს თუ ქართული ფეხბურთის განყოფილებაში მომუშავე რომელიმე თანამშრომელს. ამას გარდა, ფედერაციამ საკუთარ ვებგვერდზე ანონსიც არ განათავსა. შეგვრჩა მხოლოდ ლაპარაკი, რომელიც უნდა გაეგო წინა დღით ფედერაციაში მყოფ ჩვენს თანამშრომელს...**

**ეჭვის ალბათობა ყოველთვის არის, თუმცა არ გვგონია, ფედერაციაში ვინმეს გაუხარდა, რომ კუპერის გუშინდელ პრესკონფერენციას „ლელოდან“ ვერავინ დაესწრო. არსებობს შეცდომების გასწორების ფორმაც, მაგრამ ფედერაციიდან არ ყოფილა შემოთავაზება - რაც კუპერმა პრესკონფერენციაზე თქვა, ჩვენი პრესსამსახური მოგაწვდითო. ცხადია, ფედერაცია არ არის ვალდებული, იყოს „ლელოს“ ან რომელიმე სხვა მედიასაშუალების მეგობარი, მაგრამ მოვალეა, იყოს პარტნიორი. პარტნიორებს კი, ზოგადად, ასე არ ექცევიან.**

დავით თავართქილაძე

ირლანდია-საქართველო

## ყენიას გამოირიცხა, კალაძე ითამაშებს?

დღეს ღამით საქართველოს ნაკრები თბილისიდან დუბლინისკენ აიღებს გეზს, სადაც 11 თებერვალს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ირლანდიის ეროვნულ გუნდს შეხვდება. სამწუხაროდ, ტრავმებს ვერც ამჯერად ავცდით. უკვე იცით, რომ ნაკრებს „პალერმოს“ ფორვარდი **ლევან მჭედლიძე** და ყაზანის „რუბინის“ მცველი **ლაშა სალუქვაძე** გამოაკლდნენ. იმასაც შეგახსენებთ, რომ მათ ნაცვლად **ექტორ კუპერმა** გუნდს „დიორ ეტოს“ თავდამსხმელი **რატი ალექსიძე** და თბილისის „დინამოს“ მცველი **გურამ კაშია** დაამატა. გუშინ თქვეს, უმცროს კაშიას ტრავმა აქვსო. ბუნებრივია, კუპერის შტაბი ვითარებაში გარკვევას შეეცადა და თავად ფეხბურთელს დაუკავშირდა. აღმოჩნდა, რომ გურამს კუნთი აქვს დაჭიმული, მაგრამ ტრავმა სერიოზული არ არის. ჩვენი ინფორმაციით, კაშია დუბლინში ჩავა და თუ მდგომარეობა არ გაურთულდა, ითამაშებს კიდეც.

გასარკვევი იყო „შალკეს“ ნახევარმცველ **ლევან ყენიას** საკითხიც. ისიც დაშავებულია, მაგრამ არსებობდა მცირეოდენი შანსი, რომ ლევანი დუბლინში ითამაშებდა. შესაბამისად, ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ყენიას ტრავმაზე პასუხს რამდენიმე დღის განმავლობაში ელოდა. გუშინ კი ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა - სამწუხაროდ, ყენია ირლანდიაში ვერ დაგვეხმარება.

რაც შეეხება ნაკრების კაპიტან **კახა კალაძეს**, ის უკეთაა და დუბლინში გუნდთან ერთად იქნება. კუპერიც და თავად კალაძეც იმედოვნებენ, რომ კაპიტნის მდგომარეობა დანაკლისს არ გაზრდის.

მოკლედ, ასეთია სიტუაცია და ამდენი ცვლილების შემდეგ, ვგონებთ, საჭიროა დუბლინში გასამგზავრებელთა სიაც შეგახსენოთ:

მეკარეები - **გიორგი ლომაია, როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე;**

მცველები - **კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, დავით კვირკველია, უჩა ლობჟანიძე, გურამ კაშია, ალექსანდრე კვახაძე;**

ნახევარმცველები - **ლევან კობიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, დავით ოდიკაძე, ლევან ხმალაძე, გიორგი მერებაშვილი, ლუკა რაზმაძე, მურთაზ დაუშვილი;**

თავდამსხმელები - **ალექსანდრე იაშვილი, რატი ალექსიძე, დავით სირაძე, ბექა გოცირიძე.**

ნაკრები დუბლინის „ოტელ ჰილტონში“ დაბინავდება. ლეგიონერები პირდაპირ ირლანდიის დედაქალაქში ჩაფრინდებიან. გუნდი სრულად 9 თებერვალს შეიკრიბება, 11-ში კი „კორკ პარკზე“, 23:45 საათზე (თბილისის დროით), **ჯოვანი ტრაპატონის** შეგირდთა წინაშე წარდგება.

**დავით ცაბაძე**

## ასათიანი: თუ არ უნდა ჩემი გამოძახება, პირდაპირ თქვას, მე ნუ მაბრალებს!

**1 კუპერმა დასძინა, რომ ასათიანი კიდევ ერთხელ გამოიძახა (ალბათ, რუმინეთთან ამხანაგურ მატჩს გულისხმობდა) ნაკრებში, მაგრამ მაშინ მალხაზმა სავიზო პრობლემა და ტრავმა მოიმიზეზა...**

**გუშინ ასათიანს მოსკოვში დავუკავშირდით...**

- ვიცი, რაც თქვა კუპერმა ჩემზე. სიმართლე გითხრათ, დავიღალე მუდამ ერთსა და იმავეზე ლაპარაკით... მრჩება შთაბეჭდილება, რომ კუპერს რაც თავად აწყობს, იმას ამბობს. იქნებ, არ უნდა ნაკრებში ჩემი გამოძახება? თუ ასეა, სჯობს, ეს პირდაპირ თქვას და მე ნუ მადანაშაულებს.

**- კუპერმა თქვა, იტალიასთან მატჩის წინ რომ ვისაუბრეთ, ასათიანმა ნაკრებსა და კლუბს შორის არჩევანი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთა და ეროვნულ გუნდში თამაშს ვერ დავაძალებო...**

- ეროვნული ნაკრები ჩემთვის სამშობლოსთან ასოცირდება და ვერ წარმომიდგენია, ვინმემ ქვეყნის მთავარ გუნდში თამაში დამაძალოს, ან ამის დაძალება მჭირდებოდეს... რაო? არჩევანიო? ნაკრებში თამაში არჩევანის წინაშე არასდროს დამიყენებია. რაც შეეხება იტალიასთან მატჩის წინ ჩვენ შორის საუბარს, ამაზეც არა ერთხელ ვილაპარაკე და კიდევ ერთხელ განვმარტავ - მოსკოვის „ლოკომოტივში“ უთამაშებელი ვიყავი, კიევის „დინამოში“ გამანათხოვრეს. ახალ კლუბში ადაპტაციისა და ფეხის მოკიდებისთვის 4-5 თვე მჭონდა. სწორედ ამიტომ, კუპერს ვთხოვე - იტალიაში თამაში თუ არ მათამაშებ, სჯობს, კიევში დავბრუნდები, რათა კლუბში მეტი თამაში მომიწიოს და ნაკრებს ასე უფრო გამოვადგებიმეთქი. ვერ გავიგე, რომელ არჩევანზეა ლაპარაკი? ან კიდევ, რა არის სადავო იმაში, რომ ჩემთვის ეროვნული ნაკრები ყველაფერზე მაღლა დგას?

**- ამის შემდეგ კუპერმა რუმინეთთან ამხანაგური თამაშისთვისაც გამოგიძახა. მაშინ ითქვა, რომ გაუგებრობა წარსულს ჩაბარდა, თუმცა ბუქარესტში არ ჩასულხარ...**

- ტრავმა მქონდა და რა აზრი ჰქონდა ჩასვლას? ჯანმრთელი რომ ვყოფილიყავი, რა პრობლემა იქნებოდა, მაგრამ ფეხმტკივანი ვის რად ვუნდოდი? მით უმეტეს, ეროვნულ ნაკრებში?! ამას ეროვნულ ნაკრებს ვერ ვაკადრებდი.

**- ირლანდიასთან თამაშისთვის თბილისიდან ვინმე ხომ არ დაგკავშირებია?**

- არა, ამჯერად არ ვარ გამოძახებული. კიდევ ერთხელ ვამბობ - როცა საქმე ნაკრებს ეხება, ეს არჩევანის გასაკეთებელი თუ დასაფიქრებელი არ შეიძლება იყოს.

**- კუპერმა მომდევნო მატჩებისთვის რომ გიხმოს, ჩამოხვალ?**

- თუ ჯანმრთელი ვიქნები, რა თქმა უნდა, ჩამოვალ. კუპერი ნაკრების თავკაცია და მისი გადასაწყვეტია, გამომიძახებს, თუ არა. ხოლო თუ არ ვჭირდები, პირდაპირ თქვას, მე ნურაფერს დამაბრალებს.

**- ბოლოს საკლუბო მომავალზეც გვითხარი. გადაწყვეტილია, რომ „ლოკომოტივში“ არ დარჩები. „ყუბანის“ თავკაცმა ოვჩინიკოვმა თქვა - ასათიანი კი გვინდა, მაგრამ ტრანსფერს ფინანსურად ვერ გავწვდებითო. ამ მხრივ, ახალი სხვა არაფერია?**

- არა, სიახლე ჯერჯერობით არაფერია. აგენტი მუშაობს და იმედია, შედეგიც მალე იქნება. მანამდე კი „ლოკომოტივის“ დუბლებში ვივარჯიშებ...

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 21. წილისყრის შემდეგ

ინტერვიუ კახა ცხადაძესთან

# კალენდარი ჩვენთვის ხელსაყრელია

## ახალგაზრდულ ნაკრებს კლუბებისგან მხარდაჭერა დასჭირდება

მოგეხსენებათ, 21-წლამდელთა ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრამ მეტოქეებად თურქეთი, შვეიცარია, ირლანდია, სომხეთი და ესტონეთი გვარგუნა. უკვე ცნობილია მატჩების განრიგიც. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საკვალიფიკაციოს სექტემბერში, ესტონეთთან გასვლითი მატჩით იწყებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 21-წლამდელთა ახალ დამრიგებელ კახა ცხადაძეს გუნდის ჩამოყალიბებისთვის დრო შემოდგომამდე აქვს. თუმცა სასურველია, ნაკრების ბირთვის გაცილებით ადრე, ამხანაგური მატჩების შედეგად ჩამოყალიბდეს.

დანიიდან დაბრუნებულ კახა ცხადაძეს სწორედ ამ საკითხებზე ვესაუბრეთ...

**- რამდენად კმაყოფილი ხართ წილისყრით?**

- წილისყრამდე იყო ცნობილი, რომ 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე გასული გუნდები - გერმანია, ინგლისი, ესპანეთი და უნგრეთი პირველ და მეორე ჯგუფში ვერ მოხვდებოდნენ. ჩვენ II ჯგუფში აღმოვჩნდით და ამ მხრივ, ნამდვილად გაგვიმართლა. მაგრამ მეტოქეებს თუ გადახედავთ, ვერ იტყვით, რომ სუსტ ჯგუფში ვართ. ამასთან, ჩვენი და რუსეთის, ისევე, როგორც სომხეთისა და აზერბაიჯანის მეტოქეობა, გამორიცხული იყო. მოკლედ, თუ ჯგუფიდან გასვლა გვინდა, ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ და ასეც იქნება.

**- მეტოქეებზე რა წარმოდგენა გაქვთ?**

- ჩემი აზრით, თურქეთი და შვეიცარია გამორჩეული გუნდები არიან. ირლანდიის 21-წლამდელებზე ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ ამ ნაკრების ყველა ფეხბურთელი თუ არა, დიდი ნაწილი მაინც ინგლისურ კლუბებში თამაშობს, ამიტომ, ირლანდიელებთანაც რთული მატჩები გველის. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სომხეთი მესამე კალათში იყო და არც ამ გუნდთან გვექნება იოლი გასეირნება. ჩვენ დარად, ბოლო კალათში იყო ესტონეთიც, მაგრამ ეჭვი არ შეგეპაროთ, ეს გუნდიც თითოეული ქულისთვის გააფთრებით იბრძოლებს. არც ერთი მატჩი არ იქნება იოლი. მეტოქეებზე, ჯერჯერობით, მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვაქვს, მაგრამ მათ სათითაოდ შევისწავლით და უფრო მეტი გვეცოდინება.

**- კალენდარიც შედგენილია. რამდენად ხელსაყრელია ჩვენთვის მატჩების ამგვარი განრიგი?**

- კალენდარზე დაახლოებით ორსაათნახევარს ვთათბირობდით. საბოლოოდ, ამ ვარიანტზე მოვრიგდით. პრინციპში, ეს ის განრიგია, რაც ჩვენს ინტერესებში იყო - ბოლო კალათის წარმომადგენელ ესტონეთთან სასტარტო მატჩი სტუმრად და მერე საშინაო შეხვედრა თურქეთთან. თან კიდევ, ნოემბერში ეროვნულ ნაკრებს შესარჩევი თამაში არ აქვს და სწორედ ამიტომ გვინდოდა, რომ ირლანდიასა და შვეიცარიასთან ამ თვეში თამაში... უკანასკნელი სამი მატჩიც მისაღებია ჩვენთვის - ჯერ სომხეთსა და თურქეთთან სტუმრად, ბოლოს კი შინ სომხეთთან. ერთი სიტყვით, კალენდარი ჩვენთვის ხელსაყრელია, ახლა მთავარია გუნდის ჩამოყალიბება, კარგი სტარტი და წარმატებული გაგრძელება.

**- ალმასკომმა ახალგაზრდულის მთავარ მწვრთნელად იანვარში დაგამტკიცათ. სელექციისთვის გარკვეული კონტურები მოხაზული გაქვთ?**

- რა თქმა უნდა, ნაფიქრი გვაქვს, მაგრამ ამ საკითხზე კონკრეტული საუბარი ჯერ ნაადრევია. სელექციის პროცესი სწორად და ეფექტურად უნდა ჩავატაროთ, ამ ასაკის ყველა გამორჩეული ფეხბურთელი უნდა ვნახოთ...

**- გუნდის ჩამოსაყალიბებლად ამხანაგური მატჩებია საჭირო. რამდენადაც ვიცით, დანიაში რამდენიმე ნაკრების მწვრთნელთან გქონდათ საუბარი...**

- დიახ, ვესაუბრე ჩემს კოლეგებს. მათთან წინასწარი შეთანხმება უკვე გვაქვს. 28 მარტს ჩვენი ეროვნული ნაკრები კვიპროსთან სტუმრად თამაშობს. კვიპროსელები თანახმანი არიან, რომ ახალგაზრდული ნაკრებითაც ვესტუმროთ და ამხანაგური მატჩი გავმართოთ.



კახა ცხადაძე

1-ელ აპრილს კი ბელარუსთან შინ თამაში გვსურს. ამაზე ისინიც თანახმანი არიან. ივნისში ორი ამხანაგური შეხვედრის ჩატარება გვინდა და ამაზეც გვქონდა მოლაპარაკებები, 12 აგვისტოს კი ლიტვას სტუმრად უნდა შევხვდეთ. მოგეხსენებათ, სექტემბერში ესტონეთში გვიწევს შესარჩევის პირველი მატჩი და ლიტვაში საკონტროლო შეხვედრა ჩვენთვის გენერალური რეპეტიცია იქნება... ერთი სიტყვით, ამ ნაკრებებთან წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია და საბოლოო პასუხს ყველას ეტაპობრივად ვაცნობებთ. ამხანაგური მატჩების ორგანიზება პრობლემა არ იქნება და ეს ძალიან კარგია. მთავარია, ეს შეხვედრები გუნდის ჩამოყალიბებისთვის სათანადოდ გამოვიყენოთ.

**- 25 თებერვალს აზერბაიჯანთან საშინაო ამხანაგურ შეხვედრაზეც იყო საუბარი...**

- ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია, მხოლოდ ჩვენი თანხმობა აკლია. საქმე ისაა, რომ 25 თებერვალი ამხანაგური თამაშებისთვის გამოყოფილი თარიღი არ არის და ამ მხრივ, ჩვენი კლუბების თანადგომა დაგვჭირდება. ჩვენი ჩანაფიქრი ასეთია - გვინდა, აზერბაიჯანელებს ორი შემადგენლობით ვეთამაშოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოძახებულ ფეხბურთელებს თითო ტაიმი მოუწევთ თამაში. ჩემი სურვილია, მათ შესაძლებლობებს გავეცნო, რათა თითოეულ მათგანზე სრული წარმოდგენა მქონდეს.

**დავით ცაბაძე**

სტუმარი

გაბრიელე ჯულინი

# გთავაზობთ მცოდნე მწვრთნელს...

## კაცი, რომელიც ინტერის აქციონერი იყო. ანუ რატომ ჩამოვიდა საქართველოში ბელინცონას პრეზიდენტი?



გაბრიელე ჯულინი

თბილისს მეტად საინტერესო პიროვნება ეწვია - შვეიცარიის უმაღლესი ლიგის კლუბ „ბელინცონის“ პრეზიდენტი გაბრიელე ჯულინი. ის არ გახლავთ იმ კატეგორიის პრეზიდენტი, რომელიც მხოლოდ ფულს ითვლის და ჩვეულებრივი ვაჭრის ენაზე გელაპარაკება. თავად განსაჯეთ: ერთი საათის განმავლობაში მავან თურქ ჟურნალისტს ერთ-ერთ თურქ პოეტზე ესაუბრებოდა, თავისი კლუბის ფეხბურთელები დროდადრო ოპერაში დაჰყავს, მათთან ერთად სპექტაკლებში მონაწილეობს, ცდილობს, მოთამაშეები საკლუბო ბიბლიოთეკაში შეიტყუოს და გაანათლოს, კატეგორიულად არ უყვარს ისეთი მწვრთნელები, რომლებიც მენეჯერებთან არიან შეკრულები და არაჯანსაღი ინტერესები უჩნდებათ... და კიდევ ერთი დეტალი, რაზეც თავადაც გულიანად ეცინება: მობილური ტელეფონის ზარად საბჭოთა კავშირის ჰიმნი აქვს შერჩეული და ამაზე საქართველოში ხომ არ დამიჭერენო?

მცირე ხნის წინ, სინიორ ჯულინი მილანის „ინტერის“ ერთ-ერთი აქციონერიც გახლდათ, 6 თვის წინ კი შვეიცარიული „ბელინცონის“ პრეზიდენტად აირჩიეს. მოდით, გავიგოთ, რა მისიით ესტუმრა ბატონი გაბრიელე საქართველოს?

- ბელინცონა მილანიდან სულ რაღაც 90 კილომეტრშია. ეს არის შვეიცარიის იტალიური კანტონი, ანუ, ერთ-ერთი ადმინისტრაციული მხარე. ამ ქალაქის კლუბთან ურთიერთობა ისედაც მქონდა და „ინტერიდან“ წასვლის შემდეგ ამიტომაც მივედი „ბელინცონაში“.

**- „ინტერის“ დირექტორატიდან რატომ წამოხვედით?**

- იქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. მათ ჩემი არ ესმოდათ. მასიმო მორატი დირექტორატის აზრით არც ინტერესდებოდა, ყველა საკითხს თავად წყვეტდა. ჩვენთან კი, „ბელინცონაში“, ასე არ გახლავთ. მე მაინტერესებს, რას ფიქრობენ ჩვენი დირექტორატის წევრები, ვუსმენ და ვითვალისწინებ მათ აზრს.

**- საქართველოში თქვენი ჩამოსვლის მიზეზი გვაინტერესებს. რომელიმე კლუბთან აპირებთ ურთიერთობის დამყარებას, თუ ფეხბურთელების წაყვანა გსურთ?**

- არანაირი ტრანსფერი ფიქრადაც არ მქონია, არც რომელიმე ქართულ კლუბთან ურთიერთობის დამყარებას არ ვცდილობ...

**- აბა, რა არის თქვენი ვიზიტის მიზანი?**

- 1992 წელს ვიყავი საქართველოში და მსურდა, კიდევ ერთხელ ჩამოვსულიყავი, რადგან ამ ქვეყანაში ყველაფერი მაინტერესებს. საფეხბურთო კლუბის გარდა, მაქვს ხელოვნურსაფარიანი მოედნების მწარმოებელი კომპანია „ოლოსპორტი“, რომელიც ხარისხიანი პროდუქციის გამო, შვეიცარიასა და იტალიაში ძალიან პოპულარულია. ახლა „ოლოსპორტიდან“ მე და ჩვენი არქიტექტორი ჩამოვედით, რათა ზესტაფონში მოვინახულო ის ტერიტორია, სადაც ამ კლუბის ბაზა აშენდება.

**- ბაზის მშენებლობაში „ზესტაფონმა“ პარტნიორობა თქვენ შემოგთავაზათ?**

- ამაზე ჯერ არ გვილაპარაკია. კლუბს 5 მოედნის მოწყობა სურს, ხუთივე იქნება სტანდარტული, აქედან, ერთი - ნატურალური, ოთხიც ხელოვნურსაფრიანი. „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობასთან ჩვენ მხოლოდ ხელოვნურ საფარზე უნდა ვილაპარაკოთ. რაც ვიცი, ის არის, რომ კლუბის ბაზის მშენებლობა უკვე დაწყებულია, მოედნების მოწყობაზე კი ტენდერებია გამოცხადებული.

**- როგორც შევიტყვეთ, ქართველებს მწვრთნელის კანდიდატურას სთავაზობთ...**

- დიახ, ასეა. ზუგდიდში 30-მდე გამორჩეული, ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელი შეიკრიბება. ლაპარაკია იმ სპეციალისტებზე, რომლებიც 14-წლამდელ ქართველ ტალანტებს ავარჯიშებენ. ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული ასაკია, რომელსაც განსაკუთრებით ფაქიზი მოპყრობა და ცოდნა სჭირდება. ცოდნის მიღება კი მათ რობერტო მორინინისგან შეუძლიათ.

**- ვინ არის რობერტო მორინინი?**

- ცნობილი სპეციალისტი, რომელიც ახლა შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის განკარგულებაშია. თავის დროზე, შვეიცარიის ნაკრებში როი ჰოჯსონის ასისტენტი იყო. ეს კი ის პერიოდი იყო, როცა ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა ყველაზე კარგ შედეგს მიაღწია. „ლუგანოს“ მთავარ მწვრთნელად მუშაობის დროს, მორინინიმ „ინტერი“ უეფას თასიდან გააგდო, რაც მაშინ დიდი სენსაცია იყო. იმიტომაც შევთავაზე ის ქართულ მხარეს, რომ შეუძლია, აქაურ მწვრთნელებს ბევრი რამ ასწავლოს. ანალოგიური პროგრამით, რობერტო ალჟირსა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში მუშაობდა.

**- სემინარი როდის და სად უნდა ჩატარდეს?**

- აპრილში დაიგეგმა, ზუგდიდში, მაგრამ ეს მე არ მეხება. ჩემი მეგობრებისგან შევიტყვე და მსურს, კარგი, მცოდნე სპეციალისტი შემოგთავაზოთ. თუმცა სემინარის დეტალებიც გასარკვევია, ისევე, როგორც „ზესტაფონის“ ბაზასთან დაკავშირებული საკითხები. კლუბი ტენდერს ატარებს და ჩვენი კომპანია მასში მონაწილეობას აპირებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ძველი ალბომის გვერდი





# ხიზანა და კინი

ფოტორეპორტიორობა დიდად საინტერესო ხელობაა. კარგი ფოტო მოწონებასა და ემოციას იწვევს. ეს არის ხელობა, რომელიც ქმნის ექსპრესიას. დრო კი ფოტოს ფასს ან ამცრობს, ან აღიდებს.

ეს ფოტოები ექვსი წლის წინაა გადაღებული. მაშინ, საქართველოს ნაკრებმა ირლანდიასთან სტუმრად 0:2 წააგო. **ზურაბ ხიზანიშვილი და რობი კინი** - არ იყო ურიგო შეხლა და ფოტოებიც ისეთი გამოვიდა, როგორიც უნდა გამოსულიყო.

6 წლის შემდეგ ამ ფოტოებს, ალბათ, სულ სხვა ემოცია აქვს მათთვის, ვისაც ჩვენს ნაკრებსა და მის ფეხბურთელებზე შესტკივათ გული. ეს ის დროა, ხიზანიშვილი „დანდიდან“ „რეინჯერსში“ რომ გადადის, შოტლანდიაში საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად რომ აღიარებენ და სქოთთა საუკეთესო კლუბში მოხვედრით ახალი გამოწვევის წინაშე დგება...

ალლო, ჯანი და თავდაჯერებულობა - ხიზანიშვილს ეს ჰქონდა და შეეძლო, მცველის თამაში მიმზიდველი გაეხადა. მაშინ, ირლანდიელებმა არ იცოდნენ, რომ მალე ეს ფეხბურთელი კელტთათვის მოძულე პროტესტანტულ „რეინჯერსში“ რომ გადადიოდა და მხოლოდ შოთა არველაძეს ულრენდნენ ბურთის ყოველ მიღებაზე...

არ ვიცი, ითამაშებს თუ არა ხიზანიშვილი „ბლექბერნი“-„ასტონ ვილას“ დღევანდელ პრემიერლიგურ მატჩში. რამდენიმე დღის წინ კი, ასოციაციის თასზე „ბლექბერნმა“, „სანდერლენდს“ 2:1 რომ მოუგო, დამღლელი უთამაშებლობის მერე ზურამ ძირითადში თამაშის გემო გაიხსენა და თავურით ბურთი „სანდერლენდის“ კარის ძელსაც შეანარცხა.

11 თებერვალს საქართველო ერთხელაც გაეჯიბრება ირლანდიას და ვინძლო, ერთხელაც შეიბმებიან კინი და ხიზანიშვილი. ოღონდაც, ეს სულ სხვა დაპირისპირება იქნება - საქართველოს მაშინ, ალბათ, უფრო მეტი კარგი ფეხბურთელი ჰყავდა, ვიდრე დღეს, მაგრამ ამოცანა უცვლელია - საქართველომ ისევ მოგებისთვის უნდა იბრძოლოს.

COME ON GUYS - მიდით, ბიჭებო! შეჯახილი ორ ფეხბურთელს ნაზე გემრიელად ითქმის და ვინ იცის, იქნებ ზურამაც გაიხსენოს ნაკრებში გემრიელი თამაში. დრო კი ამ ფოტოების ფასს ნამდვილად არ ამცრობს.

**დავით საყვარელიძე**




# ინდივიდუალური მომზადება კარატეში

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტური ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, აუტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.

გერმანიის ნაკრები

# ლიოვმა თერიმს იოზილი წაართვა

## ბუნდესმწვრთნელმა ნორვეგიისთვის მესუთი, ბეკი და ვიზე გამოიძახა. ენკე თამაშგარეში




ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ნორვეგიასთან გასამართი ტესტმატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა და სიაში ბრემენის „ვერდერის“ ტალანტი **მესუთ იოზილიც** შეიყვანა. 20 წლის ნახევარმცველზე უდიდესი დისკუსიები მიდიოდა, რადგან მისი გადაბირება თურქეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ფათიჰ თერიმსაც** სურდა. ლიოვის სიაშია „ჰოფენჰაიმის“ მარჯვენა მცველი **ანდრეას ბეკიც**, მეკარე **რობერტ ენკე** კი იოგიმ თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა. საინტერესოა ისიც, რომ ლიოვმა უარი თქვა **ლუკას პოდოლსკის** სამსახურზე, რომელიც „ბაიერნში“ სათადარიგოთა სკამს ხეხავს. შეგახსენებთ, რომ გერმანია ნორვეგიას 11 თებერვალს დიუსელდორფში უმასპინძლებს. გამოძახებულები არიან კაპიტანი **მიხაელ ბალაკი** და **ტორსტენ ფრინგსი**, რომლებსაც გასული წლის მიწურულს ლიოვთან უთანხმოება ჰქონდათ.

*„საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა,* - განაცხადა იოზილმა, რომელიც აქამდე გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა, - *კონსულტაციები მქონდა როგორც ოჯახის წევრებთან, ასევე ნათესავებთან და მეგობრებთან. საბოლოოდ კი, მშობლიურ თურქეთს გერმანია ვარჩიე. ძალიან მიხარია, რომ ბუნდესგუნდის მაისურს მოვირგებ. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ გერმანიის ნაკრებში ადგილი დავიმკვიდრო. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მე ჩემი სამშობლო არ მიყვარს, ძალიან ცდება. გერმანიაში დავიბადე და გავიზარდე. თავის დროზე, თურქეთიდან გერმანიაში ბაბუაჩემი წამოვიდა, ამრიგად, მამაჩემიც აქ დაიბადა. გერმანიაში თავს ყოველთვის ძალიან კარგად ვგრძნობდი, ვთამაშობდი სხვადასხვა ფორმაციის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში. შესაბამისად, გასაკვირი არავისთვის უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მე არჩევანი გრმანიის სასარგებლოდ გავაკეთე“.*

იოზილთან ერთად ბუნდესგუნდში დებიუტი ექნება ჰოფენჰაიმელ ბეკსაც. ცოტა არ იყოს, გასაკვირია ის ფაქტი, რომ ლიოვმა უარი თქვა ენკეზე და **რენე ადლერთან** ერთად, „ვერდერის“ კარის დარაჯი **ვიზე გამოიძახა**. ენკემ გამოჯანმრთელების მერე ფორმა ძალიან სწრაფად აღიდგინა და წინა ტურში „შალკესთან“ შესანიშნავად ითამაშა. შესაბამისად, ყველა ელოდა, რომ იოგი სწორედ მას გამოიძახებდა და არა ვიზეს. ენკე იმედგაცრუებულია, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ლიოვი მას მომავალში აუცილებლად გამოიძახებს.

ბოლო მატჩისგან განსხვავებით (1:2 ინგლისთან), ლიოვმა განაცხადში აღარ შეიყვანა **ჯერმეინ ჯონსი** (შალკე), **ტობიას ვაისი, მარვინ კომპერი** (ორივე ჰოფენჰაიმი) და პოდოლსკი. პოლდიმ ვარჯიში ერთი კვირაა განაახლა და რაკი სათამაშო პრაქტიკაც არ აქვს, ლიოვის თქმით, ამჯერად ნაკრებში მისთვის ადგილი არ მოიძებნა. სამაგიეროდ, იოგიმ გამოიძახა „ლევერკუზენის“ ფორვარდი **შტეფან კისლინგი**. იმ შემადგენლობიდან, რომელიც გერმანიას ევროპის ჩემპიონატზე ჰყავდა, სიაში არ არიან **კრისტოფ მეტცელდერი** (რეალი), **მარსელ იანსენი** (ჰამბურგი) და **კლემენს ფრიტციც** (ვერდერი).

მეკარეები - **რენე ადლერი** (ლევერკუზენი), **ტიმ ვიზე** (ვერდერი);

მცველები - **ანდრეას ბეკი** (ჰოფენჰაიმი), **არნე ფრიდრიხი** (ჰერტა), **ანდრეას ჰინკელი** (სელტიკი), **ფილიპ ლამი** (ბაიერნი), **პერ მერტეზაკერი** (ვერდერი), **სერდარ ტასკი** (შტუტგარტი), **ჰაიკო ვესტერმანი** (შალკე);

ნახევარმცველები - **მიხაელ ბალაკი** (ჩელსი), **ტორსტენ ფრინგსი** (ვერდერი), **თომას ჰიტცლშპერგერი** (შტუტგარტი), **მარკო მარინი** (ბორუსია მ), **მესუთ იოზილი** (ვერდერი), **სიმონ როლფესი** (ლევერკუზენი), **ბასტიან შვაინშტაიგერი** (ბაიერნი), **პიოტრ ტროხოვსკი** (ჰამბურგი);

თავდამსხმელები - **მარიო გომესი** (შტუტგარტი), **პატრიკ ჰელმესი** (ლევერკუზენი), **მიროსლავ კლოზე** (ბაიერნი), **შტეფან კისლინგი** (ლევერკუზენი).

**გოტფრიდ ლენცი**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXV ტურის წინ

# დებიუტანტების ტური

## პრემიერლიგის კლუბების უმეტესობა მაყურებელს ახალ მოთამაშეებს გააცნობს







დღევანდელ დერბიში ტოტენჰემი რობი კინს, ხოლო არსენალი ანდრეი არშავინს წარადგენს

| დღეს | |
|---|---|
| მანჩესტერ სიტი-მიდლსბრო | 16:45 |
| ბლექბერნი-ასტონ ვილა | 19:00 |
| ჩელსი-ჰალ სიტი | 19:00 |
| ევერტონი-ბოლტონი | 19:00 |
| სანდერლენდი-სტოკ სიტი | 19:00 |
| ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 19:00 |
| ვიგანი-ფულჰემი | 19:00 |
| პორტსმუთი-ლივერპული | 21:30 |
| **ხვალ** | |
| ტოტენჰემი-არსენალი | 17:30 |
| ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ. | 20:00 |

ტურის ყველაზე საინტერესო მატჩი "უაით ჰარ ლეინზე" შედგება. ყველაზე უშელავათო ლონდონურ დერბიში "ტოტენჰემი" "არსენალს" უმასპინძლებს. დაპირისპირებას ეშხს მატებს ის გარემოება, რომ ორივე გუნდის შემადგენლობაში დებიუტანტს ვიხილავთ. თანაც დებიუტანტიც არის და დებიუტანტიც. "ტოტენჰემსა" და "არსენალს" ამ ფეხბურთელების დასაკუთრება დიდი ფულისა და ენერგიის ფასად დაუჯდათ.

ნახევარწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ "მამლების" მაისურში გამოეწყობა **რობი კინი**. ირლანდიელ თავდამსხმელს "ლივერპულში" ხელი მოეცარა და კვირის დასაწყისში, სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს, კვლავ ლონდონს მიაშურა. **ჰარი რედნაპმა** მისი ტრანსფერი დიდ მიღწევად შეაფასა და ფეხბურთელს უმალ კაპიტნის სამკლაური უბოძა. ამრიგად, დღეს "არსენალთან" მატჩში გუნდს კინი გაუძღვება, თუმცა ცენტრალური მცველის, **ლედლი კინგის** გამოჯანმრთელების შემდეგ, რობი სამკლაურს ისევ მას დაუბრუნებს.

"არსენალის" შემადგენლობაში კი დებიუტი ექნება რუსეთის ნაკრების თავდამსხმელს, **ანდრეი არშავინს**. ინგლისელი დ რუსი მიმომხილველები მთელი იანვრის განმავლობაში ბჭობდნენ, გადავიდოდა თუ არა ფეხბურთელი ლონდონურ გრანდში. ამ კითხვას სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს გაეცა პასუხი. "მეთოფეებს" არშავინი 15 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. **არსენ ვენგერმა** ფორვარდს, რომ იტყვიან, სულის მოთქმის საშუალებაც კი არ მისცა და უმალ განაცხადში შეიყვანა.

ინგლისის შრომის სამინისტრომ ფეხბურთელს უპრობლემოდ გაუკეთა სამუშაო ვიზა. ვენგერს მხოლოდ ის აქვს გადასაწყვეტი, არშავინი ძირითადში გაამწესოს, თუ სათადარიგოთა სკამზე. *"ვნახოთ, როგორ ფორმაშია ის. აჩქარებას არ ვაპირებთ. პირადად გავესაუბრებით და გადაწყვეტილებას მასთან შეთანხმებით მივიღებთ,"* – თქვა ვენგერმა გუშინდელი პრესკონფერენციისას.

"არსენალს" **ემანუელ ებუე** გამოუჯანმრთელდა. ვერ ითამაშებენ **აბუ დიაბი, სესკ ფაბრეგასი, თეო უოლკოტი** და **ტომაშ როსიცკი**. ამათგან, დიაბი სასჯელს იხდის. დანარჩენები კი ტრავმებს იმუშებენ. ერთი დისკვალიფიცირებული მოთამაშე "ტოტენჰემსაც" ჰყავს - **დევიდ ბენტლი**. ტერფის მძიმე ტრავმისაგან ჯერ ვერ განიკურნა **ალან ჰატონი**, დაშავებულია **ჯერმეინ დეფოც**.

გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი "მანჩესტერ იუნაიტედი" "ვესტ ჰემის" სტუმარია. **სერ ალექს ფერგიუსონმა** განაცხადში შეიყვანა **უეინ რუნი** და **პატრის ევრა**. ეს ფეხბურთელები მინიმუმ თადარიგში იქნებიან, თუმცა რომელიმე მათგანი შეიძლება ძირითად შემადგენლობაშიც ვიხილოთ. გუშინდელი პრესკონფერენციისას ფერგიმ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ რუნიცა და ევრაც თავს კარგად გრძნობენ და სათამაშოდ მზად არიან. გაციებულია **გარი ნევილი**. ის ლონდონში ვერ გაემგზავრა. ოქტომბრის შემდეგ შეიძლება პირველად ითამაშოს ძირითადის კიდევ ერთმა მცველმა **უესლი ბრაუნმა**. "ეშმაკები" ზედიზედ მე-14 მატჩში შეეცდებიან კარის მშრალად შენახვას.

"ვესტ ჰემის" თავკაცი **ჯანფრანკო ძოლა** ნახევარმცველ **რადოსლავ კოვაჩის** გამოყვანას აპირებს. ჩეხი მცველი მოსკოვის "სპარტაკის" საკუთრებაა, თუმცა იანვრის ტრანსფერებისას ექვსთვიანი იჯარით ლონდონს მიაშურა. "ჩაქუჩებს" სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ. ტრავმების გამო ვერ თამაშობს ძირითადის სამი ფეხბურთელი - **კირონ დაიერი, დენი გებიდონი** და **დინ ეშტონი**...

"ლივერპული" კრიზისში მყოფ "პორტსმუთს" სტუმრობს. მერსისაიდელებს **სტივ ჯერარდი** ვერ დაეხმარება. **რაფა ბენიტესს** კიდევ ერთი მოთამაშე აკლია - ბრაზილიელი საყრდენი **ლუკას ლეივა** სასჯელს იხდის. მიმომხილველთა ვარაუდით, ძირითადში ითამაშებენ **ფაბიო აურელიო** და **ხავიერ მასკერანო**.

**ტონი ადამსი** ორ დებიუტანტს გამოიყვანს: ბერძენ ლეგიონერებს – **ანგელოს ბასინასსა** და **თეოფანის გეკასს**. "პორტსმუთმა" იჯარით აიყვანა **ჯერმეინ პენანტიც**, მაგრამ ის "ლივერპულის" საკუთრებაა. ამიტომ მშობლიური კლუბის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. მასპინძლებს კაპიტანი **სოლ კემპბელი** გამოუჯანმრთელდათ. ბოლო წამს გადაწყდება, ითამაშებს თუ არა **იუნეს კაბული**, რომელმაც ეს-ესაა მძიმე ტრავმა მოიშუშა...

"ჩელსი" "ჰალ სიტის" მასპინძლობს და ახლა მაინც შეეცდება გულშემატკივრის თვალში რეაბილიტირებას. "არისტოკრატებს" ჩემპიონობის რეალურ პრეტენდენტად აღარავინ განიხილავს. **ლუიშ ფელიპე სკოლარის** შეგირდებმა უშუალო კონკურენტებთან უკლებლივ ყველა თამაში წააგეს, მათ შორის, გასულ უქმეებზე "ლივერპულთან". "ჩელსის" მხოლოდ "ჰალ სიტისა" და ამ დონის კლუბების დამარცხება ხელეწიფება.

ლონდონელებს ძირითადი მეკარე **პეტრ ჩეხი** ვერ დაეხმარება. სადებიუტო მატჩს ჩაატარებს **რიკარდო კვარეშმა**. პორტუგალიელი ნახევარმცველი "ინტერიდან" ექვსთვიანი იჯარით გადაიყვანეს. საეჭვოა კიდევ ერთი პორტუგალიელი ლეგიონერის, **რიკარდო კარვალიოს** ასპარეზობა. ექიმები ბოლო წუთს გადაწყვეტენ, დართონ თუ არა მას მინდორზე გასვლის ნება.

დანარჩენი მატჩებიდან საინტერესოა "მანჩესტერ სიტისა" და "მიდლსბროს" ორთაბრძოლა, ესეც იმიტომ, რომ მასპინძელთა შემადგენლობაში დებიუტი ექნება "ნიუკასლის" ყოფილ კარის დარაჯ **შეი გივენს**. "ბოლტონთან" მატჩისას, "ევერტონის" მაისურს პირველად მოირგებს ბრაზილიელი თავდამსხმელი **ჟო**, რომელიც "მანჩესტერ სიტიდან" ნახევარწლიანი იჯარით გადაიყვანეს. ორი დებიუტანტი ეყოლება "სანდერლენდს" "სტოკ სიტისთან" შეხვედრაში – **ტალ ბენ ჰაიმი** და **კალუმ დევენპორტი**. აგრეთვე ორი ახალწვეულით წარდგება მაყურებლის წინაშე "ფულჰემი", რომელიც სტუმრად "ვიგანს" ეთამაშება.

**შალვა ბიბილაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 23 | 16 | 5 | 2 | 40-10 | 53 |
| 3. ლივერპული | 24 | 14 | 9 | 1 | 39-15 | 51 |
| 2. ჩელსი | 24 | 14 | 6 | 4 | 44-15 | 48 |
| 4. ასტონ ვილა | 24 | 14 | 6 | 4 | 38-24 | 48 |
| 5. არსენალი | 24 | 12 | 7 | 5 | 38-25 | 43 |
| 6. ევერტონი | 24 | 10 | 7 | 7 | 31-28 | 37 |
| 7. ვიგანი | 24 | 9 | 6 | 9 | 26-24 | 33 |
| 8. ვესტ ჰემი | 24 | 9 | 6 | 9 | 31-31 | 33 |
| 9. ფულჰემი | 22 | 7 | 8 | 7 | 20-19 | 29 |
| 10. მანჩესტერ სიტი | 23 | 8 | 4 | 11 | 41-32 | 28 |
| 11. ჰალ სიტი | 24 | 7 | 7 | 10 | 31-46 | 28 |
| 12. ბოლტონი | 24 | 8 | 3 | 13 | 27-34 | 27 |
| 13. სანდერლენდი | 23 | 7 | 6 | 11 | 25-33 | 27 |
| 14. ტოტენჰემი | 24 | 6 | 6 | 12 | 26-31 | 24 |
| 15. ნიუკასლი | 24 | 5 | 9 | 10 | 30-40 | 24 |
| 16. პორტსმუთი | 23 | 6 | 6 | 11 | 23-38 | 24 |
| 17. სტოკ სიტი | 24 | 6 | 6 | 12 | 21-38 | 24 |
| 18. ბლექბერნი | 23 | 5 | 8 | 10 | 27-38 | 23 |
| 19. მიდლსბრო | 24 | 5 | 7 | 12 | 18-35 | 22 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 24 | 6 | 4 | 14 | 22-44 | 22 |

ინტერვიუ

სერ ალექს ფერგიუსონი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიტიკა ოდნავადაც არ მაღელვებს

## მოიესი პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია, მანჩესტერ სიტის კი, იმედია, ტრილიონის დახარჯვა დასჭირდება, სანამ თავისი თანაქალაქელის დონეს მიაღწევს...

გთავაზობთ მცირე ინტერვიუს სერ ალექს ფერგიუსონთან. შოტლანდიელმა სპეციალისტმა „მანჩესტერ იუნაიტედის" ოფიციალური ჟურნალის „ინსაიდ იუნაიტედის" მკითხველის შეკითხვებს უპასუხა.

**- ვინ არის ყველაზე სწრაფი ფეხბურთელი, ვისთანაც კარიერის განმავლობაში გიმუშავიათ?**

- სპრინტში გარი პალისტერი ყველაზე სწრაფი იყო, მაგრამ ფეხბურთში სისწრაფე მხოლოდ 100 მეტრის ყველაზე ჩქარა დაფარვას არ ნიშნავს. ამიტომ, ყველაზე სწრაფებად ანდრეი კანჩელსკისსა და რაიან გიგზს დავასახელებდი. განსაკუთრებით ამ უკანასკნელს. ის განსაკუთრებულად სწრაფი იყო ახალგაზრდულ წლებში.

**- „მანჩესტერ იუნაიტედში" სამწვრთნელო კარიერის დასრულების შემდეგ, რაც ალბათ 20 წლის შემდეგ მოხდება, დათანხმდებით თუ არა შოტლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელობას?**

- არა, სანაკრებო დონეზე არასოდეს ვიმუშავებ. „მანჩესტერში" კარიერის დასრულების შემდეგ დამსახურებულ პენსიაში გავალ. „იუნაიტედის" შემდეგ ყველაფერი დამთავრდება და საცხოვრებლად ჩემს ვილაში გადავალ.

**- თქვენ ხშირად გაკრიტიკებენ. ეს გარემოება თქვენზე უარყოფითად ხომ არ მოქმედებს?**

- კრიტიკა მწვრთნელის სამუშაოს განუყოფელი ნაწილია. თანაც კრიტიკის საგანი მარტო მე ხომ არა ვარ. დააკვირდით, როგორ აკრიტიკებენ კრისტიანო რონალდოს - მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს. საკმარისია, მხოლოდ ერთი ტაიმი ჩაატაროს შედარებით სუსტად, რომ მას კრიტიკის ნიაღვარი ატყდება თავს. ერიკ კანტონასაც ხშირად აკრიტიკებდნენ. იცით რა - ჟურნალისტების მოსაზრებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭო. სწორედ ამიტომაა, რომ კრიტიკა ოდნავადაც არ მაღელვებს.

**- რა იყო „მანჩესტერ იუნაიტედში" მოსვლის შემდეგ თქვენი პირველი წარმატება?**

- მიმაჩნია, რომ ჩვენ შევიმუშავეთ ეფექტური პროგრამა ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეების შერჩევისა და მომზადების მიზნით. სელფორდში ყოველკვირეულად ვმართავდით კადრების შესარჩევ მატჩებს. ვმოქმედებდით მარტივი პრინციპით: „მჭირდება ეზოს საუკეთესო მოთამაშე", ან „მჭირდება ქალაქის საუკეთესო მოთამაშე". აღნიშნული სამუშაო ძალზე ეფექტური აღმოჩნდა. წელიწადის, თუ წელიწადნახევრის განმავლობაში ჩვენ უკვე საგრძნობლად გადახალისებული შემადგენლობა გვყავდა. როცა „იუნაიტედში" მოვედი, მივხვდი, რომ ძირითადი გუნდი იმაზე უფრო ასაკოვანი იყო, ვიდრე მე მჭირდებოდა. 1989 წელს მორიგი რადიკალური ნაბიჯი გადავდგით: შევიძინეთ ექვსი ახალი ფეხბურთელი *(მაიკ ფელანი, ნილ უები, ბრაიან კერი, გარი პალისტერი, დენი უოლესი და პოლ ინსი)*, გავასხვისეთ რვა და სამთან კონტრაქტი გავწყვიტეთ. დავიწყეთ ახალი გუნდის მშენებლობის მეორე ეტაპი. ამ დროს ყველაზე მთავარი ახალგაზრდებთან მუშაობა და მათ განვითარებაზე ფიქრი გახლდათ. ეს იყო პროგრესის დასაწყისი.

**- თქვენი აზრით, ვინ არის პრემიერლიგის საუკეთესო მწვრთნელი? ვგულისხმობ, გუნდის მართვისა და მისგან რესურსების მაქსიმალურად გამოწურვის უნარს...**

- თუ საქმე რესურსებზე მიდგება, სტივ ბრუსი ძალზე კარგად იყენებს მისი გუნდის პოტენციალს, ამასვე ვიტყოდი მარტინ ონილსა და არსენ ვენგერზეც, თუმცა ვენგერის მუშაობა ცოტა სპეციფიკურია. ის ფულს ძირითადად ახალგაზრდებში ხარჯავს და არა მზა ფეხბურთელებში. და კიდევ, დავასახელებდი დევიდ მოიესს. ის ფანტასტიკურად მუშაობს. ვფიქრობ, დევიდ მოიესი ამ სიაში აუცილებლად უნდა იყოს.

**- თქვენთვის რომელი გადაწყვეტილება იყო უფრო რთული: 1990 წელს ინგლისის თასის ფინალში ჯიმი ლეიტონის თადარიგში დასმა, თუ 2008 წელს ჟი სუნ პარკის ჩემპიონთა ლიგის ფინალის განაცხადს მიღმა დატოვება?**

- რა თქმა უნდა, მეორე. 2008 წლის ფინალის წინ ჯერ ძირითადი შემადგენლობა ჩამოვწერე, შემდეგ ჯერი სათადარიგოებზე მიდგა. თადარიგის მოთამაშეებს ერთი პრინციპით ვარჩევ: მათ ყველა პოზიციის დაზღვევა უნდა მოახერხონ. თუ ჩემპიონთა ლიგის ფინალში შეცვლაზე თავდამსხმელი შეგყავს, ეს ისეთი ფეხბურთელი უნდა იყოს, რომელსაც თამაშში გარდატეხის შეტანა შეუძლია. აი, ამიტომ ვერ მოხვდა ჟი სუნ პარკი ფინალის განაცხადში. ძალიან შევწუხდი, როცა თამაშის შემდეგ პარკის მშობლები ვნახე.

**- თქვენ სერი ბრძანდებით. რა უნდა გააკეთოს რაიან გიგზმა, რომ ანალოგიური პატივი დაიმსახუროს?**

- კარგი შეკითხვაა. თანაც, გავითვალისწინოთ, რომ ინგლისის მორაგბეთა ნაკრების წევრებმა აღნიშნული ტიტული მსოფლიოს თასზე ოთხიდან სამი თამაშის მოგებისათვის დაიმსახურეს. რაიან გიგზი, 20 წელიწადია, პრემიერლიგის ვარსკვლავია. მან ათჯერ მოიგო ინგლისის ჩემპიონატი. დარწმუნებული ვარ, წელს მე-11-დაც მოიგებს. ჩემთვის დღესავით ნათელია ის, რომ გიგზი სერის ტიტულს იმსახურებს.

**- რის ხარჯზე მიაღწიეთ ამხელა წარმატებებს?**

- მე იმ კლუბში ვმუშაობ, სადაც წარმატების მნიშვნელობა ყველას ესმის. მე ვიცი, რა მიზანი უნდა მქონდეს ყოველი სეზონის დასაწყისში. 1993 წელს პირველმა ჩემპიონობამ შემდგომი წარმატებებისკენ გაგვიხსნა გზა. მას შემდეგ ჩვენ მუდმივად ვპროგრესირებდით. მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ საფეხბურთო გამარჯვებები, არამედ კლუბის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, ახალი საწვრთნელი ბაზის მშენებლობა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. ამასთან, ჩვენ ერთი წამითაც არ გაგვნელებია ახალ-ახალი გამარჯვებების სურვილი.

**- თუ გაიხსენებდით ყველაზე სასაცილო ეპიზოდს საწვრთნელი პროცესიდან?**

- ყველაზე სასაცილო? როცა რომელიმე ფეხბურთელი მინდვრის კუთხეში დგება, რათა ბუნებრივი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს და ამ დროს პოლ სქოულზი დაახლოებით 40 მეტრიდან ბურთს თავში უმიზნებს და ურტყამს. ორიოდე კვირის წინ პოლმა ჯონ ოშის დაუმიზნა, მაგრამ მხარში გაარტყა. გარი ნევილს კი ერთხელ ზუსტად თავში გაარტყა და მერე გარი მოსაკლავად გაეკიდა.

**- ვისთან ერთად ისურვებდით ფილმში გადაღებას?**

- თუკი ძველ მსახიობებს გავიხსენებთ, მაშინ, რა თქმა უნდა, სპენსერ ტრეისის დავასახელებდი, ან კიდევ ყველასთვის საყვარელ ჯონ ვეინს. თუ თანამედროვე მსახიობებს შორის ასარჩევად მიდგება საქმე, მაშინ შონ კონერის.

**- რას აირჩევდით, კიდევ ორჯერ მოიგოთ ჩემპიონთა ლიგა და სამჯერ პრემიერლიგა „იუნაიტედთან" ერთად, თუ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში?**

- მე ვირჩევ ჩემპიონთა ლიგის ორჯერ მოგებასა და და პრემიერლიგაში სამჯერ გამარჯვებას. შოტლანდიის ნაკრებმა თავად მიხედოს საკუთარ პრობლემებს...

**- კიდევ რამდენი მილიონი უნდა დახარჯოს „მანჩესტერ სიტიმ", რომ რეალურად იქცეს... ლიგის თასის ერთ-ერთ პრეტენდენტად?**

- ღმერთო ჩემო, მე ამ შეკითხვას უნდა ვუპასუხო და მერე ეს პრესაში დაიწეროს? იმედია კიდევ ერთი ტრილიონის დახარჯვა დასჭირდებათ ჩვენთან გასათანაბრებლად.

ვარსკვლავი

# ფილიპ კოკუ შინ დაბრუნდა

## წარმატების ფორმულა: სრული კონცენტრაცია ყოველი მატჩის წინ



ფილიპ კოკუ და ეინდჰოვენის ბელგიელი კაპიტანი ტიმი სიმონსი

ორი წლის წინ, 2007-ში **ფილიპ კოკუმ** „ეინდჰოვენში" თავისი 187-ე და უკანასკნელი თამაში ჩაატარა და გუნდს ზედიზედ მესამედ მოაგებინა ჰოლანდიის ჩემპიონობა. ამის შემდეგ მან მცირე ხნით „ალ ჯაზირაში" გააგორა ბურთი, რის შემდეგაც პენსიაში გავიდა. დღეს ის „ეინდჰოვენში" დაბრუნდა და მთავარი მწვრთნელის, **დუაიტ ლოდევეიხესის** თანაშემწედ დაინიშნა. წინა წელს გუნდმა შეძლო ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება, თუმცა წელს ფილიპსელთა გულშემატკივრების იმედგაცრუებას საზღვარი არ აქვს. ამჟამად გუნდი ერედივიზიონის ცხრილში მე-4 ადგილზეა და ლიდერ „ალკმაარს" 15 ქულით ჩამორჩება. კოკუ საკლუბო სისტემაში აქამდეც მუშაობდა. ის ერთმანეთს უთავსებდა ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ბერტ ვან მარვიიკის** თანაშემწეობასა და „ეინდჰოვენის" აკადემიაში მუშაობას. კურიოზია, მაგრამ ფაქტია: ფილიპს სამწვრთნელო ლიცენზია არ გააჩნია და მის მოსაპოვებლად ჯერ კიდევ სწავლობს.

კოკუ: *„ჩემი განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ორ სამსახურში ვმუშაობ და თანაც ვსწავლობ. სამწვრთნელო ლიცენზია საშუალებას მომცემს, უახლოეს მომავალში დამოუკიდებლად გავუძღვე გუნდს. ფეხბურთის თამაშისას დიდი ცოდნა და გამოცდილება დავაგროვე, მაგრამ სწავლას მთელი სერიოზულობით ვეკიდები. დიდი ფეხბურთი, სადაც მე მრავალი წელი გავატარე, ნამდვილი სკოლა იყო. შევეცდები, მთავარი მწვრთნელის თანაშემწის რანგში, მთელი ჩემი ცოდნა შეგირდებს გადავცე..."*

აღსანიშნავია, რომ იმ ექვსი წლის განმავლობაში (1998–2004), რაც ფილიპ კოკუმ „ბარსელონაში" გაატარა, მან ესპანური ენა იდეალურად შეისწავლა. ეს კი „ეინდჰოვენის" ესპანურენოვან ფეხბურთელებთან ურთიერთობაში ძალიან დაეხმარება. **კარლოს სალსიდო, ფრანსისკო როდრიგესი** და **ედისონ მენდესი** მთავარი მწვრთნელის თანაშემწესთან მშობლიურ ენაზე ისაუბრებენ. ჰოლანდიელი მიმომხილველები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ მომავალი სეზონიდან კოკუ „ეინდჰოვენის" დამრიგებლად მოგვევლინება. თავად ვარსკვლავი ცდილობს, სპეკულაციებს მაქსიმალურად გაემიჯნოს: *„უპირველეს ყოვლისა, იმისთვის, რომ მთავარი მწვრთნელი გავხდე, უკეთესი მომზადება მჭირდება. სეზონის შემდეგ, მირჩევნია, მაქსიმალური ყურადღება დავუთმო ჰოლანდიის ნაკრებს. ახლოვდება სამხრეთი აფრიკის მუნდიალი. ჰოლანდიამ საკვალიფიკაციო ტურნირი აუცილებლად უნდა გადალახოს..."*

მნიშვნელოვანი ამოცანები აქვს გადასაჭრელი „ეინდჰოვენსაც". გუნდს ჩემპიონობის შენარჩუნება გაუჭირდება, მაგრამ მას მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება მართებს. ბოლო ორ ტურში ფილიპსელებმა ჯერ „გრააფსხაპი" დაამარცხეს, 3:0, შემდეგ „დენ ჰააგი" გაანადგურეს, 6:0. აი, რას აცხადებს 38 წლის ვარსკვლავი: *„ცხრილში, რაც შეიძლება, მაღალი ადგილის დაკავება გვინდა. უპირველესი ამოცანაა, რომ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი დავიბევოთ. სასურველი შედეგის მისაღწევად ყოველ შეხვედრაში ძალების მაქსიმალური კონცენტრაციაა საჭირო..."*

ჰოლანდია

# ვან მარვიიკი ორი დებიუტანტით



ბერტ ვან მარვიკი

ოთხშაბათს, ჰოლანდიის ნაკრები ტუნისთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. **ბერტ ვან მარვიიკმა** 21-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. მწვრთნელი უკმაყოფილოა იმის გამო, რომ გუნდის ორ წამყვან ფეხბურთელს, **რაფაელ ვან დერ ვაარტსა** და **კლაას იან ჰუნტელაარს** სათამაშო პრაქტიკა აკლია. ისინი დროის უმეტეს ნაწილს „რეალის" თადარიგში ატარებენ. თუ ასე გაგრძელდა, მათი სანაკრებო პოზიციები საგრძნობლად შეირყევა.

ჰუნტელაარმა „აიაქსიდან" "რეალში" გადასვლის შემდეგ, სულ ხუთჯერ ითამაშა. მას მხოლოდ ერთხელ მიეცა ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობის საშუალება („ვილიარეალთან" პირველად 4 იანვრის მატჩში), დანარჩენ ოთხ შეხვედრაში ის შეცვლაზე შეიყვანეს. ვან დერ ვაარტი მადრიდელთა ძირითადში უკანასკნელად დეკემბრის თვეში გამოჩნდა.

ჰოლანდიელებს ორი დებიუტანტი ჰყავთ: ტვენტელი მცველი **ედსონ ბრააფჰეიდი** და აიაქსელი მცველი **გრეგორი ვან დერ ვილი**. ვან მარვიიკმა განაცხადა, რომ ორივე მათგანს დიდი ხანია აკვირდება და გადაწყვიტა, ახალგაზრდებს თავის გამოჩენის საშუალება მისცეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჰოლანდიას ორი წამყვანი მცველი – **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი** და **ტიმ დე კლერი** აკლია. ახალწვეულები მათ მაგივრობას გასწევენ.

ტუნისთან მატჩი ჰოლანდიელებისათვის უკანასკნელი რეპეტიციაა შოტლანდიასა და მაკედონიასთან შესარჩევი შეხვედრების წინ. საკვალიფიკაციო მატჩები 28 მარტს და 1 აპრილს გაიმართება. დასასრულს, ვან მარვიიკის რჩეული 21 კაცის სია:

**მეკარეები** - მაარტენ სტეკელენბურგი (აიაქსი), ჰენკ ტიმერი (ფეიენოორდი);

**მცველები** – ჯონ ჰეიტინგა (ატლეტიკო), იორის მატიისენი (ჰამბურგი), დირკ მარსელისი (ეინდჰოვენი), ანდრე ოოიერი (ბლექბერნი), ედსონ ბრააფჰეიდი (ტვენტე), გრეგორი ვან დერ ვილი (აიაქსი);

**ნახევარმცველები** – იბრაჰიმ აფელეი (ეინდჰოვენი), მარკ ვან ბომელი (ბაიერნი), ნაიჯელ დე იონგი (მანჩესტერ სიტი), რაფაელ ვან დერ ვაარტი (რეალი), დემი დე ზეეუვი (ალკმაარი), ვესლი სნეიდერი (რეალი), სტიინ სხაარსი (ალკმაარი), დავიდ მენდეს და სილვა (ალკმაარი);

**თავდამსხმელები** – დირკ კუიტი (ლივერპული), რობინ ვან პერსი (არსენალი), რაიან ბაბელი (ლივერპული), კლაას იან ჰუნტელაარი (რეალი), არიენ რობენი (რეალი).

გვერდი მოამზადა
შალვა ბიბილაშვილმა

გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტურის წინ

# დორტმუნდის დამარცხება ძნელია

## კლინსმანმა რაღაც უნდა მოიფიქროს. შალკე თუ ვერდერი, ანუ რომელი გამოვა კრიზისიდან?



იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის. ბაიერნის დამრიგებელი იურგენ კლინსმანი და დორტმუნდის თავკაცი იურგენ კლოპი

| | |
|---|---|
| **გუშინ** | |
| არმინია-ჰერტა | 1:1 |
| **დღეს** | |
| შალკე-ვერდერი | 18:30 |
| კარლსრუე-ჰამბურგი | 18:30 |
| ლევერკუზენი-შტუტგარტი | 18:30 |
| ბორუსია (მ)-ჰოფენჰაიმი | 18:30 |
| ვოლფსბურგი-ბოხუმი | 18:30 |
| აინტრახტი-კიოლნი | 18:30 |
| **ხვალ** | |
| კოტბუსი-ჰანოვერი | 20:00 |
| ბაიერნი-ბორუსია (დ) | 20:00 |

ბუნდესლიგის მეცხრამეტე ტურში სამი ძალიან საინტერესო მატჩი იმართება. მათ შორის, პირველყოვლისა, „ბაიერნისა“ და დორტმუნდის „ბორუსიის“ შეხვედრა უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც ხვალ შედგება. დღეს კი „შალკესა“ და „ვერდერის“ სახით ერთმანეთს ორი ისეთი გუნდი უპირისპირდება, რომლებსაც კრიზისი აქვთ. „ლევერკუზენი“ კი „შტუტგარტს“ მასპინძლობს.

არავინ იცის, როგორ შემადგენლობას დააყენებს „ვერდერის“ მთავარი მწვრთნელი **თომას შააფი** „შალკესთან“ გადამწყვეტ მატჩში, რადგან ბრემენელთა მთავარმა მწვრთნელმა ყველანაირი ტაქტიკა და განლაგება სცადა, მაგრამ მისი ყველა მცდელობა უშედეგო იყო. ამიტომაცაა, რომ მისი სკამი უკვე მორყეულია - მიუხედავად იმისა, რომ „ვერდერის“ ბოსი **კლაუს ალოფსი** შააფს მხარდაჭერას და ნდობას უცხადებს. აბსოლუტურად იდენტურ მდგომარეობაშია „შალკეს“ დამრიგებელი **ფრედ რუტენიც**, რომელსაც დიდი შანსია, რომ მორიგი ფიასკო ალარ აპატიონ და მენეჯერი **ანდრეას მიულერიც** ზედ მიაყოლონ. ერთი რამ ფაქტია, შააფი აუცილებლად სასტარტო შემადგენლობაში ათამაშებს ყოფილ შალკელ **მესუთ იოზილს**, რომელსაც გელზენკირხენული კლუბის მიმართ შურისძიების სურვილი კლავს. თანაც, ახალგაზრდა თურქი გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ბუნდესგუნდში გამოიძახა და ამრიგად, მესუთი ყურადღების ცენტრშია მოქცეული. „ვერდერის“ შეტევებს დღეს სწორედ ეს უკანასკნელი გაუძღვება. ამასთან, შააფს **ნალდო, პრიოდლი, ბაუმანი** და **პასანენი** გამოუჯანმრთელდნენ.

მძიმე კვირა ჰქონდა „შალკესაც“. **ჯეფერსონ ფარფანი** მოულოდნელად სამშობლოში გადაიხვეწა და როგორც ამბობს, ბებია უნდა მოენახულებინა, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ შეყვარებულის სანახავად (!) წავიდა, ამას გარდა, ორშაბათს გელზენკირხენელებმა **ფაბიან ერნსტი** „ბეშიქთაშს“ მიჰყიდეს, **ალბერტ შტრაიტი** კი „ჰამბურგს“, **კევინ კურანი** გაურკვევლობაშია, პრეზიდენტმა **იოზეფ შნუზენბერგმა** კი თქვა, ზაფხულში გუნდი მთლიანად უნდა შეიცვალოს, დიდი წმენდაა საჭიროო - მოკლედ, „შალკეში“ დიდი ამბებია. ახლა ყველაზე მთავარი ისაა, როგორ ჩაატარებენ „ხუმარები“ „ვერდერთან“ მატჩს. ერთი სიტყვით, ამ თამაშს უდიდესი ინტრიგა ახლავს.

„შალკეს“ „ვერდერამდე“ ერთი ქულა აშორებს. აი, მიონხენგლადბახის „ბორუსიასა“ (აუტსაიდერია) და ლიდერ „ჰოფენჰაიმს“ შორის სხვაობა 27 ქულაა. არადა, ორივე ეს გუნდი ბუნდესლიგაში წელს გადმოვიდა და თუკი „გლადბახს“ უდიდესი ისტორია აქვს, „ჰოფენჰაიმი“ მხოლოდ ახლა ქმნის თავის ისტორიას. მოკლედ, ამ გუნდებს როლები უკვე გადანაწილებული აქვთ - მიონხენგლადბახელებისთვის ამიერიდან ყოველი მატჩი გადარჩენისთვის ბრძოლის უკანასკნელი შანსია, „ჰოფე“ კი, ბოდიში მოიხადეთ და, გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძვის. ეს გუნდები დღეს ერთმანეთს ხვდებიან და ფავორიტი, რა თქმა უნდა, **რალფ რანგნიკის** გუნდია. „გლადბახის“ მთავარმა მწვრთნელმა **ჰანს მაიერმა** წინა ტურში სამივე ახალწვეული ათამაშა, მაგრამ იმედები ვერც **ბეილიმ** გაამართლა, ვერც **გალაშეკმა** და ვერც **სტალტერიმ** (ბორუსიამ შტუტგარტში 0:2 წააგო). აი, „ჰოფენჰაიმის“ ახალწვეულმა **ბუბაკარ სანოგომ** კი თავისი „სოფლური“ ეპოპეა წარმატებით დაიწყო და „კოტბუსთან“ გოლი გაიტანა. ანუ, „ვერდერიდან“ ნაყიდ თავდამსხმელს იდეალური დებიუტი გამოუვიდა. „გლადბახს“ ლაზარეთიდან **მარკო მარინი** უბრუნდება, რომელიც მაიერისთვის უდიდესი იმედია. აქვე გეტყვით, რომ მარინის გადაბირებას „ჰამბურგი“ ცდილობს.

„კარლსრუესა“ და „ჰამბურგის“ ამბიციებს შორისაც უდიდესი განსხვავებაა - პირველს 13 ქულა აქვს, უკანასკნელს კი - 36. **ალექსანდრე იაშვილის** გუნდის მთავარ მწვრთნელ **ედე ბეკერს** ახალი თავდამსხმელის, **მაჰირ ზალიკის** იმედი აქვს, რომელიც ბადენელებმა „ვოლფსბურგიდან“ გადაიბირეს - „კარლსრუეს“ თავდასხმაში ხომ ძალიან უჭირდა, თავად განსაჯეთ, საუკეთესო ფორვარდი **სებასტიან ფრაისი** იყო, რომელმაც სულ რაღაც 5 გოლი გაიტანა, მეორე იაშვილი გახლდათ ერთადერთი (!) გოლით, **ედმონდ კაპლანის, კრისტიან ტიმს** და **ჯოშუა კენედის** კი საერთოდ არ გაუტანიათ. ჰოდა, ბეკერს ახლა ზალიკის იმედი აქვს. „ჰამბურგმა“ კი ხუთი ფეხბურთელი იყიდა, მათ შორისაა **გრავგაარდიც**, რომელმაც ტრავმირებული **ბასტიან რაინჰარდტი** უნდა შეცვალოს. თუმცა დიდი შანსია, რომ **მარტინ იოლმა** ახალწვეულები ისევ არ ათამაშოს. შეუგუებელი მოთამაშის მოედანზე გაყვანა ხომ სარისკო საქმეა, მით უმეტეს, რომ „ჰამბურგს“ ექსპერიმენტებისთვის არ სცალია, ჩრდილოელები მესამე ადგილზე არიან და ლიდერ „ჰოფენჰაიმს“ 2 ქულით ჩამორჩებიან.

„ლევერკუზენის“ ფანები „შტუტგარტთან“ მატჩში, როგორც ჩანს, კვლავ ვერ იხილავენ საქმეში „ბაიერნიდან“ არენდით აყვანილ ტალანტ **ტონი კროოსს**, რომლის ტრანსფერს უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. ახალგაზრდა ნახევარმცველს ტრავმა აწუხებს. სავარაუდოდ, არ ითამაშებს **ანგელოს ხარისტეასიც, ბრუნო ლაბადიამ** ის ძირითადი შემადგენლობისთვის კი არა, სათადარიგოთა სკამისთვის, **თეოფანის გეკასის** შემცვლელად იყიდა. ლაბადიას თავდასხმაში კისლინგისა და ჰელმესის სახით ხომ ძალიან წარმატებული დუეტი ჰყავს. როგორც იცით, „ფარმაცევტების“ სტადიონ „ბაი-არენას“ რეკონსტრუქცია უტარდება, რის გამოც „ბაიერი“ „შტუტგარტთან“ მატჩს დიუსელფორფში ჩაატარებს. იქნებ ეს ფაქტი შვაბებს დაეხმაროს, რადგან ლევერკუზენში მოგებას ისინი ძალიან იშვიათად ახერხებენ ხოლმე - უკანასკნელად იქ 2002/03 წლების სეზონში იმარჯვეს (5 მოგება, 12 ფრე, 12 წაგება „ლევერკუზენთან“ გასვლით შეხვედრებში).

„ვოლფსბურგმა“ სამი ფეხბურთელი გაუშვა: **კრჟინოვეკი, სანტანა** და ზალიკი. ისინი მოედანზე თითქმის არ გადიოდნენ, რასაც ვერ ვიტყვით **ზვიეზდან მიშიმოვიჩზე**, რომელიც **ფელიქს მაგათის** ფავორიტი ფეხბურთელია - ამ უკანასკნელმა დღემდე ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა და თანაც სულ სასტარტოში იყო (5 გოლი, 10 პასი). მიშიმოვიჩი დღესაც ითამაშებს და თანაც, ყოფილი გუნდის, „ბოხუმის“ წინააღმდეგ. სამაგიეროდ, მაგათი **აშკან დეჟაგას** ვერ დაიხმარს, რომელიც A ჰეპატიტის დიაგნოზით კლინიკაშია. წინა ტურში „ვოლფსბურგმა“ „კიოლნი“ ვერ დაამარცხა (1:1). დღეს **კრისტოფ დაუმის** გუნდი ფრანკფურტში ჩადის. გაურკვეველია, ვინ დაიცავს „აინტრახტის“ კარს. დიდი შანსია, რომ **პრიოლმა** (ტრავმა) ვერ ითამაშოს, მისი შემცვლელები კი ვეტერანი **ნიკოლოვი** (34 წლის) და ტალანტი **ციმერმანი** არიან. ამ უკანასკნელმა წინა ტურში არც ისე კარგად ისასპარეზა.

„ბაიერნისა“ და „დორტმუნდის“ მატჩის წინ კი დიდი ვნებათაღელვაა, განსაკუთრებით მიუნხენურ ბანაკში, სადაც ამ კვირაში ისევ მაგრად აკრიტიკებდნენ მეკარე **მიხაელ რენზინგს**, რომელმაც „ჰამბურგთან“ ცუდად ითამაშა. ჩრდილოელების გოლი სწორედ რენზინგის ბრალი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ მენეჯერმა **ული ჰოენესმა** ახალგაზრდა კიპერი დაიცვა. „მიხაელი რა შუაშია, კლოზემ, ტონიმ და შვაინშტაიგერმა ძალიან კარგი მომენტები ვერ გამოიყენეს, ჩვენ კი მხოლოდ რენზინგის შეცდომას ვხედავთ. ასე არ შეიძლება,“ - განაცხადა ულიმ. „დორტმუნდის“ თავკაცი **იურგენ კლოპი** გახარებულია იმის გამო, რომ ლაზარეთიდან **იაკუბ ბლაჟჩიკოვსკი** უბრუნდება, რომელმაც პირველი წრის მატჩში „ბაიერნს“ გენიალური გოლი გაუტანა. ისე, ის მატჩი 1:1 დამთავრდა. „ბორუსიას“ ამ სეზონში ყველაზე ცოტა, მხოლოდ 2 წაგება აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ გუნდის დამარცხება იოლი ნამდვილად არ არის. ასე რომ, **კლინსმანმა** რაღაც უნდა მოიფიქროს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოფენჰაიმი | 18 | 12 | 2 | 4 | 44-23 | 38 |
| 2. ჰერტა | 19 | 11 | 4 | 4 | 30-22 | 37 |
| 3. ჰამბურგი | 18 | 11 | 3 | 4 | 27-24 | 36 |
| 4. ბაიერნი | 18 | 10 | 5 | 3 | 39-25 | 35 |
| 5. ლევერკუზენი | 18 | 10 | 3 | 5 | 37-22 | 33 |
| 6. ბორუსია (დ) | 18 | 7 | 9 | 2 | 28-20 | 30 |
| 7. შტუტგარტი | 18 | 8 | 4 | 6 | 28-23 | 28 |
| 8. ვოლფსბურგი | 18 | 7 | 6 | 5 | 36-26 | 27 |
| 9. შალკე | 18 | 7 | 6 | 5 | 24-17 | 27 |
| 10. ვერდერი | 18 | 7 | 5 | 6 | 40-30 | 26 |
| 11. კიოლნი | 18 | 7 | 2 | 9 | 20-26 | 23 |
| 12. ჰანოვერი | 18 | 5 | 5 | 8 | 21-32 | 20 |
| 13. აინტრახტი | 18 | 5 | 4 | 9 | 24-31 | 19 |
| 14. არმინია | 19 | 3 | 9 | 7 | 18-29 | 18 |
| 15. ბოხუმი | 18 | 2 | 8 | 8 | 21-30 | 14 |
| 16. კარლსრუე | 18 | 4 | 1 | 13 | 15-34 | 13 |
| 17. კოტბუსი | 18 | 3 | 4 | 11 | 12-31 | 13 |
| 18. ბორუსია (მ) | 18 | 3 | 2 | 13 | 18-37 | 11 |

ბაიერნი

# ბრძოლა ვან ბომელისთვის

## კლინსმანს ის აღარ სჭირდება, ჰიონესს კი მისი შენარჩუნება უნდა

...ისე, თავიდანვე აშკარა იყო, რომ რაღაც ისეთი ხდებოდა, ყველას რომ არ უნდა გაეგო. გუშინწინ **მარკ ვან ბომელს** პრესკონფერენცია უნდა გაემართა, სადაც ჟურნალისტებს გადაწყვეტილებას ამცნობდა - რჩება თუ არა „ბაიერნში“. მაგრამ „ზებენერშტრასეზე“ რეკორდმაისტერის მიერ დაგეგმილი პრესკონფერენცია ყველასათვის მოულოდნელად გადაიდო. ოფიციალურ მიზეზად მოულოდნელად გამოჩენილი საქმიანი შეხვედრები დასახელდა, მაგრამ ეს არავის სჯერა. „ბაიერნის“ პრესატაშე **მარკუს ჰიორვიკმა** ისიც თქვა, მარკი შვილის სკოლაში უნდა წასულიყო, სადაც დღეს საპატიო სტუმარიაო.

როგორც იცით, ზაფხულში ბავარიული გრანდის ჰოლანდიელ კაპიტანს კონტრაქტი უმთავრდება. ის ამბობს: *„მიუნხენში სიამოვნებით დავრჩები, მაგრამ არა ერთი წლით, არამედ მინიმუმ ორწლიანი ხელშეკრულება მინდა“!*

არადა, „ბაიერნის“ შეფები მას მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს სთავაზობენ. ამ წინადადებით **ული ჰიონესმა** და **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ვან ბომელს ჯერ კიდევ დეკემბერში მიმართეს და მას მერე გაურკვეველია, წავა თუ დარჩება. დღემდე ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მარკის საკითხი თებერვლის დასაწყისამდე უნდა ყოფილიყო გარკვეული. „ბილდის“ ინფორმაციით, ამ კვირაში ჰიონესი კიდევ ერთხელ შეხვდა ჰოლანდიელს და მოსაფიქრებლად კიდევ მისცა დრო.

*„ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები გრძელდება, მაგრამ შემოთავაზებებიც ძალიან ბევრია როგორც გერმანიიდან, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებიდან,“* - აცხადებს ვან ბომელის მრჩეველი **რობ იანსენი**. პრობლემა კი ის არის, რომ ჰიონესს მარკის შენარჩუნება ძალიან უნდა, იურგენ კლინსმანს კი - არა! გაირკვა, რომ მწვრთნელს და გუნდის კაპიტანს არც ისე კარგი ურთიერთობა აქვთ. თანაც, „ბაიერნმა“ უკვე გაიფორმა უკრაინის ნაკრებისა და „ზენიტის“ საყრდენი ნახევარმცველი **ანატოლი ტიმოშჩუკი**, რომელიც „ბაიერნში“ ზაფხულში გადავა. ამას გარდა, კლინსის ძალიან უნდა ბრაზილიელი **ზე რობერტოს** შენარჩუნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვან ბომელისთვის ძირითად შემადგენლობაში ადგილი აღარ რჩება და ჰოლანდიელი სკამის ხეხვისთვისაა განწირული. ერთწლიან კონტრაქტს შესთავაზებენ თუ ორწლიანს, ვან ბომელისთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ მან ძირითადში ითამაშოს. ამ დროს კი, ჰიონესს მარკის გუნდიდან გაშვება არაფრისდიდებით არ უნდა. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჰოლანდიელი „ბაიერნთან“ 100 პროცენტით იდენტიფიცირებულია. თვითონაც ამბობს, „ბაიერნში“ საკუთარი თავი ვიპოვეო. ჰიონესი ყველანაირად აღფრთოვანებულია მარკით, განსაკუთრებით იმის გამო, რომ როდესაც 2006 წელს ვან ბომელმა „ბაიერნთან“ კონტრაქტი გააფორმა („ბარსელონადან“ გადავიდა), მიუნხენური კლუბის აბსოლუტურად ყველა თანამშრომელი პირადად გაიცნო, რაც მანამდე „ბაიერნის“ არც ერთ ახალწვეულს არ გაუკეთებია.

რა მოხდება მომავალში? პირველი ვარიანტი ის არის, რომ ჰიონესმა დაარწმუნოს კლინსმანი იმაში, რომ გუნდს ვან ბომელი ძალიან სჭირდება. აქედან იკვეთება მეორე ვარიანტიც: კლინსმანი შეუვალი აღმოჩნდება და ჰოლანდიელი მიუნხენს დატოვებს - მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იურგენის სიჯიუეს. მესამე და ყველაზე არარეალური ვარიანტი კი შემდეგია: წავა არა ვან ბომელი, არამედ კლინსმანი...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ვან ბომელზე კლინსმანისა და ჰიონესის აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა



იტალია. სერია A. XXIII ტური

# მთავარი კითხვა: არის თუ არა კრიზისი ინტერსა და იუვეში?

| დღეს | |
|---|---|
| ლეჩე-ინტერი | 21:00 |
| მილანი-რეჯინა | 23:30 |
| **ხვალ** | |
| კალიარი-ატალანტა | 18:00 |
| კატანია-იუვენტუსი | 18:00 |
| ფიორენტინა-ლაციო | 18:00 |
| რომა-ჯენოა | 18:00 |
| სამპდორია-სიენა | 18:00 |
| ტორინო-კიევო | 18:00 |
| უდინეზე-ბოლონია | 18:00 |
| პალერმო-ნაპოლი | 23:30 |

იტალიის სერია A-ს 23-ე ტური ლიდერის პაექრობით გაიხსნება. „ინტერი“ „ლეჩეს“ სტუმრობს, „ნერაძურის“ მიზანი, მხოლოდ და მხოლოდ, სამი ქულის აღებაა. გასულ უქმეებზე **ჟოზე მოურინიოს** გუნდმა საკუთარ კედლებში „ტორინო“ ვერ გატეხა და მხოლოდ ქულას დასჯერდა. ამ ამბავმა ტიფოზთა უკმაყოფილება გამოიწვია და ბევრი ჩავარდნაზეც ალაპარაკდა. ვერ გეტყვით, რამდენად რეალური ეს ჩავარდნა, მაგრამ ფაქტია, რომ 2009 წელს „ინტერი“ ვერ არის ისეთი სტაბილური, როგორიც სეზონის პირველ ნახევარში გახლდათ. თითქოს ცივსისხლიანობა დაკარგეს, რაც გახლდათ კიდეც გამარჯვებების უმთავრესი საწინდარი. ფეხბურთელებიც ვერ არიან ისეთ ფორმაში, როგორშიც სეზონის პირველ ნახევარში იყვნენ. **ადრიანო** ჯერ კიდევ ვერ ჩაჯდა კალაპოტში და ამაზე მისი სამმატჩიანი დისკვალიფიკაციაც მოწმობს, **კრუსი** და **ბალოტელი** რატომღაც ჩრდილში არიან, ველარ ბრწყინავს **მაიკონი**, **მანსინი** კი მუდმივად სათადარიგოთა სკამზეა. რჩება შთაბეჭდილება, რომ „ინტერი“ მხოლოდ **ზლატან იბრაჰიმოვიჩია** და თუ მას თამაში არ მისდის, გუნდი ძალიან სუსტად გამოიყურება. ვნახოთ, შესაძლოა „ლეჩესთან“ პაექრობამ სულ სხვა სურათი გვაჩვენოს და „ინტერმა“ ის ფეხბურთი ითამაშოს, რასაც მისგან გულშემატკივრები ითხოვენ.

ჟოზე მოურინიო მხოლოდ ადრიანოს მოისაკლისებს, ბრაზილიელი დისკვალიფიცირებულია და მილანში მოუწევს დარჩენა. იბრაჰიმოვიჩის მხარდამხარ კი, ალბათ, ხულიო კრუსი იასპარეზებს. თუმცა არის მეორე ვარიანტიც. იტალიელი ჟურნალისტები არ გამორიცხავენ, რომ შეტევის წინა ხაზზე ამანტინო მანსინიმ ითამაშოს და თავი ახალ ამპლუაში გამოსცადოს. ბრაზილიელი ბოლო დროს ჩრდილშია, იშვიათად უწევს მოედანზე გამოსვლა და ამის გამო უკმაყოფილება საჯაროდაც გამოთქვა. მოურინიომ პრესასთან საუბრისას მანსინი დაამშვიდა და დაჰპირდა, რომ უახლოეს მომავალში აუცილებლად დააბრუნებდა ძირითადში. შესაძლოა, დადგა ეს დროც და დანარჩენი უკვე თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. ნახევარდაცვაში ნაცადი ოთხეული გაირჯება: **კამბიასო, ძანეტი, მუნტარი** და **სტანკოვიჩი**. საბრძოლო განწყობაა მეტოქის ბანაკშიც, „ლეჩე“ ბოლო დროს კარგად ათამაშდა და ეს სატურნირო ცხრილზეც აისახა, გუნდმა გასავარდნ ზონას თავი დააღწია და მე-16 ადგილზე დამკვიდრდა. ასე რომ, წინ მეტად საინტერესო ჯახი გველის.

დღეს აქვს თამაში მეორე მილანურ გუნდსაც, „როსონერი“ პირველობის აუტსაიდერს, „რეჯინას“ მიიღებს. რეჯინელები მიმდინარე სეზონს სუსტად ატარებენ, თუმცა ბოლო დროს გამოცოცხლება მათაც შეეტყოთ. გასულ ტურში „რეჯინამ“ „რომა“ მიიღო, დიდი ბრძოლა გაუმართა და ფრესაც გამოჰკრა ხელი. ვნახოთ, რამდენად შეეწინააღმდეგება აუტსაიდერი „მილანს“, ფაქტია, რომ „როსონერი“ პირველივე წუთებიდან ეკვეთება მეტოქის კარს.

„გაძეტა დელო სპორტი“ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „მილანის“ განაცხადს **კახა კალაძე** უბრუნდება. ქართველი მცველი, სავარაუდოდ, სათადარიგოთა სკამზე იქნება და ალბათ, ბოლო 15-20 წუთს ითამაშებს. კახას გამოჯანმრთელება ანჩელოტისთვის ერთობ პოზიტიური სიახლეა, „მილანს“ ამ რგოლში ხომ ყველაზე მეტად უჭირს. კარლეტომ პრესასთან საუბარში განაცხადა, რომ მომავალში როტაციას მეტი სიმძლავრით აამოქმედებს და ძირითად შემადგენლობაში მუდმივად მოახდენს ცვლილებებს. ჟურნალისტთა ვარაუდით, „რეჯინასთან“ მატჩს სასტარტოში დაიწყებს **მატიო ფლამინი**, ექსარსენალელი **მასიმო ამბროზინის** და **დევიდ ბექჰემის** მხადამხარ იასპარეზებს. შეტევაში **რონალდინიო, კაკა** და **პატო** უნდა ვიხილოთ. გაუჩო ბოლო ხანს ველარ ხვდება ძირითადში, მაგრამ „რეჯინასთან“, წესით, პირველივე წუთებიდან უნდა ითამაშოს. სათადარიგოდ მოიაზრება **კლარენს ზეედორფი**, **ანდრეა პირლო** კი დისკვალიფიცირებულია და დღევანდელ შეხვედრას გამოტოვებს. სანამ სიტყვას კარლო ანჩელოტის გადავცემდეთ, შეგახსენებთ, რომ შუა კვირაში „როსონერიმ“ ამხანაგური მატჩი გამართა და „რეინჯერს“ გლაზგოში დაუზავდა (2:2) - გოლები პატოს და კაკას ანგარიშზეა. ახლა კი კარლეტოს მოვუსმინოთ, ვინც „რეჯინასთან“ მატჩს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს:

*„რეჯოკალაბრიელები აუცილებლად უნდა დავამარცხოთ და წარმატებული სვლა გავაგრძელოთ. მეტოქე მთელი გუნდით დაიცავს თავს და შეეცდება კონტრშეტევაზე გვეთამაშოს. დიდი ძალებით შევუტევთ და ვეცდებით დიდი ფორა მოვიპოვოთ, რომ ისეთი რამ აღარ განმეორდეს, რაც „ჯენოასთან“ დაგვემართა. გლაზგოში ნაყოფიერი სპარინგი გვქონდა, მთლიანობაში შეგირდების თამაშით კმაყოფილი დავრჩი“.*

„გაძეტას“ ჟურნალისტი ვარაუდობს, რომ „რეჯინასთან“ კაკა თავდამსხმელის პოზიციაზე ითამაშებს, გლაზგოში რიკი სწორედ ფორვარდი გახლდათ და გოლითაც გამოირჩა.

რთული შეხვედრა ელის „იუვენტუსს“. „ვეკია სინიორას“ კრიზისზე მთელი იტალია ლაპარაკობს და თუ სიცილიაშიც წაიფორხილეს, პრესაში ნამდვილი ისტერია დაიწყება. ეს კარგად ესმით ტურინელებს და კატანიაში მხოლოდ მოსაგებად მიდიან. **კლაუდიო რანიერის** საკადრო პრობლემები არ ელევა, დაშავებულნი არიან: **ანდრადე, ძებინა, კნეჟევიჩი, კამორანეზი, სალიჰამიჯიჩი, კიელინი, ძანეტი, დე ჩელიე**. სია შთამბეჭდავია და რანიერის მდგომარეობაში უნდა შევიდეთ, თუმცა „იუვეს“ ბოლოდროინდელ წარუმატებლობას ეს მაინც ვერ ამართლებს. ბოლო სამ შეხვედრაში აღებული ერთადერთი ქულა მართლაც კატასტროფული შედეგია.

რანიერი სასტარტოში, სავარაუდოდ, კვლავ დელ პიერო-ამაურის დუეტს გაამწესებს, მათ უკან კი ერთ ხაზზე განლაგებული ოთხი ნახევარმცველი იმოქმედებს: **ნედვედი, პოულსენი, სისოკო** და **მარკიონი**. სათადარიგოთა სკამზე იქნებიან **ვინჩენცო იაკვინტა, სებასტიან ჯოვინკო** და **დავიდ ტრეზეგე**. აპენინებზე რანიერის ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ამ ფეხბურთელს თავის გამოჩენის საშუალებას იშვიათად აძლევს. ტრეზეგე ახლა გამოჯანმრთელდა და მასზე სათქმელი არაფერია, აი ჯოვინკო და იაკვინტა კი მართლაც იჩაგრებიან. ამაურის ბოლოდროინდელი წარუმატებელი ასპარეზობის ფონზე, ეს ერთობ გასაკვირიც გახლავთ, რადგან იტალიელი შემტევები საკმაოდ კარგ ფორმაში არიან.

„კატანია“ არაფერს დათმობს და მხოლოდ მოსაგებად ითამაშებს, ასე დაიმუქრა მატჩის წინა პრესკონფერენციაზე სიცილიელთა თავკაცმა **ვალტერ ძენგამ**:

*„დასამალი არაფერი მაქვს, შეტევაზე ვითამაშებთ და ვეცდებით მეტოქეს ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს. „იუვენტუსი“ ძალიან ძლიერია და ეს კარგად გვესმის, თუმცა არც ჩვენ ვართ ჯაბანნი. საკუთარ კედლებში იოლად არაფერს ვთმობთ და ასე იქნება „იუვესთანაც“, იმედია გულშემატკივრები გულმხურვალედ გვიქომაგებენ“.*

ტურის ცენტრალურ მატჩად შეგვიძლია რომაული დაპირისპირება შევრაცხოთ. „რომა“-„ჯენოას“ ჯახი მართლაც დამაინტრიგებლად მოჩანს და წესით, დიდი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს. ფავორიტი თითქოს „ჯალოროსსია“, მაგრამ არც მთლად მასე უნდა იყოს საქმე. გენუელები დიდებულ სეზონს ატარებენ და ტურიდან ტურამდე უმატებენ. „ჯენოას“ მივუბრუნდებით, იქამდე კი ორიოდე სიტყვა „მგლებზე“ ვთქვათ.

**ლუჩანო სპალეტიმ** წინა ტურში ექსპერიმენტს მიმართა და **დავიდ პისარო** გამთამაშებლად გაამწესა. ჩილელმა მწვრთნელს ბოლომდე გაუმართლა და დუბლი შეასრულა. პისარო „ჯენოასაც“ პირველივე წუთებიდან შეერკინება და სავარაუდოდ, კვლავ გამთამაშებელი იქნება. წინა ხაზზე **ფრანჩესკო ტოტი** და **მირკო ვუჩინიჩი** გაირჯებიან. ნახევარდაცვაში **მატეო ბრიგი, დანიელე დე როსი** და **როდრიგო ტადეი** იმოქმედებენ. სათადარიგოთა სკამზე დარჩებიან **პეროტა** და **აკვილანი**, ბოლო დროს სპალეტი მათ ნაკლებად ენდობა. სამაგიეროდ, განაცხადს უბრუნდება **კრისტიან პანუჩი**, რომელიც ერთი ხანობა მოკვეთილი გახლდათ გუნდიდან. ვეტერანმა მცველმა მწვრთნელს ბოდიში მოუხადა და განაცხადა, რომ ცხელ გულზე არასწორად მოიქცა.

4-3-3-ით ითამაშებს „ჯენოა“ და შეეცდება, მეტოქეს ბურთი არ დაანებოს. ამის შესახებ **გასპერინიმ** პრესასთან საუბარში განაცხადა და დასძინა, რომ რომში ქულასაც წარმატებად ჩათვლის. გენუელთა თავკაცს ნაკლებად ამბიციური განცხადებების გაკეთება ჩვეულებად ექცა, როგორც ჩანს, ეს მისი სტილია და არც გაემტყუნება, ზედმეტ ლაპარაკს საქმის კეთება ჯობია. სრულ მზადყოფნაშია **დიეგო მილიტო**, არგენტინელი ცენტრფორვარდად ითამაშებს და თავის შანსს დაელოდება, ფლანგებიდან კი **სკული** და **იანკოვიჩი** შეუტევენ. ერთი სიტყვით, „ოლიმპიკოზე“ საინტერესო შეხვედრა გაიმართება, საინტერესოა მთლიანად ტურიც და ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

ლაშა ნიკლაური




ეროვნული ბიბლიოთეკა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 22 | 15 | 5 | 2 | 37-16 | 50 |
| 2. მილანი | 22 | 13 | 5 | 4 | 39-22 | 44 |
| 3. იუვენტუსი | 22 | 13 | 4 | 5 | 36-19 | 43 |
| 4. ჯენოა | 22 | 10 | 7 | 4 | 32-19 | 40 |
| 5. ფიორენტინა | 22 | 12 | 2 | 8 | 31-20 | 38 |
| 6. რომა | 22 | 11 | 4 | 7 | 33-28 | 37 |
| 7. კალიარი | 22 | 10 | 4 | 8 | 30-25 | 34 |
| 8. ნაპოლი | 22 | 10 | 4 | 8 | 30-25 | 34 |
| 9. პალერმო | 22 | 10 | 2 | 10 | 30-28 | 32 |
| 10. ლაციო | 22 | 9 | 4 | 9 | 32-35 | 31 |
| 11. ატალანტა | 22 | 9 | 3 | 10 | 27-25 | 30 |
| 12. უდინეზე | 22 | 7 | 6 | 9 | 32-35 | 27 |
| 13. კატანია | 22 | 7 | 5 | 10 | 20-27 | 26 |
| 14. სიენა | 22 | 7 | 4 | 11 | 16-22 | 25 |
| 15. სამპდორია | 22 | 6 | 6 | 10 | 20-26 | 24 |
| 16. ბოლონია | 22 | 5 | 7 | 10 | 25-36 | 22 |
| 17. ლეჩე | 22 | 4 | 10 | 8 | 22-33 | 22 |
| 18. ტორინო | 22 | 4 | 6 | 12 | 22-37 | 18 |
| 19. კიევო | 22 | 4 | 6 | 12 | 15-30 | 18 |
| 20. რეჯინა | 22 | 3 | 6 | 13 | 19-40 | 15 |

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების =ISHRS= წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა


იმედია, სანჩეს პისხუანზე სისხლი არ დაიღვრება

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXII ტურის წინ

# სევილიური დერბი ვნებიანი გატაცებისა და შიშის ფონზე

## ბეტისის მწვრთნელი ორივე გუნდის გულშემატკივარს სიმშვიდისკენ მოუწოდებს

| დღეს | |
|---|---|
| რეალი-რასინგი | 23:00 |
| სევილია-ბეტისი | 01:00 |
| **ხვალ** | |
| მალაგა-ალმერია | 20:00 |
| ვალიადოლიდი-ბილბაო | 20:00 |
| რეკრეატივო-ატლეტიკო | 20:00 |
| ხეტაფე-ესპანიოლი | 20:00 |
| ვილიარეალი-ნუმანსია | 20:00 |
| მალიორკა-დეპორტივო | 20:00 |
| ბარსელონა-სპორტინგი | 22:00 |
| ოსასუნა-ვალენსია | 00:00 |

მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონა" პრიმერა დივიზიონში კოლოსალურ უპირატესობას ფლობს, მადრიდის „რეალის" უკლებლივ ყველა ფეხბურთელი და ხელმძღვანელი უტიფრად აცხადებს, რომ ჩემპიონობისთვის იქამდე იბრძოლებს, სანამ ამის თეორიული შანსი მაინც იარსებებს. ამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სამეფო კლუბისთვის სეზონის დასრულებამდე დარჩენილ ყველა შეხვედრას ფინალის დატვირთვა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქურმა კლუბმა ზედიზედ 7 შეხვედრა მოიგო, მიღწეულით დაკმაყოფილების უფლება მაინც არ აქვთ. სეზონის მსვლელობისას მადრიდელებმა იმდენი ქულა გაფლანგეს, ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ და ახლა მაქსიმალური კონცენტრაციითა და პასუხისმგებლობით ითამაშონ. ასეთ რთულ მდგომარეობაში მყოფ გუნდს ამ კვირაში კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა შეექმნა. გრიპის ვირუსით დაავადებული **არიენ რობენი** მაღალი ტემპერატურით ლოგინში ჩაწვა და მნიშვნელოვანი ვარჯიშები გამოტოვა. ჰოლანდიელი გარემარბის ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ შემაშფოთებელი იყო. ცხადია, 21-ე საუკუნეში გრიპს თავს არავინ მოაკვლევინებს, მაგრამ საქმეს ის ართულებდა, რომ დოპინგკონტროლით შეშინებული ექიმები რობენს იმ პრეპარატებს ვერ ასმევდნენ, რითიც თანამედროვე ადამიანები მკურნალობენ ხოლმე. გრიპის საწინააღმდეგო თითქმის ყველა საშუალება, ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, რომელიც ფიფასა და უეფას მიერ მკაცრად არის აკრძალული. ამიტომ, სამეფო კლუბის ექიმები არიენს არქაული მეთოდებით მკურნალობდნენ. ალბათ, ოფლს ადენდნენ, შუბლზე კომბოსტოს ფურცლებს ადებდნენ და ძმრიან წინდებს აცმევდნენ. ასე იყო, თუ ისე, რობენი მათ ფეხზე წამოაყენეს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ „რეალის" ვარსკვლავი ამ უქმეებზე თამაშს ვერ შეძლებდა, მაგრამ ის გრიპისგან განიკურნა და პარასკევის ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა. ერთი შეხედვით, სამეფო კლუბი ცალკეული ფეხბურთელის გამოკლებით დიდად არ უნდა დარდობდეს, მაგრამ საუბარი ხომ არიენ რობენს ეხება. კაცს, რომელმაც წინა ტურის შეხვედრების მოგებაში ლომის წილი შეიტანა. მადრიდელთა საბედნიეროდ კლუბის უპირველესი ლიდერი (რობენს ახლა სწორედ ასე ნათლავენ) ფეხზე დადგა და **ხუანდე რამოსმა** ის უმალ განაცხადში შეიყვანა. მწვრთნელი დიდად არც დაინტერესებულა, კარგ ფორმაშია თუ არა ჰოლანდიელი. მთავარია, არიენი ფეხზე იდგეს და სირბილი შეეძლოს. დღესდღეობით სამეფო კლუბისთვის ის უდავოდ შეუცვლელი ფიგურაა.

ხუანდე რამოსმა განაცხადში გუნდის ახალწვეული **ჟულიენ ფობერიც** შეიყვანა. მიმომხილველების ვარაუდით, ფრანგი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდება, თუმცა მთავარი მწვრთნელი მას შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსს მაინც მისცემს და შეცვლაზე ათამაშებს. განაცხადშია **პეპეც**. პორტუგალიელ მცველს წინა დღეებში ტერფის ტრავმა აწუხებდა და სრულფასოვნად ვერ ვარჯიშობდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სენიორ ხუანდეს პრობლემებიც აქვს. კერძოდ, დისკვალიფიკაციის გამო მას **ფერნანდო გაგო** ვერ დაეხმარება. ვერ ითამაშებენ **გუტი** და **კრისტოფ მეტცელდერიც**, თუმცა მათი არყოფნის მიზეზი ტრავმა გახდება. მადრიდელი ექიმების თავგანწირული მცდელობის მიუხედავად, ესპანელი და გერმანელი ვარჯიშის განახლებას ჯერ ვერ ახერხებენ. მოსალოდნელია, რომ გუტის ნაცვლად **რაფაელ ვან დერ ვაარტი** ითამაშებს, თუმცა ესპანელი კოლეგებისგან განსხვავებით, არ გამოვრიცხავთ, რომ ხუანდე რამოსმა ეს პატივი ჟულიენ ფობერს დასდოს. მადრიდელთა სრული შემადგენლობა ასე დაკომპლექტდა: კასილიასი, დუდეკი, პეპე, რამოსი, კანავარო, მარსელო, ჰაინცე, ტორესი, ლასანა დიარა, სნეიდერი, რობენი, ფობერი, ვან დერ ვაარტი, ხავი გარსია, რაული, სავიოლა, იგუაინი, ჰუნტელაარი.

22-ე ტურის ყველაზე დიდი მოვლენა უდავოდ ანდალუსიური დერბია. მიუხედავად იმისა, რომ „სევილია" და „ბეტისი" საუკეთესო ფორმაში არ არიან, სევილიური კლუბების დაპირისპირება მაინც ყოველთვის განსაკუთრებულ ემოციებთან და გატაცებასთანაა დაკავშირებული. ერთი შეხედვით „სევილია" ბევრად უკეთეს შანსებს ფლობს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, როგორც ესპანურ ელ კლასიკოში, ასევე ანდალუსიურ დერბიში ყოველთვის ყველაფერი შეიძლება მოხდეს. როგორც ყოველთვის აჟიოტაჟი ახლაც ძალიან დიდია, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ შეხვედრას ყველაზე მოუთმენლად **რიკარდუ ოლივეირა** ელოდება. ბრაზილიელი ფორვარდი ეს ესაა მშობლიურ „ბეტისში" დაბრუნდა და ერთი სული აქვს სადებიუტო შეხვედრა ჩაატაროს. სამხრეთამერიკელს დიდი იმედი აქვს, რომ მწვრთნელი ძირითად შემადგენლობაში დააყენებს. ყველაზე ცუდ შემთხვევაში კი, მეორე ტაიმის დასაწყისში მაინც შეიყვანს მოედანზე. სტუმრებს სერიოზული საკადრო პრობლემები არ აქვთ. **პაკო ჩაპაროს** ახლა ყველაზე მეტად დერბის მშვიდად ჩატარების საკითხი აღელვებ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სევილიური კლუბების დაპირისპირება ძალიან დიდ ვნებათაღელვასთანაა დაკავშირებული. თუნდაც ის შეხვედრა გაიხსენეთ, როცა „სევილიის" მაშინდელ მწვრთნელს ხუანდე რამოსს წყლით სავსე ბოთლი გაარტყეს თავში. არ არის გამორიცხული, რომ უსიამოვნო ინციდენტები ამ შეხვედრაშიც დაფიქსირდეს. ამის თავიდან ასაცილებლად პაკო ჩაპარომ საჭიროდ მიიჩნია, რომ საგანგებო პრესკონფერენცია გაემართა და განეცხადებინა: *„მესმის, რომ ფეხბურთი დიდ ვნებასთან და სიხარულთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით მაშინ, როცა ტრადიციული მეტოქეები ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ დამიჯერეთ, ადამიანის დაჭრად, მით უმეტეს, მის მოკვლად არაფერი ღირს. წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით, სრულიად ბუნებრივად მიჩნდება შიში, რომ სტადიონზე ძალიან დაძაბული სიტუაცია იქნება. ყველას მოვუწოდებ, რომ ემოციები მოთოკოს და სტადიონზე ჯანსაღი ატმოსფერო შექმნას. წინააღმდეგ შემთხვევაში ფიესტა ჩაგვშხამდება და მოგებული არავინ დარჩება."*

სენიორ ჩაპაროსგან განსხვავებით, **მანოლო ხიმენესს** მცირე საკადრო პრობლემები აქვს. **ფედერიკო ფასიოსა** და **ენცო მარესკას** მიკრო ტრავმები აწუხებდათ. ამის გამო მათ ამ კვირაში თითქმის ყველა ვარჯიში გამოტოვეს. გარდა ამისა პრობლემები **კრესპოსაც** შეექმნა, მაგრამ სენიორ ხიმენესი არ გამორიცხავს, რომ ამ სამმა ფეხბურთელმა „სანჩეს პისხუანზე" მაინც ისასპარეზონ. მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი იმედოვნებს, რომ მისი ბიჭები ძალების მობილიზებას შეძლებენ და პრინციპულ მოწინააღმდეგესთან შთამბეჭდავ გამარჯვებას მოიპოვებენ.

„ბარსელონა" პერმანენტულმა წარმატებებმა ისე გაიტაცა, გაჩერებას არ აპირებს. კატალონიელები აცხადებენ, მერე რა, რომ 12 ქულით ვლიდერობთ, მოდუნება მაინც არ შეიძლებაო. **პეპ გვარდიოლას** უკმაყოფილების ერთა-დერთი მიზეზი რამდენიმე მოთამაშის ტრავმა თუ იქნებოდა. ეს პირველ რიგში **კარლეს პუიოლზე** ითქმის. გუნდის კაპიტანმა 10 დღის წინ მიღებული ტრავმა მოიშუშა და პარასკევის ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა. მიუხედავად ამისა, გვარდიოლას ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, ათამაშებს თუ არა პუიოლს. მიკრო ტრავმა **სეიდუ კეიტამაც** მოიშუშა. რა თქმა უნდა, ესეც ძალიან სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ გვარდიოლას ახლა ყველაზე მეტად ჩავის მდგომარეობა აღელვებს. ერნანდესი უკვე რამდენიმე დღეა ვერ ვარჯიშობს. მას მარჯვენა ფეხი საკმაოდ ძლიერად სტკივა. ჩავი, ალბათ, მოედანზე გასვლას ვერ მოახერხებს. „ბარსელონის" მესვეურებს დღეს მნიშვნელოვანი საქმე აქვთ. ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტში მათ აპელაცია უნდა შეიტანონ. გემახსოვებათ, „რასინგთან" წინა ტურში **ჟერარდ პიკემ** და **რაფა მარკესმა** წითელი ბარათები მიიღეს. კატალონიელებს მიაჩნიათ, რომ იმ შეხვედრის მთავარმა არბიტრმა ცენტრალური მცველები სრულიად დაუმსახურებლად გააძევა. ამ პრობლემების მიუხედავად გვარდიოლა დარწმუნებულია, რომ მისი ბიჭები გაიმარჯვებენ და გულშემატკივრებს მორიგ ლამაზ თამაშს აჩუქებენ.

„ოსასუნა" პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გუნდია, მაგრამ მიუხედავად ამისა, „ვალენსიის" მთავარი მწვრთნელი **უნაი ემერი** ძალიან ფრთხილობს. სტუმართა დამრიგებელს გული უგრძნობს, რომ პამპლონელები სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო შეხვედრას ჩაატარებს. ძნელი სათქმელია, რა გახდა ასეთი დასკვნის გამოტანის მიზეზი, მაგრამ ფაქტია, რომ სენიორ ემერი ასეთ რამეს ამბობს: *„ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ მოწინააღმდეგეს გოლის გატანის საშუალება არ მივცეთ. დარწმუნებული ვარ, „ოსასუნა" ძალიან დიდი ძალებით შემოგვიტევს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ გოლი გაგვიტანოს. თანაც ძალიან სწრაფად. მერწმუნეთ, თუ „ოსასუნა" ანგარიშს გახსნის, გათანაბრება და მით უმეტეს, გამარჯვების ბურთის შეგდება ძალიან გაგვიჭირდება. ტაქტიკის დეტალებს, რა თქმა უნდა, არ გავამხელ, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ მასპინძლებს საჭიროების შემთხვევაში სერიოზულ პრესინგს დავუპირისპირებთ. ბურთის ართმევა, პირდაპირ მათ საჯარიმო მოედანზე უნდა დავიწყოთ."*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 21 | 18 | 2 | 1 | 65-15 | 56 |
| 2. რეალი | 21 | 14 | 2 | 5 | 44-27 | 44 |
| 3. სევილია | 21 | 11 | 5 | 5 | 28-19 | 38 |
| 4. ვალენსია | 21 | 11 | 4 | 6 | 42-32 | 37 |
| 5. ვილიარეალი | 21 | 9 | 7 | 5 | 33-29 | 34 |
| 6. დეპორტივო | 21 | 10 | 3 | 8 | 26-28 | 33 |
| 7. ატლეტიკო | 21 | 9 | 5 | 7 | 44-33 | 32 |
| 8. მალაგა | 21 | 9 | 5 | 7 | 34-31 | 32 |
| 9. ბილბაო | 21 | 8 | 5 | 8 | 31-33 | 29 |
| 10. რასინგი | 21 | 7 | 7 | 7 | 24-25 | 28 |
| 11. ვალიადოლიდი | 21 | 8 | 3 | 10 | 30-32 | 27 |
| 12. სპორტინგი | 21 | 9 | 0 | 12 | 28-44 | 27 |
| 13. ხეტაფე | 21 | 6 | 7 | 8 | 31-33 | 25 |
| 14. ალმერია | 21 | 6 | 6 | 9 | 24-32 | 24 |
| 15. რეკრეატივო | 21 | 6 | 6 | 9 | 19-29 | 24 |
| 16. ბეტისი | 21 | 6 | 4 | 11 | 27-29 | 22 |
| 17. ნუმანსია | 21 | 6 | 2 | 13 | 25-43 | 20 |
| 18. ოსასუნა | 21 | 3 | 8 | 10 | 22-30 | 17 |
| 19. ესპანიოლი | 21 | 3 | 8 | 10 | 19-34 | 17 |
| 20. მალიორკა | 21 | 4 | 5 | 12 | 21-39 | 17 |

რეალი

# სერხიო რამოსი წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაება

## ახალგაზრდა მცველი ფლორენტინო პერესის გამარჯვებას ელის

**ფლორენტინო პერესს** სამეფო კლუბში დიდი ლობისტი გამოუჩნდა. მას **სერხიო რამოსი** ჰქვია. წესით ფეხბურთელები პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდანტს ღიად არ უნდა უჭერდნენ მხარს, მაგრამ ახალგაზრდა რამოსმა ეს წესი დაარღვია და ფლორენტინოს მხარდასაჭერად ხმაურიანი განცხადება გააკეთა: *„შეიძლება, ბევრმა ადამიანმა გამაკრიტიკოს, მაგრამ მე ვცდილობ ყოველთვის ის ვილაპარაკო, რასაც ვფიქრობ და ვგრძნობ ხოლმე. მინდა, რომ არჩევნებში სენიორ პერესმა გაიმარჯვოს. ამის რამდენიმე მიზეზი მაქვს. პირველ რიგში უნდა ვთქვა, რომ ფლორენტინოს წინაშე იმდენად დიდ ვალში ვარ, რომ მის ამაგს ცხოვრების ბოლომდე ვერ გადავიხდი. ის მაშინ მენდო, როცა არავინ ვიყავი, არაფერს წარმოვადგენდი. პრეზიდენტი იყო და ისე მექცეოდა, თითქოს მისი თანასწორი ვიყავი. არადა, მაშინ მართლა არავინ მიცნობდა. ერთ-ერთი პერსპექტიული მცველი ვიყავი, მაგრამ პერსპექტიული ბიჭები ხშირად გვინახავს, შემდგარი ვარსკვლავი კი უფრო დიდი იშვიათობაა. მიუხედავად ყველაფრისა, ფლორენტინო პერესმა სრული ნდობა გამომიცხადა და იმად მაქცია, რაც ახლა ვარ."*

ბუნებრივია, რამოსი იმდენად სულელი არ არის, რომ ფლორენტინოს მხოლოდ ამის გამო დაუჭიროს მხარი. მას უფრო სერიოზული არგუმენტიც აქვს: *„რატომ ფლორენტინო პერესი და არა ვინმე სხვა? იმიტომ, რომ პერესი ბოლო ათწლეულების ყველაზე დიდი და წარმატებული პრეზიდენტია. საუკეთესო მტკიცებულება შედეგებია. მან გუნდს უამრავი ტიტული მოუტანა - ჩემპიონთა თასი და პრიმერა დივიზიონის ჩემპიონობა. გარდა ამისა, მისი პრეზიდენტობის ჟამს გუნდს უდიდესი შემოსავალი ჰქონდა. ყოველ მხრივ წელში გამართული ვიყავით, მაგრამ ბოლოს გაუტანლობამ და თანამდებობის სიყვარულმა სენიორ პერესს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. მისი წარმატებებით დაბოლმილმა ხალხმა ჩინებული მენეჯერი აიძულა, თანამდებობიდან გადამდგარიყო. ხმამაღლა ვაცხადებ, მე ფლორენტინო პერესს ვუჭერ მხარს და იმედს ვიტოვებ, რომ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში ის გაიმარჯვებს."*


სერხიო რამოსი ფლორენტინოს დაბრუნებას მიესალმება

გვერდი მოამზადა
ილია **ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა


დავით ქარჩავა


ალეკო ბურდილაძე


რევაზ ჭელიძე

# ფშაფელი ჩემპიონი

**შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის სპორტდარბაზში დამთავრდა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ჩემპიონატი. გუშინ კიდევ სამ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები.

84 კილოგრამში ოქროს მედლისთვის ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობის პრიზიორი **დავით ქარჩავა** და ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი **აკაკი ჯოხაძე** დაუპირისპირდნენ. პირველი პერიოდი აკაკიმ მოიგო, მეორე - დათომ. მესამე ორწუთიანი მონაკვეთი ფრედ - 2:2 დამთავრდა, მაგრამ ბოლო ქულის წყალობით ქარჩავამ გაიმარჯვა. იგი აფხაზეთიდანაა, სოფელ ფშაფიდან. შარშან ეროვნული ჩემპიონატის გადამწყვეტი ორთაბრძოლა **ლადო გეგეშიძესთან** დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

- ალბათ, უფლის ნება იყო, ჩემპიონობა მომეპოვებინა, - მითხრა დავითმა. - კადეტებსა და ახალგაზრდებში ოთხჯერ წავაგე აკაკისთან, ახლა კი რევანში ავიღე. ამ წარმატებაში დიდი წვლილი პირად მწვრთნელს **დათო დავითაიას** მიუძღვის, ასევე, ჩემს უფროს მეგობარს **ბადრი ხასაიას**, რომელიც დღეს სეკუნდანტობას მიწევდა.

- მე და დავით ქარჩავა კარგა ხანია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის დათო დავითაიას ხელმძღვანელობით ვვარჯიშობთ „პეტრეს დარბაზში", - ჩაერია საუბარში ბადრი ხასაია. - მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის მოსამზადებლად ქარჩავას ბევრჯერ გაუწევია ჩემთვის სპარინგპარტნიორობა. დღეს ბატონმა დათომ საშუალება მომცა, მომავალი ჩემპიონისთვის დახმარება გამეწია. როგორც ყოველთვის, არც ამჯერად შემცდარა. უმცროსმა დათომაც ყველაფერი გაილო გასამარჯვებლად და გაგვახარა.

**- თავად რას აპირებ?**

- მკერდზე რთული ოპერაცი ს შემდეგ იარას ვიშუშებ. თუმცა ფიზიკურ მომზადებას უკვე შევუდექი. თვის ბოლოს, ალბათ, ხალიჩაზე ვარჯიშსაც შევძლებ. ვეცდები, გივი კარტოზიას ტურნირისთვის საფუძვლიანად მოვემზადო, რომ ეროვნულ ნაკრებში ადგილი დავიბრუნო. ხომ ნახეთ, ჩემს წონაში რა ძლიერი ახალგაზრდობა მოდის. მათთან გამკლავება იოლი არ იქნება...

96 კილოში, მოგეხსენებათ, წონის ფავორიტი **რამაზ ნოზაძე** არ მონაწილეობდა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გადამწყვეტ პაექრობაში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს მრავალგზის პრიზიორი **ალეკო ბურდილაძე** და ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობის ვერცხლის მედალოსანი **სერგო ნინუა**. გამოცდილ ბურდილაძეს ახალგაზრდა მეტოქის დამარცხება და ოქროს მედლის მოპოვება არ გასჭირვებია.

ზედიზედ მესამედ გახდა საქართველოს ჩემპიონი 120 კილოში **რევაზ ჭელიძე**, რომელმაც ამჯერადაც უმთავრეს კონკურენტს - **გურამ ფერსელიძეს** სძლია.

**ბეგი დარჩია**, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: - ამ ჩემპიონატზე ლიდერები არ გამოდიოდნენ, მაგრამ ახალგაზრდებმა ეფექტური ჭიდაობით კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს, რომ ფავორიტებს იოლად არაფერს დაუთმობენ. შეჯიბრებამ საშუალება მოგვცა, ნაკრების რეზერვში კორექტივები შევიტანოთ. 12 თებერვლიდან თბილისში საწვრთნელ შეკრებას დავიწყებთ. თვის ბოლოს ბუდაპეშტში „ოქროს გრანპრიზე" გავემგზავრებით. დანარჩენს კი უნგრეთიდან დაბრუნების შემდეგ გეტყვით.

**კვარცხლბეკი**

84 კგ. 1. დავით ქარჩავა (თბილისი), 2. აკაკი ჯოხაძე (გარდაბანი), 3. დავით უბირია ( აფხაზეთი) და ალუდა ხუნჯუა (ხობი).

96 კგ. 1. ალეკო ბურდილაძე (რუსთავი), 2. სერგო ნინუა (ქუთაისი), 3. ვლადიმერ ქარჩავა (ოზურგეთი) და მიხეილ ქაჯაია (წყალტუბო).

120 კგ. 1. რევაზ ჭელიძე (ოზურგეთი), 2. გურამ ფერსელიძე (აჭარა), 3. დავით ჯიმშელეიშვილი (წყალტუბო) და დიმიტრი ჯავახიშვილი (გარდაბანი).

ვაჟა დანელია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ძიუდო

# პირველი დიდი სლემისთვის

## ლიპარტელიანის უდიდესი გამოცდა




დღეს-ხვალ პარიზის ცნობილი დარბაზი „ბერსი", რომელიც 16 ათას მაყურებელს იტევს, მსოფლიოს საუკეთესო ძიუდოისტებს მასპინძლობს. ამ უქმეებზე ძიუდოს ისტორიაში პირველი „დიდი სლემი" გაიმართება. ტურნირზე 59 ქვეყნის 500-მდე სპორტსმენი გამოვა, მათ შორის **შოთა ხაბარელის** ნაკრები. ისტორიაში პირველი „დიდი სლემის" საპრიზო ფონდი 154 ათასი დოლარია. ოქროს მედალოსანი 5 ათასი დოლარის მფლობელი ხდება, მეორეადგილოსანი - 3 ათასის, მესამეადგილოსნებს - 1,5-1,5 ათასი გადაეცათ. შეჯიბრება მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს, ბილეთის ფასები 25-60 ევროს ფარგლებში მერყეობს.

ევროპულ ქვეყანას წონით კატეგორიაში 2-2 ძიუდოისტის გამოყვანა შეუძლია პარიზის „დიდ სლემზე". ტურნირის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ მასში მონაწილეობს პეკინის ოლიმპიური თამაშების 28 მედალოსანი, მათ შორის 6 ოლიმპიური ჩემპიონი. საერთაშორისო ფედერაციის საიტის მტკიცებით, იჭიდავებს **ირაკლი ცირეკიძეც** (100 კგ), რომლის გამოყვანაც ტატამზე **შოთა ხაბარელს** თბილისში გადაწყვეტილი არ ჰქონდა. დიდი სლემის" მოგება სპორტსმენს რეიტინგში 300 ქულას მოუტანს და მნიშვნელოვნად წასწევს წინ ოლიმპიური საგზურის მოსაპოვებელ რბოლაში.

პირველ დღეს ვაჟთა შორის 60, 66 და 73 კგ. წონით კატეგორიებში გათამაშდება მედლები, კვირას - 81, 90, 100 და მძიმე წონებში. წილისყრის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან ის „ბერსიში" საქართველოს დროით ნაშუალამევს უნდა გამართულიყო. შეგახსენებთ საქართველოს ნაკრების შემადგენლობას: **ამირან პაპინაშვილი, ლევან ჩუბინიძე** (60 კგ), **ნესტორ ხერგიანი** (66), **ზაზა კედელაშვილი, თენგიზ პაპოშვილი** (73), **ლევან ნიკლაური, გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ვარლამ ლიპარტელიანი** (90), **ირაკლი ცირეკიძე, ნოდარ მეტრეველი** (100), **ადამ ოქრუაშვილი და ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე). ძლიერი გუნდით ჩავლენ იაპონელები, რომელთაც პარიზში ეყოლებათ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **მასატო უჩიშიბა** (66 კგ). ყველაზე დაბალ წონაში იაპონიას ძიგარო კანოს ტურნირის გამარჯვებული **კისეი აკიმოტო** წარადგენს, აგრეთვე გამოვა **მასააკი ფუკუოკა**. უჩიშიბას წონაში იქნება პარიზის ტურნირის ორგზის და თბილისის ტურნირის (2006 წელს) გამარჯვებული **ჰიოიუკი აკიმოტო**. ფავორიტებს შედარებით გამოუცდელი სპორტსმენები ჰყავთ 73 კგ წონით კატეგორიაში (**იაშურო ავანო, მასატო ინაზავა**). 81 კგ-ში ნიკლაურს საშუალება მიეცემა თბილისის ტურნირის ფინალში დამარცხებისთვის შური იძიოს **მასაჰიკო ტომოუჩიზე**. შედარებით გამოუცდელია ამ წონაში მოასპარეზე მეორე იაპონელი **ჰიროტაკა კატო**. 90 კგ-ში ძიგარო კანოს ტურნირის გამარჯვებული **ტაკაში ონო** და მესამეადგილოსანი **მასაში ნიშიამა** იჭიდავებენ. კანოს ტურნირის პირველ-მეორეადგილოსნები გამოვლენ ტატამზე 100 კგ. წონით კატეგორიაში, **ტაკამასა ანაი** და **დაისუკე კობაიაში**. საოცარია, მაგრამ იაპონელებს მძიმე წონაში საჭიდაოდ არავინ ჩაუყვანიათ საფრანგეთის დედაქალაქში.

ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს თუმცა ფავორიტებზე ერთი-ორი სიტყვა უნდა ვთქვათ: მასპინძლებმა კვოტა მთლიანად აითვისეს და ყოველ წონაში 4-4 ძიუდოისტს აჭიდავებენ. მძიმეში იქნება ძიუდოს ახალი სუპერვარსკვლავი **ტედი რინერი**. 66-ში იჭიდავებს ტიტულოვანი **ბენჟამინ დარბელე**. ავსტრიიდან მხოლოდ ერთი სპორტსმენი იასპარეზებს, თუმცა როგორი! - **ლუდვიგ პაიშერი**. აზერბაიჯანის ღირსებას დაიცავს ოლიმპიური ჩემპიონი **ელნურ მამადლი**. იჭიდავებს ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი **ლუსიანო კორეა** (100 კგ). ბერძენთა დროშის ქვეშ გამოვლენ **ტარიელ ზიდირიდისი, ილიას ილიადისი**... ჰოლანდიელებს ევროპის ჩემპიონ **ჰენკ ხროლის** და სხვების იმედი ექნებათ. ისრაელმა საფრანგეთში **არიელ ზეევი** ჩაიყვანა, უნგრეთმა - **მიკლოშ უნგვარი**, რუსებს ეყოლებათ **რუსლან კიშმახოვი** (60), **მაგომედ მაგომედოვი** (100), **ალექსანდრ მიხაილინი** (მძიმე) და სხვები. მოკლედ, ძალიან საინტერესო ტურნირი გველოდება - „ბერსიში" ძიუდოს ნამდვილი ზეიმი მოეწყობა.

დაბოლოს, ჩვენი ახალი ვარსკვლავი, ვარლამ ლიპარტელიანი უდიდესი გამოცდის წინაშეა, შეგახსენებთ, რომ მას 13 თვეა მარცხი არ განუცდია...

ნიკოლოზ ნეფარიძე

კრივი

# ფხაკაძე ისევ ოლიმპიადას უმიზნებს

**საქართველოს მოკრივეთა ნაკრების ნევრ კობა ფხაკაძეს, რომელიც ახალგაზრდებს შორის ევროპისა და მსოფლიოს ვიცე- ჩემპიონია, შარშან ერთი ნაბიჯი დააკლდა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიამდე. ოლიმპიადაზე ვერმოხვედრის მიუხედავად ფხაკაძე თავის წონაში (60კგ.) კვლავაც საქართველოს საუკეთესო მოკრივედ ითვლება და წლეულსაც შეეცდება ქვეყნის ჩემპიონობის შენარჩუნებას. კობა ფხაკაძეს შარშანდელ დასამახსოვრებელ ეპიზოდებსა და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ.**

**- გასული სეზონი შენთვის არც თუ ისე წარმატებული აღმოჩნდა. მიზნად პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრა გქონდა დასახული, მაგრამ ლიცენზიამდე ერთი ნაბიჯი დაგაკლდა...**

- წინა სეზონით უკმაყოფილო არ ვარ. იყო საერთაშორისო ტურნირები, სადაც კარგად ვიასპარეზე, მაგრამ მთავარი მაინც ლიცენზიისთვის ბრძოლა იყო. სამწუხაროდ, ოლიმპიადაზე მოხვედრა ვერ მოვახერხე, არადა, ამის საკმაოდ კარგი შანსი მქონდა. ბოლო სალიცენზიო ტურნირისთვის, რომელიც ათენში გაიმართა, საკმაოდ კარგად ვიყავი მომზადებული და დიდი იმედი მქონდა, რომ პეკინის საგზურს მოვიპოვებდი. თავიდან ყველაფერი კარგად განვითარდა. პირველ ჩხუბში ჰოლანდიელი ჰუსნლი კოჩაბაში იოლად დავამარცხე (26:9), მეოთხედფინალში კი ბოსნიელ ადნან ჰაჯიჰაჯიჩსას ზედმეტი ძალების დახარჯვის გარეშეც გავუსწორდი და ნახევარფინალში გავედი...

**- ნახევარფინალური ბრძოლა რომ მოგეგო ლიცენზიასაც მოიპოვებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ფრანგ დაუდა სოუსთან დამარცხდი. ფრანგი ბევრად ძლიერი იყო, თუ სხვა ფაქტორებმა განაპირობეს შენი მარცხი?**

- სოუ ძლიერი მოკრივეა და ეს პეკინის ოლიმპიადაზეც დაამტკიცა, სადაც იგი ფინალში გავიდა, გადამწყვეტ ბრძოლაში აშკარად წააგებინეს რუს ალექსეი ტიშენკოსთან. ფრანგთან თანაბარი ბრძოლა მქონდა, მისი დამარცხება რომ მომეხერხებინა ლიცენზიასაც მოვიპოვებდი, მაგრამ არ გამიმართლა. ევროპის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანგი იყო და საკამათო ეპიზოდებში წააჯები სოუს ემხრობოდნენ. ერთი ქულითაც არ გამიშვეს წინ, აქედან გამომდინარე, ჩემი ტაქტიკით ველარ გავაგრძელე ბრძოლა, ბრმა ჩხუბზე გადავერთე და აქ უკვე ფრანგმა მაჯობა.

**- გამოდის რომ, ოლიმპიადაზე ვერმოხვედრა ნაწილობრივ მსაჯების ბრალიცაა...**

- კრივში რომ მსაჯობის პრობლემაა ეს ახალი ამბავი არ არის. თუმცა ამ ბოლო დროს მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა. ინგლისში, ევროპის ჩემპიონატზე არ იყო იმდენი შეცდომა და მიკერძოება, როგორც წინა წლებში.

**- ოლიმპიადის შემდეგ ლივერპულში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზე. ამ ტურნირს როგორ გაიხსენებ?**

- ევროპის ჩემპიონატის წინ ნაკრებს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა და ლივერპულში მხოლოდ მე და რევაზ ქარელიშვილმა ვიასპარეზეთ. პირველ ჩხუბში სომეხ არა პულუზიანს დაძაბულ ბრძოლაში ერთი ქულის სხვაობით მოვუგე. თუმცა შემდეგ ბრძოლაში უნგრელ მიკლოშ ვარგასთან უთანაბრო ბრძოლაში 6:8 დავმარცხდი და ჩემპიონატს დავემშვიდობე. [illegible] კარგად გამოვიყურებოდი, [illegible] და ჩხუბი. [illegible] ფრედ დამთავრდა, მაგრამ შემდეგ [illegible] ვერ ვეძებდი. სამწუხაროდ, კონცენტრაცია დავკარგე და უნგრელთან თანაბარ ბრძოლაში დავმარცხდი.

**- ალბათ, ოლიმპიადაზე ვერმოხვედრამ მორალურად შენზე ცუდად იმოქმედა...**

- გული ძალიან დამწყდა, მაგრამ ამით არ დასრულებულა ყველაფერი. ჯერ 25 წლის ვარ და ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი კიდევ მექნება. აპრილში საქართველოს ჩემპიონატია და პირველ რიგში ამ ტურნირისთვის ვემზადები. შემდეგ საერთაშორისო ტურნირებზეც ვიასპარეზებ. ნოემბერში მილანში მსოფლიო ჩემპიონატია და წლეულს ძირითადი აქცენტი სწორედ ამ ტურნირზე მქვს გადატანილი, თუმცა ჯერ საქართველოს ჩემპიონატი უნდა მოვიგო და ნაკრებში ადგილი შევინარჩუნო. უკვე დიდი გამოცდილება დამიგროვდა და ვეცდები, წინა ტურნირებში დაშვებული შეცდომები აღარ გავიმეორო.

**- კობა შენ ქუთაისური კრივის სკოლის აღზრდილი ხარ. ამჟამად სად ვარჯიშობ?**

- ძირითადად ახლაც ქუთაისში ვვარჯიშობ. თუ ნაკრებთან ერთად შეკრებებზე ან ტურნირებზე არა ვარ, ქუთაისში, კრივის სპორტსკოლის დარბაზში, პირად მწვრთნელ ზაალ ჯავახაძესთან ვემზადები.

**- ქუთაისის კრივის სკოლაში არის ისეთი პირობები, სადაც ნაკრების მოკრივე სრულფასოვნად მოემზადება?**

- პირობები გაუმჯობესებულია. დარბაზი გარემონტდა, ახალი რინგი და ინვენტარიც გვაქვს. ახლა წყლის პრობლემასაც აგვარებენ... მოკლედ, ყველანაირი ხელშეწყობაა, რომ ვივარჯიშოთ და შეჯიბრებებისთვის სრულფასოვნად მოვემზადოთ.

**- ამ ბოლო დროს ქართული კრივი დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის. შენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

- კრივი, სხვა სპორტის სახეობებთან შედარებით, რთული სახეობაა. აქ ძალიან ძნელია წარმატების მიღწევა. თუმცა, მჯერა რომ მალე ქართველი მოკრივეებიც მოვიპოვებთ დიდ წარმატებებს.

**- სამომავლო გეგმებზე რას იტყვი, პროფესიონალებში ხომ არ აპირებ გადასვლას?**

- ძალიან დიდი სურვილი მაქვს 2012 წლის ოლიმპიადაზე მივიღო მონაწილეობა და აქედან გამომდინარე პროფესიონალებში გადასვლას ჯერ არ ვაპირებ. სამომავლოდ კი ვნახოთ, როგორ აეწყობა ჩემი კარიერა.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

# ქართული სპორტი

კალათბურთი

ეროვნული ჩემპიონატი. XI ტური

## სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**
დავით იმნაძე (ბათუმი) – 34
ორქულიანი: 12/18; სამქულიანი: 0/6; საჯარიმო: 10/12
24.11.08 სასოფლო – ბათუმი

**პასი**
დავით ბერიშვილი (თსუ) – 11
19.10.08 თსუ – დინამო

**ჩაჭრა**
გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ) – 8
14.12.08 ნტდ - თსუ

**მოხსნა**
დავით იმნაძე (ბათუმი) – 19
(მეტოქის ფარზე: 5; საკუთარზე: 14)
31.10.08 ბათუმი – მაკაბი

**დაფარება**
ვასილ ბერუაშვილი (შსს) – 4
31.10.08 ენერჯი – შსს

**შეცდომა**
მამუკა ბოლქვაძე (ბათუმი) - 9
ბათუმი - ენერჯი

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ქულ | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. დავით იმნაძე | ბათუმი | 8 | 163 | 20.38 |
| 2. მიხეილ ბერიშვილი | სასოფლო | 8 | 153 | 19.13 |
| 3. რიჩარდ მათიაშვილი | ავიამშენი | 8 | 142 | 17.75 |
| 4. ბექა წივწივაძე | სასოფლო | 8 | 126 | 15.75 |
| 5. გიორგი ჯანგველაძე | მაკაბი | 7 | 110 | 15.71 |
| 6. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 8 | 124 | 15.5 |
| 7. კოტე ტულუში | ენერჯი | 8 | 123 | 15.38 |
| 8. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 9 | 132 | 14.67 |
| 9. გიორგი მარკოიშვილი | თსუ | 9 | 131 | 14.56 |
| 10. ლუკა შანიძე | თსუ | 9 | 123 | 13.67 |
| 11. დავით ბარბაქაძე | თსუ | 9 | 123 | 13.67 |
| 12. გიორგი ნიკოლაძე | ავიამშენი | 7 | 94 | 13.43 |
| 13. დავით ბერიშვილი | თსუ | 8 | 105 | 13.13 |
| 14. გიორგი გამყრელიძე | ენერჯი | 8 | 105 | 13.13 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | მტ | სკ | ჯ | საშ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დავით იმნაძე | ბათუმი | 8 | 33 | 86 | 119 | 14.88 |
| 2. რევაზ ათანელიშვილი | სასოფლო | 9 | 29 | 52 | 81 | 9 |
| 3. მიხეილ ბერიშვილი | სასოფლო | 8 | 18 | 49 | 67 | 8.38 |
| 4. ილია ლონდარიძე | მაკაბი | 9 | 39 | 35 | 74 | 8.22 |
| 5. დავით ბარბაქაძე | თსუ | 9 | 20 | 50 | 70 | 7.78 |
| 6. რიჩარდ მათიაშვილი | ავიამშენი | 8 | 26 | 33 | 59 | 7.38 |
| 7. ანატოლი ბოისა | ავიამშენი | 9 | 13 | 53 | 66 | 7.33 |
| 8. ზურაბ ბიბილური | მაკაბი | 9 | 26 | 38 | 64 | 7.11 |
| 9. ზვიად ბაბიაშვილი | ენერჯი | 9 | 15 | 49 | 64 | 7.11 |
| 10. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 8 | 10 | 46 | 56 | 7 |

**პასი**

| მოთამაშე | გუნდი | თ | პას | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 9 | 59 | 6.56 |
| 2. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 9 | 48 | 5.33 |
| 3. ბექა წივწივაძე | სასოფლო | 8 | 42 | 5.25 |
| 4. ლაშა გამყრელიძე | ენერჯი | 8 | 39 | 4.88 |
| 5. გიორგი ნიკოლაძე | ავიამშენი | 7 | 28 | 4 |
| 6. კოტე ტულუში | ენერჯი | 8 | 32 | 4 |
| 7. მიხეილ ჩიტაშვილი | ნტდ | 9 | 35 | 3.89 |
| 8. დავით ბერიშვილი | თსუ | 8 | 31 | 3.88 |
| 9. ზაურ ფაშაევი | ნტდ | 9 | 34 | 3.78 |
| 10. ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 8 | 29 | 3.63 |

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ჩაჭ | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 8 | 26 | 3.25 |
| 2. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 9 | 25 | 2.78 |
| 3. ვასილ ბერუაშვილი | შსს | 6 | 16 | 2.67 |
| 4. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 8 | 21 | 2.63 |
| 5. ზაურ ფაშაევი | ნტდ | 9 | 22 | 2.44 |
| 6. მიხეილ ბერიშვილი | სასოფლო | 8 | 19 | 2.38 |
| 7. დავით ბარბაქაძე | თსუ | 9 | 18 | 2 |
| 8. მიხეილ ჩიტაშვილი | ნტდ | 9 | 17 | 1.89 |
| 9. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 9 | 17 | 1.89 |
| 10. ბექა წივწივაძე | სასოფლო | 8 | 15 | 1.88 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ | დაფ | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. პლასიდე როდუმტა | ნტდ | 7 | 10 | 1.43 |
| 2. შიო ხეცურიანი | თსუ | 7 | 8 | 1.14 |
| 3. დავით იმნაძე | ბათუმი | 8 | 9 | 1.13 |
| 4. მიხეილ ბერიშვილი | სასოფლო | 8 | 9 | 1.13 |
| 5. ვახტანგ ნაცვლიშვილი | ავიამშენი | 9 | 10 | 1.11 |
| 6. რიჩარდ მათიაშვილი | ავიამშენი | 8 | 8 | 1 |
| 7. ჟულივეტ ტუჯანი | ენერჯი | 9 | 8 | 0.89 |
| 8. დავით იოსელიანი | მაკაბი | 8 | 7 | 0.88 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | შ | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. რომა აპმედიანი | მაკაბი | 6 | 30 | 5 |
| 2. ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 8 | 34 | 4.25 |
| 3. ილია ლონდარიძე | მაკაბი | 9 | 38 | 4.22 |
| 4. ბექა წივწივაძე | სასოფლო | 8 | 31 | 3.88 |
| 5. გიორგი ჯანგველაძე მაკაბი | 7 | 25 | 3.57 | |
| 6. მიხეილ ჩიტაშვილი | ნტდ | 9 | 32 | 3.56 |
| 7. დავით იმნაძე | ბათუმი | 8 | 28 | 3.5 |
| 8. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 9 | 29 | 3.22 |
| 9. დავით იოსელიანი | მაკაბი | 8 | 25 | 3.13 |
| 10. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 9 | 28 | 3.11 |

**ფოლი**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ჯარ | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. დავით იმნაძე | ბათუმი | 8 | 27 | 3.38 |
| 2. შიო ხეცურიანი | თსუ | 7 | 23 | 3.29 |
| 3. დავით იოსელიანი | მაკაბი | 8 | 26 | 3.25 |
| 4. ანარ სარიევი | ნტდ | 8 | 25 | 3.13 |
| 5. მამუკა ბოლქვაძე | ბათუმი | 8 | 25 | 3.13 |
| 6. ზურაბ ბიბილური | მაკაბი | 9 | 28 | 3.11 |
| 7. დავით უგრეხელიძე | ენერჯი | 9 | 28 | 3.11 |
| 8. ილია ლონდარიძე | მაკაბი | 9 | 28 | 3.11 |

**წუთი**

| მოთამაშე | გუნდი | თ | წუთ. | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. დავით იმნაძე | ბათუმი | 8 | 292 | 36.5 |
| 2. მიხეილ ბერიშვილი | სასოფლო | 8 | 260 | 32.5 |
| 3. დავით იოსელიანი | მაკაბი | 8 | 254 | 31.75 |
| 4. ბექა წივწივაძე | სასოფლო | 8 | 254 | 31.75 |
| 5. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 9 | 279 | 31 |
| 6. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 8 | 246 | 30.75 |
| 7. გიორგი ჯანგველაძე | მაკაბი | 7 | 209 | 29.86 |
| 8. ანატოლი ბოისა | ავიამშენი | 9 | 264 | 29.33 |
| 9. ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 8 | 234 | 29.25 |
| 10. გიორგი გამყრელიძე | ენერჯი | 8 | 229 | 28.63 |

# ავია ბათუმიდან 2 ქულით ჩამოფრინდა

**6 თებერვალი, ბათუმი**
**ბათუმი–ავიამშენი 90:114**
30:26, 15:30, 24:34, 21:24

ბათუმი: გვაზავა, მაისურაძე (28ქ), თავართქილაძე (20ქ), დოლიძე (8ქ), ჩხაიძე, კეშელავა (18ქ), ოჩხიკაზე (5ქ, 4პ), ბოლქვაძე (9ქ, 13მ), კვერნაძე (2ქ)

ავიამშენი: ბერაია, ი. ბერიშვილი (23ქ, 4პ, 3ჩ), ნიკოლაძე (14ქ), კვიმსაძე (4ქ), მათიაშვილი (26ქ, 12მ, 3პ), ნინიაშვილი (2ქ), პირველაშვილი (20ქ, 8მ), შერმადინი (2ქ), ბოისა (7ქ, 3ჩ), დ. ბერიშვილი (16ქ, 6მ, 4პ)

საქართველოს ჩემპიონატის მე-11 ტური ბათუმში გაიხსნა. ერთმანეთს ადგილობრივი "ბათუმი" და თბილისური "ავიამშენი" გაეჯიბრნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება დედაქალაქელებს დარჩათ, თუმცა მასპინძლებმა მეტოქეს იოლად არაფერი დაანებეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზღვისპირელები ჩემპიონატის მთავარი მექულისა და მომხსნელის, **დავით იმნაძის** გარეშე თამაშობდნენ. მოედანზე დათოც რომ ყოფილიყო, ეგებ ხელი ორი ქულით დაემშვენებინათ. თუმცა, რადგან ერთი მხარის დანაკლისზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა დავძინოთ, რომ "ავიამშენის" რიგებში არ უთამაშია გასული ტურის საუკეთესო კალათბურთელს **ვატო ნაცვლიშვილს**. თუმცალა, სტუმრებმა ვატოს გარეშეც აჯობეს ფარქვეშ: 45 მოხსნა 37-ის წილ.

უნდა გამოვყოთ ბათუმელი **ვანო მაისურაძის** თამაში, რომელიც გუნდის მოთამაშე პრეზიდენტია. იგი პირველ წრეში იშვიათად, თან ცოტას თამაშობდა, "ავიამშენთან" კი 34 წუთში 6-დან 3 ორქულიანი, 11-დან 6 სამიანი, 7-დან 4 საჯარიმო ჩააგდო და 28 ქულა მიითვალა. "ავიას" რიგებში **რიჩარდ მათიაშვილი** გამოირჩა. მან 26 ქულას 12 მოხსნა შეუწყვილა.

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 9 | 9 | 0 | 18 |
| 2. ავიამშენი | 10 | 8 | 2 | 18 |
| 3. ნტდ | 9 | 6 | 3 | 15 |
| 4. თსუ | 9 | 6 | 3 | 15 |
| 5. სასოფლო | 9 | 5 | 4 | 14 |
| 6. ბათუმი | 9 | 3 | 6 | 12 |
| 7. შსს | 9 | 2 | 7 | 11 |
| 8. დინამო | 9 | 2 | 7 | 11 |
| 9. მაკაბი | 9 | 0 | 9 | 9 |

ვაჟა სიმონიშვილი




წინასამატჩო პრესკონფერენცია

# ნუგზარ ჭეიშვილი: სასურველი იყო, თსუ კიდევ რამდენიმე კალათბურთელს დაეტოვებინა...

კვირას საქართველოს ჩემპიონატის მე-11 ტურის ცენტრალურ მატჩში ერთმანეთს "სასოფლო" და თსუ დაუპირისპირდება. ამ მატჩს დამატებით ხიბლს ერთი გარემოება სძენს – იანვარში უფულობით დასუსტებული თსუ-დან ორი კალათბურთელი სწორედ "სასოფლოში" გადავიდა – **გიგი ბარბაქაძე და გიორგი ყველაშვილი.**

ამ შეხვედრასთან დაკავშირებით გუშინ ტოტალიზატორ "აჭარაბეთში" გაიმართა წინასამატჩო პრესკონფერენცია. თავდაპირველად თსუ-ში არსებული მდგომარეობით დავინტერესდით.

„თსუ-ში ხდება ის, რაც დღევანდელ მსოფლიოში – კრიზისში ვართ. კალათბურთელები უხელფასოდ თამაშობენ, გადავინაცვლეთ პატარა დარბაზში, რომელიც სტანდარტებთან შედარებით მცირე ზომისაა. უფულობის გამო გუნდი დატოვა ოთხმა კალათბურთელმა – გიგი და დათო ბარბაქაძეებმა, გიორგი ყველაშვილმა და დავით ბერიშვილმა. სასურველი იყო, კიდევ არაერთი მოთამაშე წასულიყო, მაგრამ სხვა გუნდებს განაცხადები ბოლომდე აქვთ შევსებული და ახლების დამატების უფლება აღარ აქვთ. არადა, ეს ბიჭები გაცილებით უკეთეს კლუბებში თამაშს იმსახურებენ. განაცხადში არსებული სიცარიელის ამოვსების მიზნით ამერიკიდან ჩამოვიყვანეთ მიშა ფანჩულიძე, რომელიც ნიუ იორკის კოლეჯში სწავლობს და მარტამდე არდადეგები აქვს. ასევე დაგვემატა ივანეიშვილი, კუჭავა, ელანიძე და ლოსაბერიძე. გვყავს ტრავმირებულები – ტვინის შერყევა აქვს გულივერ ახალკაცს, ხოლო ლუკა შანიძემ მენისკის ოპერაცია გაიკეთა და სეზონის ბოლომდე ვერ დაგვეხმარება. გრიპის ვირუსი შეეყარა გიორგი მარკოიშვილს..." – თსუ-ს შესახებ მოკლედ, მაგრამ მრავლისმომცველად ილაპარაკა გუნდის თავკაცმა **ნუგზარ ჭეიშვილმა.**

საკუთარ ჯანმრთელობაზე საუბრით დაიწყო სიტყვა **გიორგი მარკოიშვილმა:**

„სამი დღეა სახლიდან არ გავსულვარ, გაციებული ვიყავი. პირველად დღეს ავდექი და თუ კვირამდე გამოვჯანმრთელდი, "სასოფლოსთან" აუცილებლად ვითამაშებ. ვერ ვიტყვი, რომ ამ შეხვედრისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდით, გვქონდა პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ვცდილობდით. სამწუხაროდ, სეზონის ბოლომდე დაფინანსება არ გვექნება. იმედია, შემდეგში მაინც გამოსწორდება სიტუაცია..."

"სასოფლოს" შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მოგვცა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მიხეილ კობეშავიძემ:**

„პირველ რიგში, მინდა თსუ-ს მოთამაშეებს მოქმედება მოვუწონო. დასაფასებელია, როცა კალათბურთის სიყვარულით ისინი მაინც გამოდიან მოედანზე და ბოლომდე იბრძვიან. დარწმუნებული ვარ, რომ კვირას რთული თამაში გველის. ფეხი აწუხებს ბექა წივწივაძეს, თუმცა იგი გუნდთან ერთად ვარჯიშობს და სავარაუდოდ, თსუ-სთან მატჩში დაგვეხმარება. დავით გვიმრაძეს მენისკის ოპერაცია სჭირდება და ჩემპიონატის ბოლომდე დაისვენებს. რაც შეეხება ტატო ჩაჩიბაიას, მან ოპერაციის შემდეგ ხელჯოხი უკვე გადააგდო და, სავარაუდოდ, 20 თებერვლიდან დაგვეხმარება".

პრესკონფერენცია "აჭარაბეთის" ყველაზე მაღალმა (208 სმ) სტუმარმა **რეზო ათანელიშვილმა** დახურა. კითხვაზე, რატომაა ემოციური, მან მოგვიგო:

„მსაჯების ბრალია. გასულ ტურში ცუდი მსაჯობა იყო. თუმცა ეს ყველაფერი დავიწყებულია და მომავალი შეხვედრისთვის ვემზადებით. მოგება გვაქვს დაგეგმილი და ვიმედოვნებ, რომ გავიმარჯვებთ კიდეც".

ვაჟა სიმონიშვილი




კინო და ავტოსპორტი

# პირველი ავტოკინო საქართველოში

რუსთავის ეროვნული ავტოდრომის შესასვლელთან პირველი ავტოკინო გაიხსნა. კინოთეატრი ღია ცის ქვეშ ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ამჯერად სულ სხვა სიახლესთან გვაქვს საქმე. ფილმებს იქვე, ეკრანთან გაჩერებული ავტომობილებიდან უყურებენ. კინოთეატრის ეს სახეობა ამერიკიდან შემოვიდა და ევროპაშიც დაიმკვიდრა ადგილი. მას „დრაივ-ინ" ჰქვია. კინოს ნახვის მსურველი გააჩერებს მანქანას უშველებელი ეკრანის სიახლოვეს, ხმას რადიოტალღის საშუალებით „დაიჭერს", კომფორტულად მოეწყობა ავტომობილის სავარძელში და საინტერესო ფილმს ნახავს. სეანსები 20.00 სთ-ზე დაიწყება. ორშაბათობით ფილმები არ იქნება.

რეპერტუარი ძირითადად ეხება ავტო თემატიკას - ავტომობილებს და ავტოსპორტს, რაც ახალგაზრდობას ძალიან მოსწონს. პრემიერაზე ნაჩვენები იქნა ცნობილი ბლოკბასტერი, „ტოკიო-დრიფტი". კინოთეატრი „დრაივ-ინის" გახსნის დღეს დრიფტის ილეთების დემონსტრირება რუსთავის ავტოდრომზე ქართველმა სტრიტრეისერებმაც მოახდინეს და პირველ კინოსეანსამდე ახალგაზრდობას არაჩვეულებრივი ატმოსფერო შეუქმნეს. ავტოკინო მომავალში, ალბათ, უფრო გააფართოვებს რეპერტუარს. არ მგონია, ახალგაზრდობას „დივი-დით" ნანახი ფილმის დიდ ეკრანზე ხილვა არ სურდეს. ავტოსპორტზე ფილმებს რა გამოლევს. გავიხსენოთ თუნდაც კლასიკა: „გრან პრი", ფორმულა 1-ზე შექმნილი განუმეორებელი ფილმი, რომლის რეჟისორიცაა ამერიკელი **ჯონ ფრანკენჰაიმერი**, მთავარ როლებს კი ასრულებენ **ჯეიმს გარნერი, ივ მონტანი, ბრაიან ბედფორდი, ანტონიო ს. ბატო, ადოლფო ჩელი და ტოშირო მიფუნე**; „ლე მანი" - რეჟისორი **ლი კაცინი**, მთავარ როლში **სტივ მაკქვინი და ზიგფრიდ რაუხი**; „გამარჯვება" - რეჟისორი **ჯეიმს გოულდსთოუნი**. მთავარ როლებში **პოლ ნიუმენი, რობერტ ვაგნერი**.

ამ კლასიკურ სამეულს შეიძლება დაემატოს ძალზე პოპულარული ფრანგული ფილმი „ტაქსი", ოთხივეს პროდიუსერია **ლიუკ ბესონი**, რეჟისორები კი **ჟერარ პირესი და ჟერარ კრავჩიკი**. მთავარ როლებს ასრულებენ **სამი ნასერი და ფრედერიკ დიფენტალი**; „ქუხილის დღეები" - რეჟისორი: **ტონი სკოტი**, მთავარ როლებში: **ტომ კრუზი, რობერტ დიუვალი, რენდი კვეიდი, ნიკოლ კიდმანი**; „რბოლებზე გაგიჟებული" - რეჟისორი: **რენი ჰარლინი**; მთავარ როლებში: **სილვესტერ სტალონე, ტილ შვაიგერი, ბერტ რეინოლდსი, კიპ პარდიუ, კრისტიან დე ლა ფუენტე**; „ფორსაჟის" სხვადასხვა ვერსია. ანიმაცური ფილმი „მანქანები" - რეჟისორი: **ჯონ ლესეტერი**, მთავარ როლებს ახმოვანებენ **ოუენ უილსონი**, პოლ ნიუმენი, **მარიო ანდრეტი, რიჩარდ „კინგ" პეტი, მაიკლ კიტონი**.

სასიამოვნო „დრაივ-ინი" გარანტირებულია.

დავით ჩუბინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

ერთა თასი

# ჰაიდელბერგული ექსპერიმენტები

დღეს ჰაიდელბერგში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის გათამაშების პირველ შეხვედრას გამართავს. მეტოქე გერმანიის ნაკრები შეჯიბრების დებიუტანტია და ამდენად ბორჯღალოსნები ფავორიტებად მიიჩნევიან. თვითონ გერმანულმა მედიამ შეხვედრა დავითისა და გოლიათის შერკინებად მონათლა, რაც სხვა ევროპულმა მედიაგამოცემებმაც აიტაცეს. რაგბი ის იშვიათი გამონაკლისია სპორტის სათამაშო სახეობებს შორის, რომელშიც გერმანელებზე, ალბათ, ერთი თავით მაღლა ვდგავართ.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს გერმანელების წინააღმდეგ მხოლოდ ერთხელ უასპარეზია. 1995 წლის 15 ოქტომბერს ბორჯღალოსნებმა ჩვენს ეროვნულ სტადიონზე მეტოქე 14:3 დაამარცხეს და ერთ-ერთ ეპიზოდში გვარიანადაც სცემეს. თითქმის 13 წლის შემდეგ ამ გუნდების გზები ისევ გადაიკვეთა. ამ დროის განმავლობაში საქართველოს ნაკრებმა ორ მსოფლიო თასზე მოასწრო თამაში და ამჯერად მსოფლიო კლასიფიკაციაში 69,43 ქულით მე-14 ადგილზეა.

გერმანელებს წარსული ბევრად მოკრძალებული აქვთ. ისინი მთელი ამ დროის განმავლობაში დაბალ დივიზიონებში ასპარეზობდნენ და რეიტინგში ამჟამად 56,73 ქულით 26-ე ადგილი უკავიათ.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა თავს უფლება მისცეს, გერმანელებთან შეხვედრაში რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარონ. ეროვნულ გუნდში პირველად ითამაშებს რვა ნომრის პოზიციაზე აქამდე მეორე ხაზში მოთამაშე **მამუკა გორგოძე**. გულივერამ ამ პოზიციაზე რამდენიმე შეხვედრაში ითამაშა თავისი კლუბის, ფრანგული „მონპელიეს“ შემადგენლობაში და აშკარად გაამართლა.

იქნება კიდევ ერთი სიახლე - ფულ ბეკად (№15) **მერაბ კვირიკაშვილის** თამაში. მეკო ბოლო ხანს ათ ნომერზე თამაშობს, თუმცა არანაკლები წარმატებით ცხრა ნომერზეც შეუძლია გაისარჯოს, რადგან ბავშვობიდან, ვიდრე ეროვნულ ნაკრებში მოხვდებოდა, სწორედ ამ პოზიციაზე ასპარეზობდა.

გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ზედმეტ ფუფუნებად მიგვაჩნია ისეთი მორაგბეების სათადარიგოთა შორის ჯდომა, როგორებიც არიან **აქვსენტი გიორგაძე, თედო ზიბზიბაძე** და **გია ლაბაძე.** თუმცა გარკვეული თვალსაზრისით, ამის უფლება ტიმ ლეინმა თავს გერმანიასთან შეხვედრაში შეიძლება მისცეს. მომდევნო მეტოქეებთან კი ექსპერიმენტების არც დრო გვექნება და არც საშუალება.

ხვალ ერთა თასზე კიდევ ორი შეხვედრაა. ჩვენი ყველაზე რეალური კონკურენტები, რუმინელი მორაგბეები სტუმრად ითამაშებენ ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ. „მუხის ფოთლები“ წლეულს შარშანდელზე ბევრად ძლიერი შემადგენლობით იასპარეზებენ. ნაკრებს დაუბრუნდა გუნდის უდავო ლიდერი, ცხრა ნომერი **პეტრე მიტუ.** ამ მორაგბესთან ჩვენს ნაკრებს უსიამოვნო ტრადიცია აკავშირებს. ბორჯღალოსნებს რუმინელები მიტუსთან ერთად არასოდეს დაუმარცხებიათ.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რუმინელთა ეროვნული გუნდი რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. ესენი არიან პირველხაზელები **პეტრუ ბალანი** და **პეტრიშორ ტოდერაშკი,** მეორეხაზელი და გუნდის კაპიტანი **სორინ სოკოლი,** შუამარბები **გაბრიელ ბრეზოიანუ** და **რომეო გონიტინიაკი,** ფულ ბეკი **იულიან დუმიტრაში.** ესენი გუნდში ამინდს ქმნიდნენ და მათზე ბევრად იყო დამოკიდებული მუხის ფოთლების წარმატებული თამაში.

ტურის მესამე შეხვედრაში პორტუგალიის ნაკრები ლისაბონში რუსეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. სავარაუდოდ, ერთა თასზე მესამე ადგილის მფლობელის ვინაობა სწორედ ამ გუნდებს შორის უნდა გაირკვეს. პორტუგალიელები თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებენ, ისევე როგორც რუსები, რომლებსაც ტრავმის გამო მესამეხაზელი **ვიაჩესლავ გრაჩოვი** დააკლდებათ. ის თამაშს დაახლოებით ცხრა თვის განმავლობაში ვერ შეძლებს.

**ევროპის ერთა თასი**

**7 თებერვალი**

**ესპანეთი-რუმინეთი**
**პორტუგალია-რუსეთი**
**გერმანია-საქართველო**

საქართველოს ნაკრები გერმანიის წინააღმდეგ:

**15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. ირაკლი გიორგაძე, 11. ირაკლი ჩხიკვაძე, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე**

**1. გოდერძი შველიძე, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ილია ზედგინიძე, 5. კახაბერ უჩავა, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. რატი ურუშაძე, 8. მამუკა გორგოძე.**

**16. აქვსენტი გიორგაძე, 17. დავით ხინჩაგიშვილი, 18. დიმიტრი ბასილაია, 19. გია ლაბაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. თედო ზიბზიბაძე, 22. ოთარ ბარკალაია.**

ბესიკ **ჯანგავაძე**

გაყინულ ჩანჩქერზე ცოცვა




# ატენის ხეობა გაყინულ ჩანჩქერზე ცოცვის პირველ ფესტივალს უმასპინძლებს

კვირას, 8 თებერვალს, გორიდან 20 კილომეტრის დაშორებით, ატენის ხეობაში, სოფელ ბიისის მიდამოებში გაყინულ ჩანჩქერზე ცოცვის პირველი ფესტივალი გაიმართება, რომელიც შეაჯამებს საქართველოს პირველობას მთამსვლელურ ორჭიდში. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, ქუთაისის, ლენტეხის, მესტიის, გორისა და ყაზბეგის საუკეთესო მთამსვლელები.

გაყინული ჩანჩქერის დალაშქვრის შესაძლებლობას ფესტივალის ორგანიზატორები მოყვარულებსაც მისცემენ. შეჯიბრება საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციისა და “მაგთის” ერთობლივი პროექტის ფარგლებში ტარდება. ფედერაციას გვერდში გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ტურისტული ცენტრი „ტონთიო“ უდგას. ფესტივალის მთავარი მსაჯია სახელგანთქმული მთამსვლელი **ბიძინა გუჯაბიძე.**

ფესტივალი კვირას, 11:00 საათზე დაიწყება. დასწრების მსურველთათვის და ასევე პრესის წარმომადგენლებისათვის 8 თებერვალს ხეობის მიმართულებით საგანგებოდ გამოყოფილი ავტობუსი ვერის ბაღიდან, ჭადრაკის სასახლის პირველ სართულზე განლაგებულ საქართველოს ალპური კლუბიდან დილის 08:00 საათზე გავა.

ფესტივალთან დაკავშირებით, 6 თებერვალს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართა ფედერაციის პრეზიდენტმა **გივი ქართველიშვილმა,** პრეს-სპიკერმა **ივანე ჯაფარიძემ** და ვეტერანმა მთამსვლელმა **ზაურ ჩართოლანმა.** მედიისათვის კომენტარი ტურნირის მონაწილე ახალგაზრდა მთამსვლელებმაც გააკეთეს.

**გივი ქართველიშვილი:** “ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საომარი მოქმედებების შემდეგ გორისა და მიმდებარე სოფლების ახალგაზრდები აქტიურ სპორტულ ღონისძიებაში მიიღებენ მონაწილეობას. გაყინულ ჩანჩქერზე ცოცვის ფესტივალს ჩვენ პირველად ვატარებთ, შეჯიბრებაზე გამოცდილი მთამსვლელების გარდა, მოყვარულებსაც მივცემთ თავის გამოჩენის შანსს. ასევე დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა გასართობი თამაშები, გავათამაშებთ პრიზებსაც და გამარჯვებულებს დავაჯილდოვებთ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში იწყება სპორტის ახალი სახეობის ჩამოყალიბება - დაკიდებულ ყინულზე შეჯიბრება და, იმედია, ახლო მომავალში იგი მეტად პოპულარული და ხალხმრავალი გახდება.“

გიორგი **ჭანიშვილი**

მძლეოსნობა

# სეზონის საშუალედო ასპარეზობა



დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში საგრძნობლად ცივა, მაგრამ „სპორტის დედოფლის“ წარმომადგენლებს, რომლებსაც აქ ცხარე ორთაბრძოლები გაუმართავთ, სუსხი სრულებით ვერ აშინებთ. თუმცა, უმადურობა იქნება ისიც არ აღინიშნოს, რომ ამ უნიკალურ შენობას, წინა წლებთან შედარებით, მზრუნველის ხელიც დასტყობია - მინები ყველგან ჩაუსვამთ, სისუფთავეა, საშხაპეში ცხელი წყალიც მოდის და, რაც მთავარია, სპორტსმენებს სტარტზე გასვლის წინ მოთელვისთვის ცალკე დარბაზიც აქვთ.

საქართველოს და თბილისის მძლეოსნობის ფედერაციების ინიციატივით მანეჟში დედაქალაქის ტრადიციული ღია პირველობა მიმდინარეობს, რომელშიც მასპინძლებთან ერთად ქუთაისის, ვანის, ჭიათურის, ბორჯომის, ახმეტის, ფოთის, ზუგდიდის, ახალციხისა და თიანეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. შედეგები მაღალი არ არის, სარბიელზე ზოგ სახეობაში თითო-ოროლა სპორტსმენს თუ მოჰკრავ თვალს. ორგანიზატორებს ეს არ უკვირთ, რადგან თბილისის ღია პირველობა სეზონის სასტარტო შეჯიბრებაა, ათლეტები ახლა იწყებენ სპორტულ ფორმაში შესვლას, ზოგმა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით საასპარეზოდ გამოსვლაც ვერ შეძლო.

- მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდება საქართველოს ზამთრის ღია ჩემპიონატისთვის, რომელსაც 26-27 თებერვალს ამავე შენობაში გავმართავთ, - მითხრა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარემ, შეჯიბრების მთავარმა არბიტრმა **მამია ტულუშმა.** – ახლა ტურნირზე 150-მდე ქალ-ვაჟმა მოიყარა თავი. ჩამოსვლა არ დაიზარეს სპორტსმენებმა რეგიონებიდან. თბილისის ჩემპიონატი საშუალედო ასპარეზობაა და ბევრს სურს ძალების გამოცდა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო მანეჟის დირექციას, რომელმაც შენობაში ბევრი რამ მოაწესრიგა, გათბობის აღდგენა კი მის ძალებს აღემატება. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ჩვენი სპორტსმენები, მათი მწვრთნელები და მსაჯები, რომლებმაც, სუსხის მიუხედავად, შეჯიბრებაში მონაწილეობა არ დაიზარეს.

ერთიც მინდა გაუწყოთ: საქართველოს ზამთრის ჩემპიონატის დღეებში არბიტრებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გავმართავთ სემინარებს, სადაც ფიზიკური აღზრდის აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებსა და ოლიმპიური გუნდის მთავარ ექიმს - **ზურაბ კახაბრიშვილს** მოვიწვევთ.

- შეჯიბრებაში ამჯერად მხოლოდ 10 სპორტსმენით ჩამოვედით, - ჩაერია საუბარში ქუთაისის მძლეოსნობის სასპორტო სკოლის დირექტორი **ლომერ ახვლედიანი.** - ეროვნულ ჩემპიონატზე უფრო მრავალრიცხოვანი და უკეთ მომზადებული ათლეტები გვეყოლება, რადგან უკვე საამისო პირობებიც გაგვაჩნია: ქალაქის მერის **ნუგზარ შამუგიას** უშუალო თანადგომით ჩვენს სკოლას გადმოეცა 120 მეტრის სიგრძისა და 11 მეტრის სიგანის მანეჟი, რომლის კეთილმოწყობასაც მალე დავამთავრებთ. რემონტის მიუხედავად, ქუთაისელი სპორტსმენები საქართველოს ჩემპიონატისთვის იქ ემზადებიან და შედეგებიც მალე გამოჩნდება.

ახლა კი გაგაცნობთ გუშინ გამართული ორთაბრძოლების შედეგებს:

ქალები. 60 მ. 1. **სალომე აბშილავა (თბილისი), 2. ლიკა ლოლუა (ფოთი), 3. მაია ბონდარენკო (თბილისი).** 60 მ. თარჯრბენი. 1. **მაია გოგოლაძე (თბილისი), 2. თეა ფაცურია (ფოთი).** 400 მ. **1. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი), 2. სოფიო ჩაჩანიძე (თბილისი), 3. ნინო გველესიანი (ჭიათურა).** ბირთვი. 1. **სალომე რიგიშვილი (თიანეთი).**

ვაჟები. 60 მ. 1. **გიორგი ღლონტი, 2. სულიკო ბილისეიშვილი, 3. ანდრო გაბუნია (სამივე - თბილისი),** 400 მ. 1. **ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე), 2. დავით მორჩიაშვილი, 3. ნუგზარ ჟორჟოლიანი (ორივე - ქუთაისი),** 1500 მ. 1. **ჯეირან ხოფერია (ფოთი), 2. ირაკლი ჩუბინაშვილი (თბილისი), 3. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე).** ბირთვი: **1. ბენიკ აბრამიანი, 2. გიორგი ბედოშვილი (ორივე - თბილისი), 3. როსტომ ჭინჭარაული (დუშეთი).** სამხტომი. **1. ვახტაგ ჯინჭველაშვილი (ქუთაისი), 2. ლაშა ლულელაური (ახმეტა), 3. ოთარ ხაჭაპურიძე (თბილისი).**

ჩემპიონატი მანეჟში დღეს 11 საათზე განახლდება.

ვაჟა **დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჭადრაკი

# მოსკოვის ღიაში ნაზი თავს კარგად გრძნობს

ერთი კვირაა, რაც მოსკოვში უდიდესი საჭადრაკო ფესტივალი დაიწყო. ტურნირი ძალიან მიმზიდველია ახალგაზრდა და ნიჭიერი მოჭადრაკეებისთვის და არც გამობრძმედილი ოსტატები ამბობენ უარს თამაშზე. შედეგად უამრავი მონაწილე იყრის თავს რუსეთის დედაქალაქში. „დამნაშავე“ კი ამ ყველაფერში ტურნირის სოლიდური საპრიზო ფონდია, რომელიც ყოველწლიურად იცვლება და, რაც მთავარია, - იმატებს: წლეულს საპრიზო ფონდმა შვიდ მილიონ რუბლს მიატანა, რაც დღევანდელი კურსით დაახლოებით 180 ათასი ამერიკული დოლარის ტოლია. გაიზარდა ტურნირთა რაოდენობაც: აქამდე სამ ძირითად ტურნირში ცდიდნენ თავს მონაწილენი - a, b და c ტურნირებში. ამჯერად კი შვიდი დაყოფაა: a, b და c - ტრადიციულად დატოვეს, სადაც რეიტინგებისა და შესაბამისად - სიძლიერის მიხედვით არიან განაწილებულები მოჭადრაკეები; მომდევნო ტურნირები კი ასეთი პრინციპითაა დაყოფილი: d - მოსკოვის სკოლის ჩემპიონთა, e - სკოლების ნაკრებ გუნდთა, f - უმაღლესი სასწავლებლების ნაკრებ გუნდთა და g - მსოფლიოს თასის გათამაშება საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში. მთავარ ტურნირში გამარჯვებული 500 ათას რუბლს მიიღებს. g ჯგუფში გამარჯვებული 150 ათასს, c ტურნირში პირველობისთვის 150 ათასია, შემდეგ შესაბამისად: 100, 70, 50, 40, 30, 20 და მე - 8 -16 ადგილების ჩათვლით 10-10 ათასი რუბლი. c ტურნირის საპრიზო ფონდი ბოლომდე იმიტომ ჩამოვწერეთ, რომ აქ ქართველთა იმედი **ნაზი პაიკიძე** თამაშობს, თანაც ყველა მონაწილე მანდილოსანია. სამწუხაროდ, რუსეთ-საქართველოს შორის არაკეთილმეზობლური პოლიტიკური ვითარების გამო ქართველი მოჭადრაკეები არ ჩავიდნენ წლევანდელ ტურნირზე, არადა, ძალიან სასარგებლო იქნებოდა მონაწილეობა. პაიკიძეს კი , მოგეხსენებათ, მოსკოვში თამაშის პრობლემა არა აქვს, რადგანაც ორი წელიწადია იქ ცხოვრობს. ნაზიმ ორი კვირის წინათ დასრულებულ საქართველოს ქალთა ჩემპიონატში მშვენიერი შედეგი აჩვენა და რომ არა ბოლო ორ ტურში მარცხი, ჩემპიონობასაც კი გამოკრავდა ხელს. ასეთი შედეგი კი 5 წლის გოგონასათვის უდიდესი მიღწევა იქნებოდა. პაიკიძეს არც მოსკოვში, ძალიან ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილი უჭირს, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ უკვე დამარცხდა, სანაცვლოდ ხუთჯერ დადებითი შედეგი მოიმკო, რამაც 4 ქულის მოგროვების საშუალება მისცა. მკითხველმა რომ ზუსტად შეიგრძნოს, რა სიძლიერის ტურნირში თამაშობს ქართველი გოგონა, გეტყვით, რომ პირველ ნომრად სლოვენიის სახელით მოასპარეზე **ანა მუზიჩუკია,** რომელსაც ბევრი მამაკაცისთვის სანატრელი რეიტინგი აქვს - 2540. აქვეა ევროპის 2000 წლის ჩემპიონი უკრაინელი **ნატალია ჟუკოვა** (2490), უკრაინელი **ნატალია პოგონინა** (2467), გერმანელი **ელიზაბეტ პეჰცი** (2455), ჩინელი **იანგ შენი** (2448), რუსები: **ეკატერინა კოვალევსკაია** (2442), **სვეტლანა მატვეევა** (2422) და სხვები. იმედია, რომ პაიკიძე წარმატებით გააგრძელებს თამაშს და მაღალ ადგილსაც შეწვდება. ორგანიზატორებმა წამახალისებელი პრიზებიც უხვად დააწესეს. ერთერთი 15-დან 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის სამი საუკეთესო შედეგის მოჭადრაკის დაჯილდოებაა 15, 10 და 5 ათასი რუბლით. თუკი ნაზი ძირითად ტურნირში ვერ შეწვდება საპრიზო თანხას, თითქმის დარწმუნებული ვართ, რომ ასაკობრივ პრიზს მაინც მიიღებს.

მე-7 ტურში ქართველი მოჭადრაკე თეთრებით ხვდება **მარია მუზიჩუკს,** ანას დას, იგი ნაზიზე ერთი წლით უმცროსია, მაგრამ ძალიან ძლიერ მოჭადრაკედ ითვლება, ქალთა შორის დიდოსტატია და 2427 რეიტინგი აქვს. პაიკიძის რეიტინგი 2280-ია და, როგორც იცით, ის ჯერ კიდევ მხოლოდ ფიდეს ოსტატის წოდებას ატარებს; თუმცა საქართველოს ჩემპიონატში დიდოსტატის ნორმატივი შეასრულა და არ არის შორს ის დრო, როცა ნაზი მსოფლიოს საუკეთესო ქალ მოჭადრაკეებს გვერდში ამოუდგება. მარიასთან დაპირისპირებაში ჩვენებური ნამდვილად არ ითვლება აუტსაიდერად. ვნახოთ, გამართლდება თუ არა ოპტიმიზმი.

ქალთა, ანუ c ტურნირს ორი ლიდერი ჰყავს: **ვარვარა რეპინა** და **ნატალია პოგონინა,** - ორივეს 5,5-5,5 ქულა აქვთ. ამათ 5 ქულით შვიდი მონაწილე უდგას კვალში. სულ კი 9 ტური აქვთ სათამაშო c ტურნირში მონაწილეებს. დროის კონტროლი ფიდესეულია: 90 წუთი მთელ პარტიაზე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით, გათამაშების ფორმატი კი - შვეიცარიულია.

ზვიად **შათირიშვილი**

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ფილადელფია–ინდიანა 99:94**

29:22, 25:34, 25:13, 20:25

ფ: უ. გრინი (23), იგუოდალა (20+8 მოხსნა+11 პასი+4 ჩაჭრა), დალემბერი (18+20 მოხსნა), ტ. იანგი (14+7 მოხსნა+5 ჩაჭრა), ა. მილერი (13+12 პასი).

ი: დანლივი (21+3 ჩაჭრა), გრეინჯერი (18+3 დაფარება), ჯეკი (18), მერფი (15+14 მოხსნა).

**ბოსტონი–ლეიკერსი 109:110 (ო)**

20:23, 32:28, 29:26, 20:24, 8:9

ბ: რ. ალენი (22), პირსი (21+8 მოხსნა), პაუსი (16), რონდო (16+8 მოხსნა+12 პასი), გარნეტი (16+3 დაფარება), პოუ (10+8 მოხსნა), პერკინსი (4+9 მოხსნა+4 დაფარება).

ლ: ბრაიანტი (26+10 მოხსნა), პ. გასოლი (24+14 მოხსნა), ოდომი (20), ფიშერი (13+3 ჩაჭრა).

**იუტა–დალასი 115:87**

24:20, 33:27, 37:19, 21:21

ი: დ. უილიამსი (34+12 პასი), კორვერი (20+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), რ. ბრიუერი (17+8 მოხსნა), ოქური (16+13 მოხსნა), მილსეპი (14+10 მოხსნა).

დ: ჯ. ჰოვარდი (18+3 ჩაჭრა), ნოვიცკი (14), ტერი (13+3 ჩაჭრა), კიდი (7+8 პასი).

### ბრენდმა სეზონი დაასრულა

საბოლოოდ გაირკვა "ფილადელფია სიქსერზის" წამყვანი ფორვარდის ელტონ ბრენდის ბედი. ექიმებმა დაადგინეს, რომ კალათბურთელს მხრის ოპერაცია სჭირდება და შესაბამისად, "სიქსერზის" ლიდერისთვის სეზონი დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ბრენდმა ტრავმა 17 დეკემბერს, "მილუოკი ბაქსთან" მატჩში მიიღო და მას შემდეგ. მხოლოდ ხუთ შეხვედრაში გამოჩნდა მოედანზე. ელტონი ოპერაციას ორშაბათს გაიკეთებს.

წლევანდელ სეზონში ბრენდმა სულ 29 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 13.8 ქულა და 8.8 მოხსნა დააგროვა.

### ფინიქსი ამარეს გაცვლაზე ფიქრობს

როგორც Yahoo! Sports იტყობინება, "ფინიქს სანზის" ხელმძღვანელობა თავისი ერთ-ერთი ლიდერის **ამარე სტაუდმაიერის** ტრეიდის შესაძლებლობებს განიხილავს.

კლუბის წარმომადგენლის თქმით, "სანზის" გენერალური მენეჯერი **სტივ კერი** მზად არის სტაუდმაიერი რომელიმე კლუბს გაუცვალოს. ფინიქსელები სხვა კალათბურთელებსაც შეელევიან. გუნდში ერთადერთი ხელშეუხებელი მოთამაშე გამთამაშებელი **სტივ ნეში** გახლავთ.

ამარეს სანაცვლოდ "ფინიქსს" რამდენიმე ისეთი კალათბურთელის დამატება სურთ, რომლებსაც თავიანთ კლუბებთან კონტრაქტები უმთავრდებათ, აგრეთვე ერთი ახალგაზრდა ნიჭიერი მოთამაშის მიღებაც უნდათ, სასურველია ფორვარდის.

### ნელსონს რეი ალენი შეცვლის

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ "ორლანდო მეჯიქის" გამთამაშებელმა **ჯამირ ნელსონმა** ტრავმა მიიღო და "ყველა ვარსკვლავის მატჩში" მონაწილეობას ვერ მიიღებს. ნელსონს აღმოსავლეთი კონფერენციის ნაკრებში "ბოსტონ სელტიქსის" შემტევი მცველი **რეი ალენი** შეცვლის.

ვეტერანი მცველი "ყველა ვარსკლავის მატჩში" მეცხრედ ითამაშებს. შარშანაც ალენი "ოლ სტარზე" ერთ-ერთი ტრავმირებული მოთამაშის ნაცვლად მოხვდა და 28 ქულა დააგროვა.

## ევროლიგა. TOP 16. II ტური




**E ჯგუფი**

**ოლიმპიაკოსი–ტაუგრესი 73:70**

18:26, 18:18, 20:14, 17:12

ო: ლ. გრირი (21), ბურუსისი (15+10 მოხსნა), გალპერინი (10).

ტ: რაკოჩევიჩი (23), ტელეტოვიჩი (14+4 ჩაჭრა), მიკელი (11+7 მოხსნა).

**პროკომი–მილანი 60:62**

18:25, 17:13, 9:15, 16:9

პ: ლოგანი (16), ბარელი (11+3 დაფარება), ბურკი (10+8 მოხსნა).

მ: პრაისი (19), ჰოუკისნსი (16+4 ჩაჭრა).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. მილანი | 2/0 | 4 |
| 2. ტაუგრესი | 1/1 | 19 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 1/1 | 1 |
| 4. პროკომი | 0/2 | -24 |

**F ჯგუფი**

**ალბა–რეალი 84:87**

24:20, 28:17, 19:28, 13:22

ა: ჯენკინსი (21), ნაჯფუჯი (16), პაბი (12), მაკელროი (11), რ. რაიტი (10).

რ: ბალოკი (19), ოეიესი (18+11 მოხსნა), მუმბრუ (12), იული (11).

**ბარსელონა–მაკაბი 85:65**

20:16, 19:17, 22:14, 24:18

ბ: დ. ანდერსენი (17+3 დაფარება), ბაზილე (16), ნავარო (12), ილიასოვა (11+7 მოხსნა), ფ. ვასკესი (10+10 მოხსნა+3 დაფარება).

მ: ფიშკერი (17+11 მოხსნა+3 დაფარება), კასპი (11).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. რეალი | 2/0 | 5 |
| 2. ბარსელონა | 1/1 | 18 |
| 3. მაკაბი | 1/1 | 11 |
| 4. ალბა | 0/2 | -34 |

**G ჯგუფი**

**უნიკახა–პანათინაიკოსი 69:81**

19:15, 26:29, 16:17, 8:20

უ: ჰაისლიპი (14), ბ. როდრიგესი (12), კუკი (11+5 პასი), კელატი (10).

პ: ნიკოლასი (19), იასიკიავიჩუსი (18), პეკოვიჩი (15+7 მოხსნა), დიამანტიდისი (10).

**პარტიზანი–რომა 84:76**

27:16, 23:26, 18:15, 16:19

პ: ტრიპკოვიჩი (20),ველიჩკოვიჩი (19+10 მოხსნა), ლასმე (13).

რ: ბრეჟეცი (19), ბეჩიროვიჩი (17), ჰათსონი (13), ჯააბერი (11+5 პასი).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 2/0 | 30 |
| 2. უნიკახა | 1/1 | 1 |
| 3. პარტიზანი | 1/1 | -10 |
| 4. რომა | 0/2 | -21 |

**H ჯგუფი**

**ცსკა–ციბონა 87:61**

21:13, 21:17, 23:19, 22:12

ცსკა: ლენგდონი (18), შიშკაუსკასი (14), ცისისი (14).

ციბონა: ა. ანდერსონი (15), პრკაჩინი (10).

**მონტეპასკი–ფენერბაჩე 87:79**

25:13, 26:21, 18:17, 18:28

მ: მაკინტაირი (24+6 პასი), ეზე (16+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), კაუკენასი (16+3 ჩაჭრა), სატო (12).

ფ: თურქჩანი (25+7 მოხსნა), გირიჩეკი (12+5 ჩაჭრა).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 2/0 | 44 |
| 2. მონტეპასკი | 1/1 | 1 |
| 3. ციბონა | 1/1 | -19 |
| 4. ფენერბაჩე | 0/2 | -26 |

**ტურის მოთამაშე**

ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის საუკეთესო მოთამაშე სერბეთის "პარტიზანის" მძიმე ფორვარდი **ნოვიცა ველიჩკოვიჩი** გახდა. "რომასთან" შეხვედრაში ბელგრადის გუნდმა 84:76 გაიმარჯვა. ველიჩკოვიჩმა 19 ქულა, 10 მოხსნა, 3 შედეგიანი პასი და 2 დაფარება დააგროვა. ამან 22 წლის კალათბურთელს 29 ჩასათვლელი ქულა მოუტანა.

## სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# საბედისწერო შეცდომა



დრამატულად განვითარდა მოვლენები საფრანგეთის ვალ დ'იზერში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც ქალებმა მედლების მეორე კომპლექტი გაითამაშეს.

გუშინ სუპერკომბინაციაში გამოვლინდა გამარჯვებული. ეს არის დისციპლინა, სადაც ორი სრულიად განსხვავებული სახეობის - ყველაზე სწრაფი სწრაფდაშვებისა და ყველაზე ნელი სლალომის შედეგები ჯამდება და გამარჯვებულიც ამის მიხედვით ირკვევა. შესაბამისად, აქ პირველობისთვის უნივერსალური თვისებებით დაჯილდოებული მოთხილამურეები იბრძვიან. მათ შორის ფავორიტად ამერიკელი **ლინდსი ვონი** ითვლებოდა. ეს შესანიშნავი მოთხილამურე სწრაფდაშვების აღიარებული სპეციალისტია, სლალომში კი ამ სეზონამდე ვერ ბრწყინავდა, მაგრამ წელს ამ დისციპლინაში უკვე ორი ეტაპის მოგება შეძლო და მისი ფავორიტობაც სწორედ აქედან გამომდინარეობდა. გარდა ამისა, ვალ დ'იზერში ამერიკელს უკვე მოპოვებული ჰქონდა ერთი ოქრო (სუპერგიგანტში), ამასთან, მსოფლიოს თასის წინა სამი ეტაპიც მოიგო და შესაბამისად, ზედიზედ ოთხი დაშვების გამარჯვებული გახლდათ.

ვონს ღირსეული კონკურენტები ჰყავდა - სლალომის ოსტატი ავსტრიელი **კატრინ ცეტელი** და მსოფლიოს თასის წლევანდელ გათამაშებაში მისი უახლოესი მდევარი, გერმანელი **მარია რიში.**

სუპერკომბინაცია სწრაფდაშვებით დაიწყო. ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა ვონმა იოლ გამარჯვებას მიაღწია და რაც მთავარია, კონკურენტები გვარიანად ჩამოიტოვა უკან. მაგალითად, სლალომის წინ, ამერიკელი კატრინ ცეტელს 1.48 წამს უგებდა, იქვე იყო რიშიც, მაგრამ სლალომში ამ სპორტსმენების ოსტატობის გათვალისწინებით, ვონისთვის წინასწარ გამარჯვების მილოცვას არავინ აპირებდა.

სწრაფდაშვებაში მეორე ადგილი შვეიცარიელმა თინეიჯერმა **ლარა გუტმა** დაიკავა. მან მხოლოდ 14 მეასედი წამი წააგო ვონთან, მაგრამ მეორე დისციპლინაში 17 წლის გუტისგან წარმატებას არ ელოდნენ, რადგან აქამდე შვეიცარიელი არასოდეს გამოსულა დიდი ტურნირის სლალომის სტარტზე.

სლალომში ფავორიტთაგან პირველი ტრასაზე გასვლა რიშს უწევდა. ამ მოთხილამურემ წლევანდელი სეზონის სტარტზე სლალომის ზედიზედ ოთხი ეტაპი მოიგო, შესაბამისად, მის მაღალ კლასში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ მოულოდნელად, დისტანციის დასაწყისში გერმანელმა ერთ-ერთი ვირაჟის გავლისას უხეში შეცდომა დაუშვა, ბევრი დრო დახარჯა და მედლისთვის ბრძოლას გამოეთიშა. შესაძლოა, რიშის გამოსვლაზე ტრავმამ იმოქმედა. როგორც იცით, მარიამ წინა დღეს, სწრაფდაშვებაში ვარჯიშისას ზურგი დაიზიანა და სუპერკომბინაციაში გამოსვლა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა.

რიშის შემდეგ ცეტელის ჯერი დადგა. ავსტრიელმა ტრასა უნაკლოდ გაიარა და ისეთი დრო აჩვენა, რომ აშკარად ჩანდა - კატრინი ერთ-ერთი სინჯის მედალს აუცილებლად მოიპოვებდა.

მართლაც, ცეტელმა ვონის გამოსვლამდე შეინარჩუნა ლიდერობა და მისი ბედი ბოლო ნომრად მოასპარეზე ამერიკელის ხელში იყო. ლინდსიმ დაშვება დაიწყო და ზუსტად იქ წაიბორძიკა, სადაც ცოტა ხნით ადრე რიშმა დაუშვა შეცდომა. ცეტელთან ვონის წამნახევრიანი უპირატესობა ნულზე დავიდა და ფინიშზე ლინდსიმ მეორე შედეგი დააფიქსირა, მაგრამ ამერიკელი ვერც ვერცხლის მედალს ელირსა. მსაჯებმა შენელებული კადრით იხილეს ვონის შეცდომა და დაასკვნეს, რომ ამერიკელმა ერთი კარი ვერ გაიარა და ამის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო.

არანაკლებ ბრწყინვალედ იასპარეზა ლარა გუტმა. ვონის დისკვალიფიკაციის წყალობით მან ვერცხლის მედალი მოიპოვა. სამეულში შეაღწია ცნობილმა ავსტრიელმა **ელიზაბეტ გიორგლმა.** სხვათა შორის, ამ გამოცდილმა სპორტსმენმა მსოფლიოს ჩემპიონატებზე პირველი მედალი მოიპოვა. გიორგლი წარსულში ცნობილი მოთხილამურის, 1960 და 1964 წლების ოლიმპიადების ბრინჯაოს პრიზიორ **ტრაუდლ ჰეხერის** ქალიშვილი გახლავთ.

ცეტელი კი სუპერკომბინაციაში მსოფლიოს ახალი ჩემპიონი გახდა. მან სწრაფდაშვებაში მეხუთე შედეგი აჩვენა, სლალომში - მესამე და ამის მიუხედავად, ჯამში საჩემპიონო დრო აჩვენა.

*"ჩემთვის ეს ოქროს მედალი დიდი სიუპრიზი აღმოჩნდა, რადგან ლინდსის სწრაფდაშვების შედეგ დიდი უპირატესობა ჰქონდა. მას რომ არ გაერისკა, აუცილებლად პირველ ადგილს დაიკავებდა"*, - განაცხადა ცეტელმა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სუპერკომბინაციაში წინა ჩემპიონატის გამარჯვებულის **ანია პერსონის** მორიგი ჩავარდნა. შვედი მოთხილამურე ძალიან ცუდ ფორმაში შეხვდა ვალ დ'იზერის მსოფლიოს ჩემპიონატს. მან სწრაფდაშვებაში ერთ-ერთი კარი ვერ გაიარა და დისკვალიფიკაცია მიიღო. ანალოგიური შეცდომა მან ორი დღის წინ, სუპერგიგანტში დაუშვა.

**სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება+სლალომი)**

| ქალები | |
|---|---|
| 1. კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 2:20.13 (1:31.97+48.16) |
| 2. ლარა გუტი (შვეიც) | 2:20.69 (1:30.63+50.06) |
| 3. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 2:21.01 (1:31.03+49.98) |
| 4. მარია რიში (გერ) | 2:21.67 (1:31.92+49.75) |
| 5. მარი მარშან-არვიე (საფ) | 2:22.62 (1:32.15+50.47) |
| 6. იოჰანა შნარფი (იტა) | 2:22.68 (1:34.01+48.67) |

## ფორმულა 1

# ოფიციალურად: ტორო როსომ ბურდე დაიტოვა

გუშინ, "ტორო როსომ" ოფიციალურად დაადასტურა, რომ 2009 წლის სეზონში გუნდის მეორე ძირითადი პილოტი ფრანგი **სებასტიან ბურდე** იქნება.

შარშანდელი სეზონის დასრულების შემდეგ ისე ჩანდა, რომ ფორმულა 1-ში ბურდეს კარიერა შეწყდებოდა, რადგან დღევანდელ სიტუაციაში, "ტორო როსოსთვის" აუცილებელი იყო გუნდში ისეთი პილოტის მიწვევა, რომელსაც სპონსორის მხარდაჭერა ექნებოდა. მიუხედავად ამისა, საჯინიბოს ხელმძღვანელობამ ფრანგს კონტრაქტი გაუგრძელა და უკვე მომავალ კვირას, სებასტიანი ხერესის ტრასაზე შეუდგება მუშაობას.

*"ზამთარი ძალიან გრძელი და რთული გამოდგა, მაგრამ ახლა მოლოდინი უკან დარჩა. მოხარული ვარ, მეორე სეზონსაც "ტორო როსოში" გავატარებ. მადლობა მინდა გადავუხადო "რედ ბულსა" და მის მფლობელ დიტრიხ მატეშიცს იმისთვის, რომ იმ გუნდში მუშაობის საშუალება მომცა, რომელმაც გასულ სეზონში არნახულ პროგრესს მიაღწია.*

*ახლა შემიძლია მთელი ყურადღება ახალი სეზონისთვის მზადებას დავუთმო. წინ ძალიან საინტერესო ჩემპიონატი გველის, რადგან წესებში ბევრი ცვლილებაა შეტანილი. იმედი მაქვს, ახალ პარტნიორთან - სებასტიან ბუემისთან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდება და ორივე ეფექტურად ვიმუშავებთ გუნდის საკეთილდღეოდ"*, - განაცხადა სებასტიან ბურდემ.

"ტორო როსოს" პრესრელიზში მოყვანილია გუნდის შეფის **ფრანც ტოსტის** სიტყვები: *"სებასტიანმა "ტორო როსოში" ერთი წელი გაატარა და დიდი გამოცდილება შეიძინა, რაც მომავალ სეზონში ეფექტურად უნდა გამოიყენოს. ის უკვე კარგად იცნობს ფორმულა 1-ის ატმოსფეროს, თავის გუნდს, ტრასებს... თანაც ახალი ტიპის საბურავები მის პილოტირების სტილს კარგად ერგება"*.

ასე რომ, ბურდემ საბოლოოდ დააკომპლექტა 2009 წლის ჩემპიონატის მონაწილეთა სია. გაურკვეველი რჩება მხოლოდ ერთი საკითხი - შეძლებს თუ არა "ჰონდა" ახალი მეპატრონის მონახვას და წლევანდელ პირველობაზე გამოსვლას? მანამდე კი წლევანდელ სეზონში მონაწილეთა სია ასე გამოიყურება:

**მაკლარენი**
1. ლუის ჰემილტონი
2. ჰეიკი კოვალაინენი

**ფერარი**
3. კიმი რაიკონენი
4. ფელიპე მასა

**BMW–ზაუბერი**
5. რობერტ კუბიცა
6. ნიკ ჰაიდფელდი

**რენო**
7. ფერნანდო ალონსო
8. ნელსინიო პიკე

**ტოიოტა**
9. იარნო ტრული
10. ტიმო გლოკი

**ტორო როსო**
11. სებასტიან ბუემი
12. სებასტიან ბურდე

**რედ ბული**
14. მარკ უებერი
15. სებასტიან ფეტელი

**უილიამსი**
16. ნიკო როსბერგი
17. კაზუკი ნაკაჯიმა

**ფორს ინდია**
20. ადრიან სუტილი
21. ჯანკარლო ფიზიკელა

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი



# ტრაგედია კატარის ტურზე

უბედური შემთხვევით დასრულდა ექვსდღიანი "კატარის ტური". ორი დღის წინ 21 წლის ბელგიელი **ფრედერიკ ნოლფი** სასტუმროს ნომერში გარდაცვლილი იპოვეს. ნოლფის გუნდმა - Topsport Vlaanderen Mercator-მა რბოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა და სასწრაფოდ ბელგიაში დაბრუნდა.

ჯერჯერობით უცნობია ველომრბოლის სიკვდილის მიზეზი. გუნდის მენეჯერის **კრისტოფ სერკიუს** სიტყვებით, ნოლფს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები არ აწუხებდა. სერკიუმ დაამატა, რომ გუნდის ყველა წევრი ყოველ ოთხ თვეში ერთხელ მოწმდება დოპინგზე და გარდაცვლილი ველომრბოლი ყოველთვის წარმატებით აბარებდა ტესტებს.

*"შოკირებული ვართ ნოლფის სიკვდილით. ფრედერიკი ღამით ძილში გარდაიცვალა. ეს მის მეორე პროფესიულ სეზონში პირველი რბოლა იყო, რომელიც ასეთი სავალალო შედეგით დასრულდა"*, - ამბობს სერკიუ.

უკანასკნელი პროფესიონალი ველომრბოლი, ვინც რბოლის მსვლელობისას გარდაიცვალა, ფრანგი **ფაბრის სალანკონი** იყო. 23 წლის სპორტსმენი 2003 წელს, "გერმანიის ტურის" დროს დაიღუპა.

ხელბურთი

# ფედერაციაში ომი დაიწყო

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი **პეტერ მიულემატერი** თავისი შეფის, ეგვიპტელი **ჰასან მუსთაფას** წინააღმდეგ გამოდის, რომელიც ამ ორგანიზაციას უკვე რვა წელია ხელმძღვანელობს.

შვეიცარიელმა მიულემატერმა პრეზიდენტის კორუფციული საქმეების შესახებ კომპრომატები შეაგროვა და ზაგრებში საგანგებო სხდომა შეკრიბა, სადაც კოლეგები საქმის კურსში ჩააყენა.

გენერალურმა მენეჯერმა სხდომაზე შეკრებილებს აცნობა, რომ მას ხელში ჩაუვარდა ფედერაციის იმ თანამშრომელთა ჩანაწერები, რომლებსაც პრეზიდენტი ანგარიშსწორებით ემუქრებოდა. მაგრამ მიულემატერის მთავარი იარაღი აღმოჩნდა საეჭვო დანახარჯები, რომლებიც გაურკვეველ მიზნებს ხმარდებოდა.

როგორც გენერალურ მენეჯერს მიაჩნია, ჰასან მუსთაფა დიდ თანხებს იხდიდა იმის სანაცვლოდ, რომ მისთვის არასასურველ ქვეყნებს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის საკუთარი კანდიდატურები მოეხსნათ.

ამ სერიოზული ბრალდებებისა და მოყვანილი მტკიცებულებების მიუხედავად, ფედერაციის საბჭოს წევრებმა პრეზიდენტის მხარე დაიჭირეს, გენერალურ მდივანს კი უკან დახევა მოსთხოვეს. მაგრამ ამბოხებულმა შვეიცარიელმა განაცხადა, რომ არ გადადგება და ბრძოლას ბოლომდე გააგრძელებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი–ლოს ანჯელესი 4:5**

1:1, 1:3, 2:1

**გოლები:** 1:0 სიომინი-20 (ლეიჩი-18), 1:1 კოპიტარი-13 (სტოლი-16, დ. ბრაუნი-19), 1:2 კოპიტარი-14 (ფროლოვი-14, ო'დონელი-9), 1:3 ჰანძუში-10 (ფროლოვი-15), 2:3 მ. გრინი-17 (ბექსტრიომი-41, ტეოდორი-3), 2:4 ო'სალივანი-12 (კოპიტარი-27, ქუინსი-25), 3:4 ოვეჩკინი-37, 3:5 კალდერი-7 (დ. ბრაუნი-20, სტოლი-17), 4:5 ლეიჩი-13 (მ. გრინი-27, ბექსტრიომი-42).

**ოტავა–ბოსტონი 3:4 (ბ)**

0:1, 1:1, 2:1, 0:0,

**გოლები:** 0:1 უელერი-15 (ფერენსი-10, კესელი-20), 0:2 ხარა-12 (რაიდერი-17, კრეისი-37), 1:2 ფოლინო-7 (ბელი-3), 2:2 ალფრედსონი-15 (ჰიტლი-24), 3:2 სპეცა-19 (ფოლინო-8, ალფრედსონი-31), 3:3 კობესიუ-10 (უელერი-18, ხარა-20).

**ბულიტები გაიტანეს:** აქსელსონი (ბოსტონი).

**ფლორიდა–აილენდერსი 3:2**

2:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ბოუმისტერი-12 (ბუტი-14, ზედნიკი-11), 2:0 სკრასტინსი-4 (მაკეიბი-13, უეისი-27), 2:1 ბეი-2 (კამპოლი-11, ნილსენი-13), 3:1 ზედნიკი-8 (მაკეიბი-14, ჰორტონი-18), 3:2 ჰანტერი-14 (ბეი-13).

**ნეშვილი–ანაჰაიმი 4:2**

1:1, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 რ. ჯონსი-5 (დე ვრისი-4, ლეგვანდი-15), 1:1 პერი-18 (კუნიტცი-18, გეტცლაფი-44), 2:1 არნოტი-18 (ჰამჰუისი-14, სალივანი-3), 3:1 ერატი-14 (პილსტრიომი-3, არნოტი-15), 3:2 პერი-19 (სელიანე-16, მონტადორი-13), 4:2 ფიდლერი-8 (სმიტსონი-5, ჰამჰუისი-15).

**სენტ ლუისი–ედმონტონი 1:2 (ბ)**

0:0, 0:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 სურეი-13 (რ. ნილსონი-11, ბროძიაკი-6), 1:1 მაკლემანი-8 (ჰინოტი-2, უივერი-5).

**ბულიტები გაიტანეს:** ნილსონი (ედმონტონი), სემ განიე (ედმონტონი).

**კოლორადო–დალასი 3:2**

0:1, 1:0, 2:1

**გოლები:** 0:1 ოტი-9 (ნისკანენი-15, ლეჰტინენი-10), 1:1 ჰეიდუკი-20 (რ. სმიტი-25, ჰენანი-3), 2:1 სვატოსი-12 (ვოლსკი-19, ჰეიდუკი-20), 2:2 ლ. ერიქსონი-25 (პეტერსენი-7, ნისკანენი-16), 3:2 მაკლეოდი-12 (არნასონი-14).

**კალგარი–ჩიკაგო 2:5**

2:2, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 ბოლანდი-11 (ჰავლატი-25, ლედი-22), 1:1 ბერტუცი-13 (იგინლა-38, რეგერი-6), 1:2 ლედი-9 (ბოლანდი-21), 2:2 ფანოფი-6, 2:3 ბარიში-4 (უოკერი-5, ლედი-23), 2:4 ფრეზერი-4 (უოკერი-6), 2:5 ბროუერი-7 (უოკერი-7).

**სან ხოსე–კაროლინა 3:4 (ბ)**

1:0, 2:2, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ქლოუ-20 (მ. მიხალეკი-19, პაველსკი-23), 2:0 სემიონოვი-1 (მ. მიხალეკი-20, პაველსკი-24), 2:1 კულენი-13 (ბულიტი), 3:1 ვლასიჩი-4 (ქლოუ-23, მ. მიხალეკი-21), 3:2 სამსონოვი-10 (პეტრუჟალეკი-1), 3:3 რეი უიტნი-17 (კულენი-11).

**ბულიტები გაიტანეს:** ტ. რუუტუ (კაროლინა), მ. მიხალეკი (სან ხოსე), სამსონოვი (კაროლინა).

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ჰამ კამი-ვიკინგი | 1:1 |
| ლოზანა-შო დე ფონი | 3:3 |
| კოშიცე-რიდი | 0:0 |
| კალმარი-კრილია | 1:3 |
| რაპიდი-სტ. გალენი | 4:3 |
| სტიაუა-ჰაიდუკი | 1:0 |
| ნორდსილანდი-ჰონკა | 1:1, პენ. 8:9 |

### იტალია
#### სერია B

| | |
|---|---|
| ანკონა-პარმა | 2:0 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| არმინია-ჰერტა | 1:1 |

#### II ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| ალემანია-ჰანზა | 3:3 |
| ფრაიბურგი-ოსნაბრიუკი | 4:1 |
| კობლენცი-ფრანკფურტი | 1:3 |

### ბელგია

| | |
|---|---|
| კორტრიიკი-სტანდარდი | 0:2 |

### პორტუგალია

| | |
|---|---|
| ლეიქსოეში-ტროფენსე | 2:0 |

### საფრანგეთი
#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| აიაჩო-სედანი | 0:2 |
| ამიენი-შატორუ | 1:1 |
| ანჟერსი-კლერმონი | 4:2 |
| გინგამი-ბასტია | 4:1 |
| ტური-დიჟონი | 0:0 |
| ბულონი-მეცი | 1:1 |
| ლანსი-ნიმი | 1:0 |
| სტრასბური-ბრესტი | 2:2 |

### ჰოლანდია
#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ემენი-კამბური | 3:2 |
| ექსელსიორი-აპელდორნი | 4:0 |
| ეინდჰოვენი A-ჰელმონდი | 1:1 |
| ომნივორლდი-იგლზი | 1:2 |
| ცვოლე-ვენლო | 1:2 |
| მაასტრიხტი-დენ ბოში | 1:0 |
| როსენდალი-ვეენდამი | 2:1 |
| ვაალვეიკი-დორდრეჰტი | 3:3 |
| ტოპ ოსი-ფორტუნა | 1:0 |

### ფინეთის ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ტურკუ-იუვიასკიულა | 3:1 |

### თურქეთი

| | |
|---|---|
| ტრაბზონი-ანკარაგიუჯუ | 2:1 |

### უელსი

| | |
|---|---|
| ბანგორი-ქონეკსი | 6:0 |
| ქერსოუსი-ებერისვითი | გადაიდო |
| პორტ ტელბოტი-კარმარტენი | 0:0 |
| უელშპული-პორტმედოგი | გადაიდო |

## კალათბურთი

### გერმანია

| | |
|---|---|
| გეტინგენი-ბრაუნშვაიგი | 73:69 |

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ვილერბანი-გრაველინი | 89:69 |

## ჰოკეი

### ოლიმპიადა. შესარჩევი

| | |
|---|---|
| იტალია-უნგრეთი | 4:1 |
| ლატვია-უკრაინა | 4:2 |

### ამხანაგური მატჩი

| | |
|---|---|
| შვეიცარია-სლოვაკეთი | 2:1 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ჟილინა-მარტინი | 4:2 |
| კეჟმაროკი-სლოვაკეთი (U 20) | 6:2 |
| პოპრადი-ბისტრიცა | 5:3 |

## ჩოგბურთი

### ATP. იოჰანესბურგი

| | |
|---|---|
| ბაღდატისი-ფერერი | 5:7, 2:6 |
| შარდი-დე შონაკი | 7:6, 6:3 |
| გარსია ლოპესი-გილი | 6:7, 3:6 |
| ცონგა-ვლიეგენი | 6:4, 6:1 |

### ATP. ზაგრები

| | |
|---|---|
| ზვერევი-ჰერნიხი | 4:6, 0:6 |
| ტროიცკი-სტახოვსკი | 6:3, 6:2 |
| ჩილიჩი-ვეიჩი | 6:2, 7:6 |
| ანჩიჩი-დოდიგი | 6:1, 6:3 |

### ATP. ვინია დელ მარი

| | |
|---|---|
| რობრედო-ჩელა | 0:6, 6:3, 6:4 |
| აკასუსო-დეკოუდი | 6:4, 6:2 |

TV პროგრამა

## 7 თებერვალი. შაბათი

### იმედი

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
13:00 იმედის ფსონი.
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბეტისი (LIVE).

### I არხი

14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

08:20 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
08:50 გერმანიის ჩემპიონატი. არმინია-ჰერტა.
11:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტიგრე-სან ლორენსო.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გერმანიის ჩემპიონატი. არმინია-ჰერტა.
15:15 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
15:50 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
16:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:40 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-მიდლსბრო (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ჰალი (LIVE).
21:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ლივერპული (LIVE).
23:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
08:50 გერმანიის ჩემპიონატი. არმინია-ჰერტა.
23:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-სოშო (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.
04:00 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი.
05:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-სოშო.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. TOP16. II ტური. ოლიმპიაკოსი-ტაუგრესი.
09:40 ფეხბურთი.
09:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:00 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. ახალი ზელანდია.
11:00 სპორტკლუბი.
12:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. არმინია-ჰერტა.
13:50 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
14:15 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
14:45 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-მალიორკა.
16:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-მინესოტა.
18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
20:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლეჩე-ინტერი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. კორინთიანსი-პორტუგეზა (LIVE).
01:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. TOP16. მიმოხილვა.
01:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
02:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ედმონტონი.
03:45 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. ახალი ზელანდია.
04:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. არმინია-ჰერტა.
06:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-რეინჯერსი.

### EUROSPORT

11:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
11:45 ციგაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ორადგილიანი. II ცდა. ლეიკ პლესიდი. აშშ.
12:15 ციგაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. II ცდა. ლეიკ პლესიდი. აშშ.
13:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. კვალიფიკაცია. ვილინგენი. გერმანია.
13:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სწრაფდაშვება. კაცები. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
15:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. HS140. ზიფელდი. ავსტრია (LIVE).
16:45 ციგურებით სირბილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. ნორვეგია (LIVE).
18:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. ზიფელდი. ავსტრია (LIVE).
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. გუნდური. ვილინგენი. გერმანია (LIVE).
20:45 ციგურებით სირბილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. ნორვეგია.
21:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი.
21:20 ციგაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. I ცდა. ლეიკ პლესიდი. აშშ (LIVE).
23:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. გუნდური. ვილინგენი. გერმანია.
23:30 ციგაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. II ცდა. ლეიკ პლესიდი. აშშ (LIVE).
00:30 კრივი. სუპერმძიმე წონა. ა. გოლოტა (პოლონეთი)-რ. ოსტინი (აშშ). ჩინეთი.
02:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. გუნდური. ვილინგენი. გერმანია.
04:00 ციგაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. II ცდა. ლეიკ პლესიდი. აშშ.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
13:30 კალათბურთი. ევროლიგა. ტელეჟურნალი.
14:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. ლე კონტამინე. საფრანგეთი.
14:30 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. სნოუბორდკროსი. ბარდონეკია. იტალია.
15:15 ახალი ამბები.
15:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
16:00 სნოუბორდი. შვეიცარია (LIVE).
17:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. Halfpipe. ბარდონეკია. იტალია (LIVE).
17:45 ახალი ამბები.
18:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. I ტური. პოდრავკა (ხორვატია)-ნიდეროსტერაიხი (ავსტრია) (LIVE).
19:30 სნოუბორდი. შვეიცარია.
19:45 ფრენბურთი. იტალიის თასი. ქალები. 1/2 ფინალი.
21:15 ახალი ამბები.
21:30 ფრენბურთი. იტალიის თასი. ქალები. 1/2 ფინალი (LIVE).
23:30 ახალი ამბები.
00:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. I ტური. კრიმი (სლოვაკეთი)-დიორი (უნგრეთი).
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. I ტური. პოდრავკა (ხორვატია)-ნიდეროსტერაიხი (ავსტრია).
02:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. კანადა.
03:00 ახალი ამბები.

## 8 თებერვალი. კვირა

### იმედი

13:00 იმედის ფსონი.

### მზე

20:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ნიცა-ლიონი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბორდო (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

07:35 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბეტისი.
09:20 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ჰალი.
11:10 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:25 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ლივერპული.
15:15 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-რასინგი.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-არსენალი (LIVE).
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სპორტინგი (LIVE).
23:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბორდო (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ვალენსია.
04:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი.
05:40 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-არსენალი.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ლივერპული.
09:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.
11:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ჰალი.
13:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
13:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბეტისი.
15:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ედმონტონი.
17:15 ფეხბურთი.
17:30 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
17:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ჯენოა (LIVE).
20:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
22:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
22:55 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. პალმეირასი-სანტოსი (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-არსენალი.
02:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სპორტინგი.
04:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.
06:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ჰალი.

### EUROSPORT

11:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. გუნდური. ვილინგენი. გერმანია.
12:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. HS140. ზიფელდი. ავსტრია (LIVE).
13:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კომბინაცია (სწრაფდაშვება). კაცები. ვარჯიში. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
14:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. ზიფელდი. ავსტრია (LIVE).
14:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. გუნდური. ვილინგენი. გერმანია.
15:15 ციგურებით სირბილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II დღე. ნორვეგია (LIVE).
15:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სწრაფდაშვება. ქალები. ვარჯიში. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
17:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია (LIVE).
19:15 ციგურებით სირბილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II დღე. ნორვეგია.
21:00 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
21:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
23:00 ბოულინგი. უელსის ღია პირველობა. ფინალი.
01:00 კრივი. სუპერმჩატე წონა. ლ. მირანდა (მექსიკა)-ო. კრუსი (პუერტო რიკო). აშშ.
02:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
03:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. ზიფელდი. ავსტრია.
04:00 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 სნოუბორდი. შვეიცარია.
14:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. Halfpipe. ბარდონეკია. იტალია.
14:45 ახალი ამბები.
15:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. I ტური. პოდრავკა (ხორვატია)-ნიდეროსტერაიხი (ავსტრია).
16:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. I ტური. კრიმი (სლოვაკეთი)-დიორი (უნგრეთი).
17:15 ფრენბურთი. იტალიის თასი. ქალები. 1/2 ფინალი.
18:00 ახალი ამბები.
18:15 ფრენბურთი. იტალიის თასი. ქალები. 1/2 ფინალი.
19:15 ფრენბურთი. იტალიის თასი. ქალები. ფინალი (LIVE).
21:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. I ტური. ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)-ვალჩეა (რუმინეთი) (LIVE).
22:30 ახალი ამბები.
23:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. კანადა.
00:00 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია (LIVE).
02:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პანათინაიკოსი-პანიონიოსი.
03:00 ახალი ამბები.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ცურვა

# ფელპსი სამი თვით დასაჯეს

## 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი ლონდონის ოლიმპიადის გამოტოვებაზე დაფიქრდა



**ამერიკელი** მოცურავის **მაიკლ ფელპსის** სკანდალს უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. ამერიკის ცურვის ასოციაციამ 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი მარიხუანას მოწევისთვის 3 თვით ჩამოაშორა საერთაშორისო ტურნირებს.

*"ეს ნაბიჯი იმის გამო გადავდგით, რომ მაიკლმა ასობით ათას ამერიკელს გაუცრუა იმედი, რომლებიც ფელპსში ეროვნულ გმირს ხედავდნენ"*, - განაცხადა ასოციაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ასოციაციის სასჯელი 5 თებერვლიდან შევა ძალაში.

შეგახსენებთ, რომ 1 თებერვალს ბრიტანულმა გაზეთმა News of the World-მა გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც მაიკლ ფელპსი სპეციალური მილით მარიხუანას ეწევა. მოგვიანებით სპორტსმენმა აღიარა, რომ გასული წლის ნოემბერში, სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტში გამართული ზეიმის დროს, მართლაც მიიღო ეს ნარკოტიკი და გულშემატკივრებს ოფიციალურად მოუხადა ბოდიში. ეს აღიარება საკმარისად ჩათვალეს მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და ამ ორგანიზაციებმა სპორტსმენის მიმართ სანქციები არ გამოიტანეს. სამაგიეროდ, ამერიკის ცურვის ასოციაციამ არ დაინდო ფელპსი და ის ოფიციალური ტურნირებიდან მოკვეთა.

ამ სასჯელმა, შესაძლოა, გარკვეული პრობლემები შეუქმნას ფელპსს წლევანდელ სეზონში. მოგეხსენებათ, წელს ცურვაში მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება, სადაც მაიკლი მედლების ახალი კოლექციის შეგროვებას აპირებს, მაგრამ ახლა ამერიკელის გეგმებს საფრთხე დაემუქრა.

საწყლოსნო სახეობების საერთაშორისო ასოციაციამ (FINA) ფელპსის სკანდალთან დაკავშირებით ოფიციალური პრეს-რელიზი გაავრცელა, რომელშიც იმედს გამოთქვამს, რომ ამერიკელი არ გადაიფიქრებს მსოფლიოს პირველობაზე გამოსვლას.

*"ფელპსმა, როგორც მოქალაქემ, არასწორი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მისი გულწრფელი აღიარება და დაპირება, რომ მსგავსი რამ არასოდეს განმეორდება, საკმარისი გარანტიაა იმისთვის, რომ ეს დიდი სპორტსმენი მომავალშიც იქნება მთელი მსოფლიოს გულშემატკივართა მისაბაძი მაგალითი.*

*რა თქმა უნდა, FINA-ს დიდი იმედი აქვს, რომ მაიკლ ფელპსი მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონატსა და ჩვენი ეგიდით გასამართ სხვა პრესტიჟულ ტურნირებში"*, - წერია განცხადებაში.

მაიკლ ფელპსს ამასთან დაკავშირებით განცხადება ჯერ არ გაუკეთებია, სამაგიეროდ, სენსაციური აღმოჩნდა ამერიკელის ინტერვიუ, რომელიც გაზეთ Baltimore Sun-ში გამოქვეყნდა. ფელპსი სერიოზულად დაფიქრდა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის გამოტოვებაზე და ამის მიზეზი სწორედ მარიხუანასთან დაკავშირებული სკანდალი გახლავთ.

*"ეს მთლიანად ჩემი გადასაწყვეტი იქნება, თუმცა ამ საკითხს მოგვიანებით გავარკვევ. ფიქრისთვის ბევრი დრო და ენერგია დამჭირდება, გარდა ამისა, მინდა ვიცოდე ჩემი პირადი მწვრთნელის ბობ ბოუმენისა და ოჯახის წევრთა აზრი, რათა საბოლოოდ ჩამოვყალიბდე გადაწყვეტილების მიღების მომენტში.*

*ცურვაში ვარჯიშის გასაგრძელებლად საკმარისი მოტივაცია და მიზნები მაქვს და არავის მივცემ ნებას, წინ აღუდგეს ჩემს სურვილებს. თუ მე სპორტიდან წასვლას გადავწყვეტ, ეს მხოლოდ ჩემს პირად შეგრძნებებზე იქნება დაფუძნებული. მაგრამ, პირველ რიგში, დაფიქრება დამჭირდება"*, - ამბობს ფელპსი.

მარიხუანას სკანდალს კიდევ ერთი უარყოფითი გამოვლინება ჰქონდა. ამერიკელმა მოცურავემ თავისი მრავალრიცხოვანი სპონსორებიდან ერთ-ერთი დაკარგა. ეს გახლავთ მშრალი საუზმის მწარმოებელი კომპანია Kellogg Co. ამერიკულმა ფირმამ უარი განაცხადა ფელპსთან კონტრაქტის გაგრძელებაზე და მიზეზად სწორედ ბრიტანული გაზეთის მიერ აგორებული სკანდალი დაასახელა.

Kellogg Co-ს წარმომადგენლებმა თავიანთი გადაწყვეტილება იმით ახსნეს, რომ ფელპსის საქციელი ლახავს კომპანიის იმიჯს. მაიკლს ამ ფირმასთან კონტრაქტი 2009 წლის თებერვლის ბოლოს ეწურება. ხელშეკრულების თანხა Kellogg Co-ს მესვეურებმა არ დაასახელეს.

როგორც ამერიკული პრესა წერს, ფელპსის სხვა სპონსორები არ აპირებენ მოცურავესთან თანამშრომლობის შეწყვეტას. ისეთმა მსხვილმა კომპანიებმა, როგორებიც არიან Visa, Speedo და Omega, ფელპსის მხარე დაიჭირეს.

დღის ფოტო



**დღეს** აზიისა და ოკეანეთის ზონაში ფედერაციის თასის პირველი ეტაპის მატჩები დაიწყო. ირანის ნაკრები ავსტრალიის ქალაქ პერტში ყაზახეთის ნაკრებს ხვდება. ფოტოზე აღბეჭდილია ირანელთა გუნდის ლიდერი **მადონა ნაიარიანი**, რომელიც გუშინ **გალინა ვოსკობოევას** ხვდებოდა და 40-გრადუსიან სიცხეში ასე გამოწყობილი გამოვიდა კორტზე.






კრივი

# კალზაგე წავიდა



**ცნობილმა** უელსელმა მოკრივემ **ჯო კალზაგემ** პროფესიული სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა. ბრიტანულ ტელეარხ BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში კალზაგემ განაცხადა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება ოჯახის გამო მიიღო - მას ახლობელ ადამიანებთან უფრო მეტი დროის გატარება სურს.

*"წასვლა გადავწყვიტე. კრივით უკვე 25 წელია დაკავებული ვარ და ყველაფერს მივაღწიე, რაც მსურდა. ვამაყობ იმით, რომ ერთ-ერთი ვარ იმ მცირერიცხოვან მოკრივეებს შორის, რომლებიც რინგიდან დაუმარცხებლები წავიდნენ"*, - განაცხადა 36 წლის კალზაგემ.

პროფესიულ კრივში 11-წლიანი კარიერის განმავლობაში კალზაგემ 46 ბრძოლა ჩაატარა და ყველაში გამარჯვებული (32 ნოკაუტით) გამოვიდა. სხვადასხვა დროს ბრიტანელი მეორე საშუალო წონაში (76.2 კილოგრამი) WBO-ის, WBA-ის, WBC-სა და IBF-ის საჩემპიონო ქამრებს ფლობდა. კალზაგე ათი წლის განმავლობაში იყო WBO-ის ჩემპიონი და ეს ტიტული საერთო ჯამში 21-ჯერ დაიცვა.

მოგვიანებით ჯომ უარი თქვა ამ ტიტულზე და სხვა კატეგორიაში - ნახევრადმძიმე წონაში გადავიდა. ამერიკულმა ჟურნალმა The Ring-მა კალზაგე ნახევრადმძიმე კატეგორიის ჩემპიონად გამოაცხადა მას შემდეგ, რაც 2008 წლის აპრილში ჯომ საჩემპიონო ბრძოლა მოუგო **ბერნარ ჰოპკინსს**. იმავე წლის ნოემბერში უელსელმა ტიტული **როი ჯონსთან** ბრძოლაში დაიცვა. სწორედ ეს აღმოჩნდა უკანასკნელი შეხვედრა კალზაგეს კარიერაში, რის შემდეგაც ბრიტანეთის დედოფალმა მოკრივეს ბრიტანეთის იმპერიის ორდენი მიანიჭა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**